1999



დროშა

№ 11-12 1999



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. ნოემბერი. რომის პაპი იოანე პავლე II და საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე



რომის პაპი და უწმინდესი და უნეტარესი ილია II

დარწმუნებული ვარ, თქვენი ხმა, რომელიც ჩემი სამშობლოდან მისწვდება მთელ მსოფლიოს, შვებად და სალბუნად დაედება მილიონობით ადამიანს, მათ შორის, საქართველოს ასიათასობით მოქალაქეს შთაუნერგავს მათ სამართლიანობის აღდგენის რწმენას და იმედს.

„აქ ჩვენ ყველამ მოვისმინეთ მისი უწმინდესობის იოანე პავლე მეორის სიბრძნით აღსავსე სიტყვები და აზრები, და მჯერა, რომ ამ სიტყვებს კაცობრიობა 21-ე საუკუნეში შეიტანს როგორც თვალმარგალიტებს, რომის პაპის ამ აზრებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე“.

ედუარდ შევარდნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



21.364

მშვიდობის ამბორი

სახარების ქადაგებამ არა მარტო ამცნო ხალხს მხსნელი სიტყვა, არამედ, დასაბამი მისცა ქართულ ანბანს და შემდგომში ასაზრდოვა და განამტკიცა თქვენი ეროვნული მეობა და თვითმყოფადობა, ქრისტიანულმა რწმენამ შვა და ასაზრდოვა ქაღალდზე გადმოტანილი სიტყვის სიყვარული, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა თქვენს ენაზე ლიტერატურისა და მთელ კულტურულ ცხოვრებაზე.

... ძვირფასო მეგობრებო, მინდა სულითა და გულით ყოველივე საუკეთესო გისურვოთ თქვენს საქმიანობაში და ვილოცო, რომ ქრისტიანობის იუბილე, რომლის აღსანიშნავად ვემზადებით, ყველა კეთილი ნების ადამიანთათვის იმის ნიშანი გახდეს, რომ ერთად იღვაწონ იმედით აღსავსე მომავლისათვის, ჭეშმარიტ სიყვარულზე დაფუძნებული ცივილიზაციისათვის. დაე, გადმოვიდეს თქვენზე სულიწმინდის, ღვთისა და სიცოცხლის მომნიჭებლის ნათელი და სიხარული.

რომის პაპი იოანე პავლე II

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



მოპატიჟება

სხვა რას ფიქრობდა, მე ეს არ ვიცი. მე კი მეგონა ჩვეულებრივ, უბრალო და საქმიან შეხვედრაზე ვიყავით მიწვეული, ოლონდ რესტორანში.

ერთი კია, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ის, რომ რესტორანს საკმაოდ უცნაური სახელი ერქვა – „დედა ზოია“, და კაცმა არ იცოდა, რა საერთო ჰქონდა დედასა და რესტორანს ერთმანეთთან.

მიგვიწვიეს და მივედით...

რაც მართალია, მართალია, მოსაწონისი სუფრა გაიშალა. ასე რომ, ეს მარტო უბრალო მიწვევა კი არა, ქართულ ხვავრიელ პურ-მარილზე მიპატიჟებას უფრო ჰგავდა.

შეგვხვდნენ ისე, როგორც კაცურ კაცებს ეკადრებათ და პურმარილიანი მეზობელი მეზობელს ხვდება... ღიმილიანი სახეებით, გულღიად, სწორედ იმნაირად, ჩვენში რომ იცოდნენ წაღმართიან დროს, წელწამოდგმულ ოჯახებში.

ისეთი თბილი და სასიამო გარემო შეიქმნა, კაცს რომ გუნებას გაუხსნის და ხასიათზე მოიყვანს. ეტყობა, გველოდნენ და ლამაზ შეხვედრას გვიმზადებდნენ, შეხვედრას, რომელიც თავმოყვარეობას კი არ შეგვილახავდა, პირიქით, კიდევ უფრო აგვამაღლებდა სულიერადაც, საერთო განწყობილებითაც, ყოველმხრივ.

იოსებ ნონეშვილის ლექსი გამახსენდა. „მოპატიჟება საქართველოში“ ჰქვია ამ ლექსს. მისმა თბილმა სტრიქონებმა გაიარა გულში:

მობრძანდით, გელით გაშლილი ხელით,
სტუმართმოყვარე, ყველა ქართველი.
ნახეთ მზიანი სამშობლო ჩვენი,
ასე ლამაზი, ასე ნათელი.
ქართული სუფრაც ნახეთ წამიერ
და თუ სიმღერის ეშხიც გენებოთ,
ისმინეთ დინჯი მრავალჟამიერ,
მრავალჟამიერ სასურველებო...

ამას უცხოელ სტუმრებს ეუბნება პოეტი. ჩვენს ადათ-წესებს აცნობს მათ და ამ ადათ-წესებიდან ჩვენი სტუმართმოყვარეობაა განსაკუთრებით წინ წამოწეული.

საკითხავია, მე რატომ უნდა გამკვირვებოდა სტუმრის მიღებისა და დახვედრის ეს ჩვენებური წესი და ჩვეულება?

თუმცა, რაღა კითხვა უნდა ამას, როცა ეს ისედაც აშკარაა: თურმე, თავისთავად, შეუმჩნევლად მოსულა იმის დრო, რომ ხშირად ვხვდებოდეთ ასე და ამნაირად ერთმანეთს, გავიყოთ ის, რაც გასაყოფია და დრომ და გარემოებამ ჯერჯერობით მარტო ჩვენ მოგვცა.

მთლად ისე კი არაა საქმე, აქა-იქ, ხალხში რომ ამბობენ ხოლმე „სხვისი ჭირიო, ღობეს ჩხირიო“, და ზოგიერთებს მართალი ჰგონიათ...

ერთი სიტყვით, თავმოყვარეობის შემლახველი „პურის ჭამა“ და სტუმრიანობა არ გახლდათ აქ იმ დღეს. იყო ის, რაც უნდა ყოფილიყო:

უანგარო ქართული პურ-მარილი და გულუხვი მასპინძლის მოწადინება, თავი ისე ეგრძნოთ სტუმრებს, როგორც საკუთარ ოჯახში.

და ასეა აქ ყოველდღე, დილის საათებში. ყოველდღიურად ასე ხვდებიან ვეტერანთა ათკაციან ჯგუფებს „დედა ზოიას“ დიასახლისები.

XXX

თბილისური კოლორიტი არსად არ იგრძნობა ისე, და თანაც, ძველი და ახალი ისე ზომიერად არსად არაა ერთიმეორესთან შერწყმული, როგორც ამ უბანში.

ბარათაშვილის ხიდთან, მარჯვენა მხარეზე დაღმართია, რომელიც ქვემოთ, მტკვრის სანაპიროზე ჩადის.

ზედ მტკვრის სანაპიროსთან, ოქროს ხელის მეპატრონე ხელოსნებით სახელგანთქმულ ძველ „რიყეზე“, ბევრი ძველი შუკა და „ხუხულა“ აიყარა. გაჩნდა მოედანი და მის განაკიდეებზე, მიწამდე ტოტებ-ჩაშლილ, დიდრონ ხეებს შორის, რამდენიმე ახალი შენობა წამოიმართა.

ერთ მათგანშია „დედა ზოია“, რესტორანი, რომლის პატრონი და დიასახლისი ლელა ქარჩავაა – მშვენიერი ქალბატონი, სახიერად ოცი-ოცდახუთი წლის ქალიშვილს რომ ჰგავს და ოთხი შვილის დედა კია.

ეს ის ადგილია რიყეზე, თბილისობა რომ იმართება ხოლმე. გვერდით ჩაუდის მტკვარი და ზემოდან გადმოსჩერებია მეტეხი. ნარიყალაც აქვეა და ძველი „მაიდანიც“.

მაგრამ „დედა ზოია“ საიდან დაერქვა რესტორანს. არც ძველ ქართულ ქორონიკონებში ჩანს ეს სახელი და არც თბილისურ კოლორიტშია სადმე აღნუსხული.

ამ სახელით ცნობილი მოსკოვური რესტორნის ფილიალი ყოფილა თბილისური „დედა ზოია“. ქალბატონი ზოია – ლელას დედა, უდგას თურმე სათავეში ამ რესტორანს.

ესეც არაა ურიგო მაგალითი და მოსიყვარულე შვილის კარგ ქალობაზე მეტყველებს. იცის შვილმა ფასიცა და მოვალეობაც იმ ორგანიზაციისა, რომელსაც საქველმოქმედოდ დაუდვია თავი და დედის სახელი ჰქვია. ქართველი კაცის გუნება და ხასიათიც არაა მისთვის უცხო.

ფილიალი კი ფილიალია და ლელას ხელშია მისი ავკარგიანობა.

როგორი სიმშვიდეა და სიმყუდროვე აქ, როგორი გულითადობა და გულგახსნილობაა! რანაირი სითბო და სიხალისე!

როგორი მაღალი გემოვნებითა და ჰაეროვნებით გამოირჩევა ყველაფერი, გარშემო რაცაა: ეს ინტერიერიც, ეს საზეიმო საბანკეტო დარბაზებიც, ეს გამორჩეული მაგიდებიც, ფაქიზად მოვლილი კედელყურე.

მარტო ღიმილიანი ვიოლას შემოგებება და შემოხალისება რად ღირს.

აი, თუნდაც ეს შეხვედრა მთაწმინდის რაიონის ვეტარანებთან... მთელი ერთი კვირაა დილ-დილაობით, თერთმეტიდან პირველ საათამდე, მათ სამსახურშია რესტორანი.

აი, აგერ ისევ ათკაციანი ჯგუფი...

სულ რაღაც ორიოდე წუთში გაიშალა სუფრა ორ მაგიდაზე, ხუთ-ხუთი კაცისთვის ცალ-ცალკე. ჩიტის რძის უნაკლისი სუფრაა-მეთქი, რომ ვთქვა, მართალი არ ვიქნები, მაგრამ არც უმისობაა.

არც მეტი, არც ნაკლები – ნამდვილად ტრადიციული ქართული სუფრაა. ჩვენებური საცივით, ხაჭაპურით, ღომით, ცხელი, სურნელოვანი პურით, გემრიელი ყველითა და მჭადით, ნაირ-ნაირი ძეხვეულითა და ბოსტნეულით, ხილით, ტკბილეულით...

„სუფეული“ და ალკოჰოლიანი სასმელები არაა მხოლოდ სუფრაზე, თუმცა ეს ორი-სამი ჭიქა ღვინოც წამალივით შემრგეა და მოსახდენი.

აი, ჩვენი ნაცნობი ვიოლა ალანიაც – რესტორნის ადმინისტრატორი, სუფრასთან იწვევს მოპატიჟებულ სტუმრებს.

გინდა ასე თქვი და გინდა ისე, ადამიანური სითბო და თანაგრძნობა თავის კეთილ საქმეს აკეთებს. ეს ერთი თვალის გადავლებითაც შეიმჩნევა ამ ნაომარი და ათას ჭირვარამში გამოვლილი ადამიანების სახეებზე.

უფასოდ, ყოველგვარი საზღაურისა და დამადლების გარეშე უმასპინძლდებიან ვეტერანებს ამ პირველხარისხოვან რესტორანში. რაღაც გამოგონილი მასკარადი და თამაში კი არაა ეს, ნერვების ამშლელი და ამწეწავი, ჩვეულებრივი ქართული სტუმარ-მასპინძლობაა.

თქვენმა სტუმრებმა, ქალბატონო ლე-

ლა, იგრძნეს ყოველივე ეს და თავიანთი კმაყოფილება გამოხატეს ვეტერანთა გაზეთის რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილებში. ისინი ბევრნი არიან და სათითაოდ მათი გვარ-სახელის ჩამოთვლა გამიჭირდება.

ერთი რამ კი უნდა ითქვას: ყველა მადლიერია და გახარებული იმითაც, რომ ამ ნაირი გასაჭირისა და სიდუხჭირის დროს გამოინახა ასეთი ფაქიზი ფორმა. ვერანაირი დაფასება და პატივისცემა ვერ გაახარებდა მათ ისე, როგორც ამ ჭკვიანურმა და გონივრულმა მიპატიჟებამ გაახარა.

XXX

შეხვედრა შეხვედრაა, პატივისცემაც პატივისცემა, მაგრამ იმას, რაც ამას წინათ ვნახე აქ, სხვა სახელი ჰქვია.

დარბაზობა უფრო იყო ეს, თბილისის

ძველ რიყეზე

მერიისა და საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტის ერთობლივი დარბაზობა... სწორედ ისეთი, ჩვენს წინაპრებს რომ სჩვეოდათ გაშლილ სუფრასთან, გადაუდებელი საქმეების მოგვარების დროს.

და, რა უნდა იყოს იმაზე დიდი და გადაუდებელი საქმე, ვიდრე ხანდაზმულ ადამიანებზე ზრუნვაა, მათ საწუხარზე ფიქრია და წუხილი, თანაც მაშინ, როცა მთელი მსოფლიო ფეხზე დგას და 1999 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოხუცებულთა წლად გამოაცხადა, – ამ სიტყვებით მიიწვია სტუმრები მაგიდასთან ვეტერანთა დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა რეზო ასათიანმა.

თბილი, შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა თბილისის მერი ბატონი ვანო ზოდელავა, რომელმაც ილაპარაკა დამსახურებული ხანდაზმული ადამიანების სოციალური დაცვის საკითხებზე, სამამულო გეგმებსა და ღონისძიებებზე, იმაზე, თუ რა კეთდება ამ მხრივ დღეს და რა გაკეთდება ხვალ.

აქვე, ქალაქის მერმა, გულწრფელად მოიწონა „დედა ზოიას“ მიერ გამოჩენილი გულისხმიერება ხანდაზმული ადამიანების მიმართ.

საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა გურამ გვეტაძემ თავის სიტყვაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო კეთილ დამოკიდებულებას, ქალაქის მერიასა და ვეტერანთა დეპარტამენტს შორის რომ არსებობს. ხანდაზმულ ადამიანთა და „დედა ზოიას“ ურთიერთობა კი შეაფასა, როგორც მეტად მნიშვნელოვანი საქველმოქმედო ღონისძიება.

ყურადღებით მოისმინა საზოგადოებამ საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის, ომის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის, პოლკოვნიკ თეიმურაზ თოფურიას სიტყვა. ბატონმა თეიმურაზმა დააყენა საკითხი თბილისში ვეტერანთა სახლის დაარსების აუცილებლობაზე.

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ბორის ყურაშვილმა ილაპარაკა ჩვენს სახელოვან ადამიანებზე, ოჯახურ ტრადიციებზე, იმაზე თუ რა სასიხარულოა, როცა წინაპრის სიკეთე შვილსა თუ შვილიშვილში იჩენს თავს.

– მე ვიცნობდი ქალბატონ ნინო ჟვანიას, დედათქვენს, – მიმართა ბატონმა ბორისმა ქალაქის მერს, – შესანიშნავი პიროვნება გახლდათ – სამართლიანი, ჭკვიანი და გაჭირვებულის დამხმარე. მიხარია, რომ თქვენ მის კვალს მიჰყვებით.

ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი ალალი და მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა ლელა ქარჩავამ, ძვირფასმა ქალბატონმა, რომელიც ასეთი სათუთი პატივისცემით ეპყრობა ნაომარ ადამიანებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქის ვიცე-პრემიერი მუხრან მდივანი, ისნის რაიონის გამგებელი დათო ლომაია, ქალაქის მერის მრჩეველი ნანა ლომაძე, ვეტერანთა რაიონული საბჭოების თავმჯდომარეები, ომისა და შრომის ვეტერანები...

ამ დღის აღსანიშნავად ვეტერანებს თბილისის მერიამ გადასცა ერთდროული ფულადი დახმარება.

XXX

მიპატიჟება ძველ რიყეზე გრძელდება. ხანდაზმულ ადამიანთა პატივისცემისა და დაფასების ეს დიდებული რიტუალი სასიამოვნო, ბევრისმთქმელ მაგალითად იქცა.

ამაზე მეტყველებენ თუნდაც აი ეს ფოტოები, სულ ახლახანს, წინასაახალწლო დღეებში რომ გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ბონდო დვალიშვილმა – „დედა ზოიასთან“ ერთ-ერთი სტუმრობის დროს.

მშვენიერი ქალბატონები, როგორც ეს ჩვენს რჩეულ ოჯახებშია მიღებული, ბევრ მოსასვლელში, ხალიჩით მოგებულ კიბეებზე მხიარულად ხვდებიან სტუმრებს. ხვდებიან და სასტუმრო დარბაზისაკენ მიუძღვებიან.

ბატონ ბონდო დვალიშვილის ფოტოებში კარგად ჩანს ყოველივე ეს.

ამჯერადაც „დედა ზოიას“ სტუმრები ვეტერანებია, ნაომარი ხალხი, ისინი, კავკასიონის მისადგომებთან რომ იბრძოდნენ, ქერჩში, ყირიმში, სევასტოპოლში ღვარეს სისხლი, ლენინგრადის ბლოკადას გაუძლეს და თბილისში შემოსასვლელად გამზადებულ მტერს, როგორც ხალხში იტყვიან ხოლმე, კუდით ქვა ასროლინეს.

აი, ჩვეულებრივი ქართული სუფრა – სადა და უბრალო, და არა თვალის ასაჭრელებლად გაწყობილი.

ოღონდ ეს კია: ფოტოზე აღბეჭდილ ამ სუფრას, გარეკანის მესამე გვერდზე რომ ხედავთ, ცოტა ხანში ცხელი ხაჭაპური, ღომი და საცივი შემოემატება, შამფურზე წამოგებული მწვადიც შემოვა საცაა. ხილი და ტკბილეულიც შემოჰყვება. ქარვისმარცვლიანი ყურძენიც შემოანათებს და კიდევ უფრო გალამაზდება ისედაც ლამაზი სუფრა.

მე კი მინდა ვთქვა და ერთხელ კიდევ მოვაგონო მკითხველს, რომ ეს ამბავი ხდება დღეს, მაშინ, როცა ასე ჭირს ცხოვრება და „რაღაცის და ვიღაცის“ გამო, თვეობით გვიანდება პენსიები, ხელფასები...

– მაგრამ ეს მაინც არაა მთავარი, – დაახლოებით ასე თქვა საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, მწერალმა და აკადემიკოსმა, იმდღევანდელი სუფრის თამადამ გიორგიმ ციციშვილმა. – მთავარია ის, რომ არ იკარგება სტუმარ-მასპინძლობის საუკუნეებში გამოვლილი ჩვენი ადათ-წესები, რომ ღირსეული ადამიანების დაფასება და პატივისცემა ვიცოდით და ვიცით. და სანამ ეს გრძნობა გვექნება და ერთიმეორის ფასი გვეცოდინება, ნურაფრისა გვეშინია.

ვასილ გვეტაძე

რამეთუ მტკიცე არს, ვითარცა სიკვდილი, სიყვარული... წყალსა მრავალსა ვერ ძალუც დაშრეტა სიყვარულისა. მდინარენი ვერ წარღვნიან მას.

ქება ქებათა – 8,6

ჯიჯგი

... 100

1121 წლის აგვისტო...

მაჰმადიანთა ლაშქარი, რომელიც 30 ათას კაცს ითვლიდა და რომელსაც სათავეში ედგა მრავალ ომგადახდილი სარდალი ილ-ღაზი, მიუახლოვდა თბილისს, შეეყარა საქართველოს მხედრობას და გამწკრივდა ორივე მხარე საომრად. მაშინ გამოეყო ქართველთა ჯარს 200 ყივჩაღი და მაჰმადიანთა მიმართულებით დაიძრა. მაჰმადიანებმა იფიქრეს, ყივჩაღები ქართველებს განუდგნენ და ჩვენს მხარეზე გადმოსვლა განუზრახავთო. ამიტომაც გულარხეინად ადევნებდნენ თვალს ყივჩაღთა მოახლოებას. ისინი კი უეცრად შეიჭრნენ მაჰმადიანთა წყობაში და ისრების წვიმა დაატეხეს თავს. მაჰმადიანთა პირველი რიგი შედრკა, უკანდახევა დაიწყო. უკანა რიგებს უფიქრიათ, მეწინავენი უკვე დამარცხდნენო და თავზარი დასცემიათ. ამასობაში დავით აღმაშენებლის მთელი მხედრობაც ჩაება ბრძოლაში და მტერს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, გარდა გაქცევისა ბრძოლის ველიდან.

ასე გადმოგვცემს დიდგორის ომის ამბავს XIII საუკუნის გამოჩენილი არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი.

როგორც ირკვევა, დიდგორის ომში მონაწილეობდა 15 ათასი ყივჩაღი. იმ ორასის გმირობასთან ერთად ესეც უნდა ჩავაგდოთ სათვალავში. მაგრამ მათი წვლილი, დიდგორის გამარჯვებაში რომ შეიტანეს, დავიწყების წყვდიადმა ლამის შთანთქა. ორასი ყივჩაღის სასახელო აქცია დიდგორის ომში, თუ არ ვცდები, ნაკლებად არის ცნობილი მკითხველისათვის.

ყივჩაღები მთელს აღმოსავლეთში სახელმოხვეჭილი მეომრები იყვნენ და დავით აღმაშენებელს შემთხვევით როდი ჩამოუყვანია ისინი მუდმივი ჯარის შესაქმნელად. მაგრამ მეფის ოპონენტები საყვედურს გამოთქვამდნენ მისი მისამართით: ამდენი უცხოელი (40 ათასი ოჯახი!) რისთვის ჩამოგვითესლე, ჩვენი მტრების ნაცვლად ვაითუ ჩვენ გადაგვქელონო. საქართველოში ყივჩაღთა დედაწულიანად ჩამოსახლებას მცდარ ნაბიჯად მიიჩნევდნენ, მათს ერთგულებას ეჭვის თვალით უყურებდნენ. მართლაც, ყივჩაღებს ზოგჯერ ღალატიც არ ეუცხოებოდათ. თავისი ბუნების ცვალებადობა გამოამჟღავნეს კიდეც, დიდგორის ომიდან ორი წლის შემდეგ, შირვანის ლაშქრობაში.

ყივჩაღებმა მეტეორივით გაიელვეს საქართველოს ისტორიის კაბადონზე და ისევე მოულოდნელად გაქრნენ, როგორც მოგვევლინენ. ძნელი სათქმელია, სახელდობრ რა მოხდა – ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ თუ ერთიანად აიყარნენ და იქ გადაბარგდნენ, საიდანც იყვნენ მოსულნი.

მონაწილეობა დიდგორის ომში და ხალხური ბალადა – აი, ის ნაკვალევი, ყივჩაღებს რომ დაუტოვებიათ საქართველოს ისტორიაში.

რაოდენ გრძელი გზა გაჭიმულა დიდგორიდან მუხრანის საზღვრამდე. სამკვდრო-სასიცოცხლო ომში მხარდამხარ კვეთებიდან – შენი მასპინძლისა და გუშინდელი თანამებრძოლის აბუჩად აგდებამდე. ოღონდ გაურკვეველია, რამხელა დრო გასულა ამ ორ მოვლენას შორის. უნდა ვივარაუდოთ, რომ მუხრანის საზღვართან მომხდარი ინციდენტი უფრო მოსალოდნელია ყივჩაღთა აღზევებისას, მაშასადამე – დავით აღმაშენებლის მეფობის უკანასკნელ წლებში ანდა ცოტა მოგვიანებით.

„პური მთხოვა და ვაჭმიე... ხორცი მთხოვა და ვაჭმიე... ღვინო მთხოვა და ვასმიე...“ რაც ითხოვა, ყველაფერი მიართვეს. ქართველი მოყმე რჩეული სჭმელ- სასმელით უმასპინძლდებოდა სტუმარს და მისი გულუხვობით გალაღებული ყივჩაღი ახლა ცოლის დათმობასაც სთხოვს (თუ მოითხოვს?). მხეცური ჟინით შეპყრობილი, ღვინით გონებაამღვრეული, ურცხვად აშიშვლებს თავის ველურ ბუნებას და, თვალის ერთ დახამხამებაში, მთხოვნელი ვნებააშლილ მოძალადედ გადაიქცევა: „ხელი მოჰხვია, აკოცა, მოზიდნა ნაწნავს თმისასა, შესტირა საბრალო ქალმა: ვაი ცოლს ცუდის ყმისასა. მეც გულმა ვეღარ გამიძლო, მოვზიდნე ვადას ხმლისასა, უმალვე იმან დამასწრო, ელვასა ჰგვანდა ცისასა... ახლა მე შემოუქნივე, ვენდე მადლს ლაშრის ჯვრისასა. გავჭერი ცხენი და კაცი, წვერიც ვუწვდინე ქვიშასა – არ იყო ღირსი, მოშორდა ცქერას ნათელის მზისასა. აქეთ მე ვკვდები, იქით ის, ქალი წავიდა სხვისასა“.

ჩვენს ცნობიერებაში ყივჩაღი სამუდამოდ გაუტოლდა თავაშვებული მოძალადის ცნებას და არცთუ საამურ ფიქრებს აღგიძრავს.

მაგრამ როდესაც დაკვირვებით წაიკითხავ უკვდავ ბალადას, შეიძლება გაგიჩნდეს ბუნდოვანი ეჭვი, თითქოს მელექსეს რაღაც გამორჩა ანდა მომდევნო ხანებში უგზოუკვლოდ დაიკარგაო. მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილი ბალადა მაინც ბადებს ერთგვარი უკმარისობის გრძნობას. გეგონება, ბალადას ყივჩაღის სათქმელი მოჰკვეთესო.

სიყვარულისა

ეგებ, იმასაც უნდა ამოეღო ხმა – მოძალადე ყივჩაღს და თავი გაემართლებინა? ეგებ არ იცის, რომ შენი ზნეჩვეულებანი არ შეიძლება თავს მოახვიო სხვა ქვეყნის მკვიდრს, დაბადებულსა და გაზრდილს იმ მიწა-წყალზე, სადაც დაგასახლეს, პურიც გიწილადეს და ღვინოც, უშურველად გიფასებენ საომარ გარჯას და პრივილეგიებით განებივრებენ. შენ კი მარტოოდენ საკუთარ ინსტინქტებს ემორჩილები...

ძველ რომაელთა აფორიზმის თანახმად, სამსჯავროზე უნდა მოვუსმინოთ მეორე მხარესაც.

და აი, 1928 წელს დაიბადა ახალი ქართული პოეზიის შედევრი „ყივჩაღის პაემანი". რაც ხალხურ ბალადას დააკლო მელექსემ თუ უამთა დინებამ, თავისი მადლიანი კალმით გააცოცხლა დიდებულმა ქართველმა პოეტმა.

ხალხურ ბალადაში ტრაგიკული კონფლიქტის ამბავს მოგვითხრობს ქართველი მოყმე და ჩვენც მისი თვალით ვხედავთ კონფლიქტის აღმოცენებას და დასასრულსაც.

გიორგი ლეონიძის ლექსში მთხრობელის ადგილს ყივჩაღი იჭერს, ქართველი მოყმე კი ჩრდილში რჩება.

პოეტი მუხრანის სახღვართან დაღუპულ ყივჩაღს მკვდრეთით აღადგენს და მისი პირით გვიამბობს მომხდარს: „ყურღანებიდან გნოლი გაფრინდა, ყაბარდოს ველი გადაიარა, ისევ აღვსდექი! მუხრანის ბოლოს ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს. ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან ხოდაბუნები თავთუხებისა, შენი ტუჩებიც ისე ტკბილია, როგორც ბადაგი დადუღებისას".

გიორგი ლეონიძე ყივჩაღის თავაწყვეტას ხელუხლებლად ტოვებს და კიდეც აორკეცებს. თუკი ბალადის ტექსტში მოძალადე გადამთიელი ქართველი მოყმის ცოლს ეპოტინება, პოეტის ლექსში ქართველი ხალხის სალოცავებიც დაურბევია: „მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები, ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი".

მაგრამ მთავარი ეს არაა („ტაძრების ლეწვა", რა თქმა უნდა, ყივჩაღის სულისკვეთებას ასახავს და ძალზე შორდება რეალობას).

მთავარი ისაა, რომ გიორგი ლეონიძის ლექსში, განსხვავებით ბალადისაგან, ვხედავთ და ვუსმენთ ყივჩაღის მგზნებარე სიყვარულს, ქართველი ქალის მშვენებას რომ გაუჩენია. პოეტმა კეთილშობილი იერით შემოსა მოძალადე გადამთიელი. ყივჩაღის აღტკინებული გულისწადილი და ვნება პოეზიის ცეცხლს დაუხვეწია. მთელი მისი არსება დაუცხრომელ სიყვარულს შეუძრავს და იხატება დაუჯერებელი, წარმოუდგენელი სურათი, რომელიც მხოლოდ პოეზიის სამყაროს ეკუთვნის და ცხოვრებისეულ სინამდვილესთან არაფერი ესაქმება – ყივჩაღი ქართველ ქალს რუსთველის ლექსის ანარეკლით ებაასება: „ხოხობას გნახე, მიწურვილ იყო როცა ზაფხული რუსთაველისა".

ნიაღვარივით მოვარდნილ გრძნობას გადაურეცხავს ეროვნული ნიშნები. პოეტმა გამიჯნურებული ყივჩაღი წუთით თითქოს გააქართველა და ბალადაში ჩამარხული ეთნიკური ანტაგონიზმი ქარს გაატანა.

ლექსში მეორდება სიყვარულისგან თავდავიწყებამდე მისული ყივჩაღის საბედისწერო ხვედრი: „მაგრამ თვითონაც დაილეწება, დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად, მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი, თავი შუაზე გადამიჩეხა".

პოეტის კალამმა მომხიბლავი მეტამორფოზა განახორციელა. მკითხველს ავიწყდება, რომ ეს გამიჯნურებული ყივჩაღი ხალხურ ბალადაში შერისხული მოძალადის ორეულია. თანაუგრძნობს მძიმე განსაცდელში ჩავარდნილს, გულს სიბრალული მოედება და მის სინანულსაც თითქოს კვერს უკრავს: ნეტავ ბადაგი არ დაგელია და იმ დღეს ხმალი არ აგელესაო...

სიკვდილის პირას მისული ყივჩაღი, დამარცხებული და სასოწარკვეთილი, ქართველ ქალს მიმართავს: „მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას, ვეღარა გხედავ, სისხლით ვიცლები... როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლები".

მომაკვდავი ყივჩაღის თვალებში ნისლი ჩამდგარა, მაცნე სამარადისო ბინდისა, და დანისლული მზერა შერწყმია ქართლის ხეობათა ნისლს. საძროხე ქვაბი კი შემოხვევით როდი უნდა იყოს ნახსენები. ალბათ, მიგვანიშნებს, რომ პირუტყვივით დაკლეს ძე კაცისა, დაკლეს დაუოკებელი და უიმედო სიყვარულისათვის.

ამ სტრიქონებს ისეთი გულისტკივილით კითხულობ, თითქოს შენ თვალწინ შენივე ახლობელი ლევდეს სულს, თავგაჩეხილი და თვალდანისლული.

დასასრულ, უაზროდ აბობოქრებული და ძლეული გრძნობა საუკუნეებს გადაუქროლებს და მკვდრეთით აღმდგარი ყივჩაღი თავის საოცნებო სატრფოს ისევ უხმობს: „მოდი! გეძახი ათას წლის მერე, დამნაცროს ელვამ შენი ტანისა. ვარდის ფურცლობის ნიშანი არი და დრო ახალი პაემანისა!" (რუსთველს მეორედ დასესხებია სიტყვას).

გიორგი ლეონიძის კალმით გაცოცხლებული და ფერშეცვლილი ყივჩაღი ისევ იქ დაბრუნებულა, სადაც სასტიკად გაუსწორდნენ. დაბრუნებულა, რადგან მისი სიყვარული განვლილ ასწლეულებსაც კი ვერ დაუთრგუნავს. ვაჟკაცური ხმით მოუწოდებს სატრფოს ახალი პაემანისაკენ და ჯიუტად მიელტვის თავის მწარე ხვედრს – ისევ იგემოს მეტოქის რისხვა, ხელახლა გახდეს მსხვერპლი უიღბლო სიყვარულისა.

მშობელ მიწასა და ხალხურ პოეზიაში ფესვგადგმული პოეტი, ძველი მგოსნების დარად, გაეჯიბრა უცნობ წინაპარს ანუ უკვდავი ხალხური ბალადის ავტორს. თამამად გაეჯიბრა და, ვგონებ, დაამარცხა კიდეც. ოღონდ სანატრელია ამგვარი დამარცხება, დამარცხებულსაც რომ გაახარებდა.

გიორგი ლეონიძემ მთელი თავისი სულიერი პოტენციალი გაიღო, რათა შეექმნა ბრწყინვალე ჰიმნი სიყვარულისა. ხოლო ჩვენს ცნობიერებაში ათვალწუნებული, ლამის ველურად შერაცხული ყივჩაღი მარადიული და უჭკნობი გრძნობის მედგარ მედროშედ აქცია. პოეტმა აამეტყველა ორთაბრძოლის მეორე მონაწილეც, მოუსმინა მეორე მხარესაც, როგორც სამაგალითო სამსჯავროს ეკადრება, და მკითხველს წარუდგინა ბრალდებული ყივჩაღის ჩვენება პირუთვნელი განაჩენის გამოსატანად.

გიორგი ლეონიძის ლექსის მთავარი გმირი აღარც გულქართლი ქართველი მოყმეა და აღარც მოძალადე ყივჩაღი. მთავარ გმირად გვევლინება სიკვდილივით მძლეთამძლე, გარდუვალი და ულმობელი სიყვარული. მისი დაშრეტა არ ძალუძთ წყალთა მრავალთა და ადიდებული მდინარეებიც ვერასოდეს წალეკავენ.

თამაზ ნატროშვილი

წინათქმა

ქვეყანაზე არსთა გამრიგეს იმდენი ღირსსახსოვარი ადამიანი გაუჩენია, იმათი სათვალავი მარტო ერთმა ღმერთმა თუ უწყის! არადა უიმათოდ, უიმადამიანებოდ, მთელი ჩვენი ყოფა რკინის უსახურ გალიაში დატყვევებულ ნადირ-ფრინველთა სიცოცხლეს დაემსგავსებოდა; იმ ნადირ-ფრინველებისას, რომელთათვისაც მხიარული ჟივილ-ხივილი, სტვენა-გალობა ისეთივე უჩვეულო იქნებოდა, როგორც საიქიოში ცხრათვალა მზის ამოსვლა და ჩასვლა.

დიდი ხანია, მინდოდა მკითხველისათვის ერთი საოცარი ადამიანისა და მისი არანაკლებ საოცარი თავგადასავლების შესახებ მომეთხრო; მინდოდა თქვენც გცნობოდათ ის კაცი, რომელიც, მართალია, ათეულობით წელია, ცოცხალთა შორის უკვე აღარ არის, მაგრამ დღე-ცისმარე ისე როგორ ჩამოიცვლის, თანასოფლელებმა მის მიერ მონაყოლი უცხო ფერადი თავგადასავლები ერთხელ მაინც არ გაიხსენონ და სასოებით არ წარმოთქვან:

– ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო ანანო!

ეს კი იმას ნიშნავს, რომ პაპა ანანო სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობს, ჩვენს გვერდით დადის, კვლავ თხზავს ათასნაირ მხიარულ, ზოგჯერ დაუჯერებელ, ამბებს, გვიყვება, იცინის და ჩვენც გულიანად გვაცინებს!

მინდა მოგიყვეთ თავგადასავლები კაცისა, რომელიც სიკვდილის შემდეგ მეორე, ახლა უკვე მარადიულ, სიცოცხლეს იწყებს!

გურამ გედოშვილი

ვოვოს

ორი მოთხრობა

– ამ ინდაურისხელა ვარიკებს ხომ ხედავ? აბა, ახლა იმათ გალეულ დედას შეხედე, მიწას ძლივს რომ ასცილებია! არ გიკვირს, ამ მლივ კრუხს ეს ფასკუნჯივით შვილები – საიდან და როგორ? თანაც ერთი და ორი ხომ არა ჰყავს, მთელი ჯოგი დაუდის! არ დამიჯერებ, სამი თვის გამოჩეკილებია, მეტის კი არა! წარმოიდგინე, წლისანი რომ გახდებიან, რას დაემსგავსებიან, ალბათ ბავშვებს ზურგზე შეისხამენ! ნამდვილი სირაქლემები არიან! შეხედე, შეხედე, ან რა წვივ-დეზები აქვთ, ან რა მიხრა-მოხრა!

ვიცი, მკითხავ, სადაური ჯიშის ქათმებიაო? სადაური და არც სადაური! ჩვენია, ძმისწულო, ჩვენი, არაგვისხეული ქართული! ამათი მლივი დედაც ქართულია, გალანცკის ჯიშისა არა მყავს, მაგრამ იმისთანა ეშმაკის ფეხია და სატანის ნეკნის მკვნეტელი, მთელ დედამიწაზე ბადალი არ ეყოლება! ნეტავი გაცოდინა, რა ძალა და მოხერხება აქვს! რკინის პალოზე რკინის ჯაჭვით რომ დააბა, თუ გულში რამ ჩაიდო, მოკვდება, გაწყალდება, ჯაჭვს გაწყვეტს, თავს დაიხსნის და გულშინადებს მაინც შეისრულებს!

ამ შემოდგომაზეც, მეორედ რომ მოიქცა, ჩემმა მაკამ საბუდარი იქ მოუწყო, სადაც მძევალზე ჯდომას იყო მიჩვეული. შენც არ მომიკვდე, საბუდარს ახლოსაც არ გაჰკარებია. არადა, ვიცით, მოქცეულია, კვერცხად იცლება! ვერა და ვერ მოვიხელთეთ, დადის არე-გარე! ან რას მოვიხელთებთ, როცა ეზოსკენ მომავალი უცებ გიგანებს და წამში ხე-ქვას ამოეფარება! მთელი ორი-სამი კვირა ასე გვირია ჟამ-კვალი. მაკა მე მსაყვედურობს, მე – იმას:

– ოჯახის ქალი ხარ, – ვეუბნები, – ქათამმა თავის ჭკუაზე როგორ უნდა გატაროს? უდარაჯე, კვალში ჩაუდექი და არ შეიძლება, გარესაბუდარზე მჯდომს არსად წაასწრო!

– თვალი მაგას გაჰხეთქია, რათ უნდა ვდიო? იყოს თავის ნებაზე, ნაპარაჯევ კვერცხებს უკეთესადაც მოუვლის, ერთსაც არ გააცუდებს. დავაცადოთ, მოიკლას გულის ჭია და, დრო რომ მოუვა, გამოხდილ მართვეობას შინ უკლებლივ მოგვიყვანს!

- კიდეც შენი დარიგებული ყოფილა!

მას მერე მაკას ერთი-ორჯერ დაენახა წყაროს წყალზე გამოსული. ჯერ სულ რა იყო, შიმშილ-წყურვილით მუშტისხელად მოქცეულიყო. ნაკადულში წვივებაკაჩული ჩამდგარიყო, გახურებულ შიგანს იგრილებდა, თან ფრთა-ბუმბულს იფხორავდა, ჰაერს ივლებდა, ტანი არ ჩამიხურდესო! დასწყევლა ღმერთმა, ყველამ

ჯვრიპოლები

ყველაფერი როგორ იცის, ვინ არიგებს, ვინ ასწავლის ან იმ ნასწავლს როგორ იმახსოვრებენ?..

კვირის სწორზე მოდის ჩემსკენ მაკა, მოდის და თან იცინის:

– გამოჩნდა ჩვენი კრუხის პალო!

– არ გადამრიო, ცოცხალია?

– ცოცხალი და მეტი არა?

– სადა ყოფილა, სად ბრძანებულა?

– აქვე, კარის ბოსტანში.

– აბა, უყურე! დღე არ გავა, ბოსტანთან ცხრა-ათჯერ მაინც არ ავიარ-ჩავიარო, მე იქ მაგ მაჯლაჯუნასათვის თვალი არასდროს მომიკრავს!

– რას ნახავდი, – ისევ იღიმება ჩემი მაკა, – სათესლედ რომ დიდი, თეთრი გოგრა დაარჩინე, იმაში შემძვრალა და იქ დაუბუდებია!

– იცი, რას გეტყვი? სასაცილოდ ძალისელი მკითხავი ნინუა აიგდე! თუ გეცოტავება და გული გეთანაღრება, იმ ნინუას შენი თავიც ზედ მიაყოლე!

– ტყვია მომხვდეს, თუ გატყუებდე! თუ არა გჯერა, გამომყევი და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახე!

ხმა არ გამიღია, ბალღივით მორჩილად გავყევი.

ბოსტანში, ღობის აყოლებაზე, ჩვენებური თეთრქერქა გოგრა მითესია. ადრე გაზაფხულზე, როცა საგოგრე ორმოებს ვიღებ, ძირებში არაგვის შლამს ვუფენ, თან გამეცადინებული ზედ ვეფაფრები, გოგრის თესლს მთვარემ არსაიდან დამიხედოს... ერთი თუ დაჰხედა, მორჩა, თესლი დაჭიანდება! ყველას თავისი წესი და რიგი აქვს, ყველაფერს ცოდნა უნდა! აჰა, გინდა ეს ჩვენი კრუხის პალო თქვი! ხო უყურებ, რა ამბავშია!

თესლს რომ მინას ვუმძევლებ, სანამ კარგად გაღივდება, არაგვის წმინდა წყლით ერთი სამჯერ მოვრწყავ, მეტი ჯაფა-ჩაცქერა იმას აღარ უნდა! გოგრას დაიყრის, გოგრას დაიყრის, ოჯახი კი არა, მთელი სოფელ-მეზობლობა ჭამას ვეღარ აუვა! ზოგიერთი ძირის გოგრა იმოდენა იზრდება, ორი-სამი კაცი უნდა იმის ურემზე აგორებას! წლეულსაც ერთი საძირე გოგრა ნამეტანი გაიზარდა. სათესლედ მოვნიშნე. სხვა გოგრებში რომ არ აგვრეოდა, ზედ წითელი საღებავით ჯვარი დავახატე. ნეტავი გენახა, როგორც გოგრა მატულობდა, ისე ის დახატული ჯვარი! იმოდენა გახდა, ლამის გოგრას დააჭარბა!

მიმიძღვა ჩემი მაკა იმ წითელჯვრიან გოგრასთან, მიმიყოლებს, თან ჩუმად მეუბნება:

– მოდი, მოდი, ფეხები უკან ნუ გრჩება, აბა ყური მიუგდე! მიეედი ამ გაფაშფაშებულ-გადმოდუღებულ გოგრასთან და, ღმერთო, შენ მიშველე! კრუხის კრუტკრუტი მესმის, წიწილებს ელაპარაკება, რაღაცას უხსნის, ასწავლის, ჭკუას თუ არიგებს!

– უკვე გამოუხდია, ქალო!

– არაო, – მეუბნება, – ჯერ არ გამოუჩეკია, მაგრამ რაკი შვილებს ელაპარაკება და უკრუტკრუტებს, გამოტეხასაც ბევრი აღარაფერი უკლიაო.

მას მერე ბოსტნიდან ფეხი აღარ მოიცვლია; ან კი რა მომაცვლევინებს? გავიკეთე ერთი უბრალო ტახტი, გავიგე ქვეშ ნაბადი და იქ ვათენ-ვაღამებ. ერთი სული მაქვს, საკუთარი თვალით ვნახო, გოგრას როგორ გამოტეხენ და იქიდან რა ყოფით გამოვლენ! ზღაპარია, მაშ რა არის? არადა, კაცმა რომ თქვას, არც ზღაპარია, ჩემ თვალწინ ხდება ყველაფერი!

სიბნელე რომ წამოვა და სოფლის ფეხის ხმა მიწყდება, გოგრიდან გამოსული კრუხ-წიწილების ლაპარაკი მაშინ უფრო მკაფიოდ მესმის. ხმა კი მესმის, მაგრამ რა შემიძლია, ლოდინის მეტი? ღამეებს თეთრად ვათენებ, ლამის უძილობა დამჩემდეს. დილით ჩამოვა ჩემი მაკა ბოსტანში, საუზმეს ჩამომიტანს, მომიჯდება ტახტთან და ღიმილიანი მეკითხება:

– რაო, შენმა კრუხის პალომ, კიდევ დიდხანს ვისხდებით გოგრაშიო?

– გოგრა მაგასა და მაგისი ეშმაკები!

– რა ენაღვლება, სად მიეჩქარება, – ისევ იცინის მაკა, – მე შენ გეტყვი, სასმელი აქვს საშოვნელი, თუ საჭმელი? ყველაფერი ნისკარტის გაწვდაზე უდევს!.. სანამ იმ გოგრას შიგნიდან სულ არ გამოკრეხავენ და ცარიელ ქერქს არ დატოვებენ, მანამ ფეხს არ მოიცვლიან.

– გითხარი, ეგ კრუხი შენი დარიგებულია-მეთქი!

– ამდროულა კაცს ჭაღარის მაინც შეგრცხვეს, ტყუილს და ნაცილს რომ კადრულობ! მე რომელი ქათმის ჭკუის დამრიგებელი მნახე? აზირ, ისა თქვა, რომ ეშმაკის ფეხი დედალია! მე, თუ გინდა, პირში წყალს ჩავიგუბებ, მაგრამ, ხომ იცი, მაგის მოუფიქრებელი და გაუკეთებელი დედამიწაზე აღარაფერი დარჩა! რკინის კედელს გახვრეტს, რიყის ქვიდან ჭიაყელას ამოთხრის, გოგრა რა გაუხდებოდა?

ქალს სიტყვა არ დაემთავრებინა, ის იმოდენა გოგრა ჩვენ თვალწინ ფარა-ფარა გადაიხსნა და გულისგულობამდე გამოჭმულ-გამოკრეხილი, აქეთ-იქით გადაიშალა. გადაიშალა და გამოჩნდა ეს ჩვენი ახალკრუხობაც! იმოდენები არიან, თვალი მომცა და მაყურებინაო! მოდიან, მოაბიჯებენ, იტყვი, ომგადახდილი ფასკუნჯები თავთავიანთ ბუდეებს უბრუნდებიანო! წინ თავიანთი ალქაჯი დედა მოუძღვის და ქათმების ენაზე რაღაცას უხსნის, უკრუტკრუტებს. ჩვენ იქა ვართ, მაკაც და მეც, გაგიგონია, ზედაც არ გვიყურებს, ძაღლად არ გვაგდებს! თითქოს ერთი მუჭა საკენკიც არასოდეს მიგვეყარეს! ოქროს საათის ამბავი

ვატყობ, დროს ეშურება, უნდა საქმეს სიგრილითვე მორჩეს.

– დილა მშვიდობისა, პაპა!

ანანომ თეთრი, სპეტაკი თავი მაღლა ასწია, მიიხედ-მოიხედა და, ჭიშკართან მდგარი რომ შემნიშნა, ხალისიანად გამომძახა:

– მშვიდობა მოგცეს ღმერთმა! – და ზედვე წააბა: – რომელი ხარ, განა კი გცნობ?

– გამიხარდიანთ ვასოსი ვარ, გურამი!

– უჰ, ჩვენი ყოფილხარ, კაცო! მერე და რა შორიდან იძახი? შემოდი, სად მიგეჩქარება, დავილაპარაკოთ, ზოგი მთისა ვთქვათ, ზოგიც ბარისა.

– საქმეს არ მინდა მოგაცდინო, ანანო პაპა!

– საქმეს, შვილო, სხვა ვინ ასვლია, მე რომ ავუვიდე! ხომ მთელი სიცოცხლე ვშრომობთ, ვფუსფუსებთ, მუხლს არ ვასვენებთ; ამ ჯაფაში მიდის წლები, ჩვენც მივდივართ, საქმე კი ისევ ფეხზე დგას, არ თავდება!

ეზოში შევდივარ და პაპა ანანოს გვერდით, წიფლის ხის გადანაჭერზე, ვჯდები.

– მაკა! – გასძახის ოჯახში მოფუსფუსე მეუღლეს, – ნახე, ნახე, ღმერთმა როგორი ძვირფასი სტუმარი გამოგვიგზავნა!

კარებში ხნიერი ქალი გამოჩნდა. მოდის, წინსაფარზე სველ ხელებს იმშრალებს და თან ქმარს ღიმილიანი საყვედურობს:

– მერე და ძვირფას სტუმარს ჩვენში აგრე როდი ხვდებიან? შინ შემოიპატიჟე, ქრისტიანო!

აწრიალება რომ შემატყო, დამიყვავა:

– ჯერ ადრეა, შვილო, ქვეყანა დღე ჩამოივლის. ან ისეთი რა საქმე გაქვს, საღამომდე ვერ აუხვიდე?

მერე ქმარს მიუბრუნდა:

– ნეტავ მართლა რა დროა?

პაპა ანანომ გულის ჯიბიდან ძველებური ოქროს ძეწკვიანი საათი ამოიღო, გვერდზე თავგაღერილმა გახედა:

– ოჰ! – გაიკვირვა, – ბებრების საუზმის დროც მოსულა!

– ანანო, კაცო, ეგებ სტუმარი ცოტა შეიქციო, შენებურად რამეს მოუყვე, ამასობაში საუზმესაც გაგიმზადებდით!

სანამ მაკა ბებო სიტყვას დაამთავრებდა, პაპა ანანო უკვე ჰყვებოდა:

– აი, ეს საათი ძველებური ბაჯაღლო ოქროსია! გარედან ხომ ოქროა და ოქრო, შიგნითა მოწყობილობაც უცვეთელი ალმასისა აქვს! ჩვენებური ნახელავი არ გეგონოს, უცხოეთში არის დამზადებული. თანაც იცი, როდინდელია? ამ საათის ხნისა, ალბათ, ქვაც აღარ გორავს! სიმამრის ნაჩუქარია. მაკა და მე რომ დავქორწინდით, ჩემმა სიდედრ-სიმამრმა ცხვირპირიდან მური ჩამოიხოცეს, შეგვირიგდნენ, სალმის მიცემას გვაღირსეს! ეკლესიიდან რომ გამოვედით და მორთულ-მოკაზმულ ფაეტონში უნდა ჩავსხდეთ, მოვიდა ჩემი სიმამრი, ეს ოქროს საათი თავის ოქროს ძეწკვით ახალუხის ღილკილოზე საკუთარი ხელით შემაბა, გადამეხვია და მითხრა:

– სიხარულში გეტარებინოს! გამრავლდი და გაძლიერდი! თუ მოუვლი, თქვენ კი არა, თქვენი შვილთაშვილებიც მოიხმარენ! უცხო საათია, უცხო ოსტატის ნახელავი!.. ამ საათით პაპაჩემის პაპა, სულხან მიგრიაული, ერეკლე მეფეს დაუსაჩუქრებია. ინდოეთს რომ ულაშქრია, ის ჩვენი პაპის პაპაც თან ჰხლებია და ბრძოლაში ისე უმარჯვია, რომ ალყაში მოქცეული მეფე ტყვედ ჩავარდნისაგან უხსნია. გახარებულ მეფეს ჩვენი პეპერა იქვე, მეომრების თვალწინ, დაუსაჩუქრებია, ოქროს საათი გადაუცია. აბა, მოთვალე, ერეკლე მეფის შემდეგ რამდენმა

წყალმა ჩაიარა, ეს კი, წამი და წუთი რა არის, არც წინ წასულა, არც ჩამორჩენილა! ვინძლო, მშვიდობაში მოიხმაროო!

– მას მერე სულ თავქებაზე დავატარებ, ჩემი თავი მთელ ქვეყანას გააცნო; ვინ აღარ მოდიოდა და დღესაც მოდის: ანანო, უბრალოდ, თვალით მაინც გვაჩვენე, მაგ საათის უნახავს ნუ მოგვკლავო!

ერთხელ კი სიკვდილი მართლა მანატრებინა! რა იყო და, ახალსიძეობისას გულში ოცნებად ამოვიჭერი – ჩემი მაკასთვის უცხოზე უცხო სამაჯური უნდა დამემზადებინა. სამაჯურისთვის მზით, ქარით და წვიმით გახვრეტილი ფასკუნჯის კვერცხისფერი სამი ბროლის თვალი უნდა მეპოვნა! ასეთი თვლების მოძიება კი ათასმილიონში ერთს თუ შეუძლია! მამაჩემის ნათქვამი მახსოვდა: ფასკუნჯის კვერცხისფრად დაფერილ ბროლის თვლებს სამასი წლის უსურვაზის ფესვებქვეშ თუ მიაგნებს მძებნელიო! მივდივარ და მოვდივარ ამ არაგვის ჭალებში; დავეძებ სამასი წლის უსურვაზის ხეს! იმდენი ვიარე, სანამ არ მივაგენი! ფესვებქვეშ თხრას ვიდრე დავიწყებდი, საათი შევიხსენი და იქვე ახლო, შვინდის ხის ტოტზე ნიშანდობლივ ჩამოვკიდე. ვთხრი და ვთხრი, სახეზე ხვითქი მასკდება, მაგრამ დასვენება რა არის, აღარც მახსოვს! მზე მთებს ჩაეფარა, სადაცაა, ბინდი წამოვა, მე კი უსურვაზის ფესვების თხრაში ვარ გართული. უცებ სახეში სამმა ციცინათელამ შემომანათა! დავეტანე, ავკრიფე და გაოცებული დავყურებ, სიხარულისაგან სუნთქვა მეკვრის:

– ვიპოვე, მივაგენი! ჩემი ხარ, ფასკუნჯის კვერცხისფრად დაფერილო ბროლის თვლებო! სულ მალე ჩემს მაკას ადამიანის თვალუნახავ უცხო სამაჯურს შევაბამ!

თვლები გულისჯიბეში ჩავიწყე და არაგვის ჭალები ისე ამოვირბინე, სული არ მომითქვამს. მოვრბივარ და მარტო იმაზე ვფიქრობ, პაპაჩემისეულ ზარდახშაში ამ თვლებს მაკას უჩუმრად როდის დავაბინავებ!

მთელი ღამე თვალს ძილი ვერ მივაკარე. ოთახში ისეთი უჩვეულო და უცნაური სიწყნარეა გამეფებული, მოსვენება დავკარგე. როდის, როდის მივხვდი: ჩემი საათის წიკწიკის ხმა აღარ მესმოდა, უჩვეულო სიწყნარეც ამიტომ ჩამომდგარიყო! ჩუმად, სულისლევით ავდექი, ყველა ჯიბე მოვიჩხრიკე, მაგრამ რაც აღარა მაქვს, იმას როგორ ვნახავ?! ვაი, შენს ანანოს! თვლების ძებნაში გართულმა თურმე არანაკლები განძი დავკარგე! ერთხანს თავის მოკვლაც დავაპირე, მაგრამ სწორედ მაშინ გამახსენდა მამაჩემის სიტყვები: ცხოვრებაში კაცი არც დიდმა სიხარულმა უნდა გადარიოს, არც დიდ წუხილს უნდა შეეჭმევინოს; ღვთის მოვლენილს ღმერთივე გაარიგებსო!

დავკარგე მოსვენება. მას მერე ოჯახში, ეზო-კარში ლანდივით მივდი-მოვდივარ, ჭამაც კი ავკრძალე.

– ავად ხომ არ გამიხდი, ანანო, კაცო? – მეკითხება ჩემი მაკა. – სახეზეც რომ მიტკლისფერი გადევს?

– არა! – ვეუბნები, – კაჟივითა ვარ, კაჟივით!

არადა, ხომ ვიცი, როგორცა ვარ! იმ დღიდან მოკიდებული, მთელი სამი-ოთხი თვე არაგვის ჭალების ბინადარი გავხდი; ჭალებში უთენია შევდივარ და დაბინდებულში გამოვდივარ. ვეძებ და ვეძებ ჩემს ოქროს საათს, მაგრამ, რაც დრო გადის, თანდათან უიმედობა მეუფლება: – რას მივაგნებ იმ სამასი წლის უსურვაზს, ან იმ შვინდის ბუჩქს, ხეები ერთიმეორეს ტყუპისცალებივით ჰგვანან! შემოდგომა მაინც იყოს, ბუჩქებს ფოთლები დასცვივათ, გაშიშვლდებიან, ახლა კი რას მივაგნებ, ნაბადმოსხმულებივით დგანან!

მოვდივარ შინისკენ უნუგეშო და მხარმორღვეული. შემოვედი ეზოში და ტანგაუხდელი აემ ტახტზე მივწექი. ისეთი ვარ, დილავ, ნუმც გასთენდები, ღამევ, ნუმც დაღამდები!

მოდის ჩემი მაკა, ტახტთან ახლოს იდგამს სკამს და მაკვირდება, მერე შუბლზე ხელისგულს მადებს:

– ჯარ დამღუპო, ანანო, კაცო! შენ თავს რაღაც ფარსაგი ამბავი არ არის!

– არა-მეთქი, ქრისტიანო!

– გევახშმა მაინც. მშიერს რა დაგაძინებს?

– რა დამაძინებს და ძილი დამაძინებს...

– ნეტა რომელი საათია? გენახა მაინც!

– რა ნახვა უნდა, ათი იქნება!

– შენ თუ გეზარება, მე ვნახავ! – მეუბნება მაკა და გულისპირს მიჩხრეკავს. მერე შეშინებული მეკითხება:

– საათი რა უყავი, ანანო?!

– რა ვუყავი და... ის ვუყავი, რო...

– ვაი, თუ სადმე დაგეკარგა?..

– დამეკარგა, ჰო, დამეკარგა, მაგრამ თავს ხომ ვერ მოვიკლავ? რომც მოვიკლა, წახდენილ საქმეს რაღა ეშველება? სამი-ოთხი თვეა, თავადაც ხედავ, გავტყიურდი, დილაბნელში სახლიდან გასული, შინ ღამითღა ვბრუნდები. დავდივარ, ცა და ხმელი შევაჯერე, საათს ვეღარ ვაგნებ! კარგად მახსოვს, შვინდის ტოტს შევაბი, მაგრამ იმ დალოცვილ ძირს რომ ვეღარ მივაგენი! ან რას მივაგნებ, ხე ხესა ჰგავს, ბუჩქი – ბუჩქს, ტოტი – ტოტს!..

– იმედს მაინც ნუ გადაიწურავ, ანანო, კაცო! ადამიანი იმედის შვილიაო, – დედაჩემისაგან მაქვს გაგონილი.

– კეთილი და პატიოსანი! ვივლი, სანამ შევიძლებ, მაგრამ გული მიგრძნობს, მე იმ საათს ვეღარასოდეს მივაგნებ!..

– იმედს ნუ გადაიწურავ-მეთქი, გითხარი! სადაც ამდენი გიძებნია, ბარემ ამ ერთ კვირასაც ძებნე, იქნებ ანანურის ღვთისმშობელმა გზამართალს დაგაყენოს!

მეორე დღეს, თენება რომ დაიძრა, ავდექი, საგზლიანი გუდა მხარზე გადავიკიდე, ავიღე ჩემი ურძნის ხელჯოხი, ვახსენე ღმერთი და გზას დავადექი. უმძრახი წავედი, მაკასაც არ შევხმიანებივარ. ვიარე და ვიარე. სადაც გავივლი, ნიშანს ვტოვებ, ხის ზროებზე ჭდეებს ვაკეთებ... რა იცი, უღრანი ჭალაა, ამ ჭდეებით იმას მაინც მივხვდები, ერთხელ ნანახი ადგილი ხელახლა აღარ ვჩხრიკო!..

სადილობამ რომ მოატანა, მუხლში დაღლა ვიგრძენი. ერთი ჩრდილი მოვძებნე და, ის არის, საუზმე უნდა ამოვალაგო, რომ ამ დროს...

– ღმერთო, მაღალო, დაგელოცა სამართალი! ნეტავ ყური ხომ არ მატყუებს? ცხადია თუ მოჩვენება?.. არა, არა, რა მოჩვენება, რის მოჩვენება, ჩემი ოქროს საათი წიკწიკებს! ჭამა ვიღას ახსოვს! წამოვვარდი ფეხზე და წიკწიკის ხმას ვაყურადებ. იმის ხმა არის! ჩემი საათის წიკწიკს თუნდა ათასი საათის ხმაში გამოვარჩევ! წავედი წინ, პატარა ტბორისკენ... წიკწიკის ხმა თანდათან წყდება. მოვბრუნდები მარჯვნივ, სამ-ოთხ ნაბიჯს წავდგამ და საათის ხმაური უფრო და უფრო ძლიერდება! მივყევი წიკწიკის ხმას და ცხრა-ათი ნაბიჯიც არ გადამედგა, ჩემმა ოქროს საათმა შვინდის ტოტიდან სახეში შემომცინა!

ჩამოვხსენი, ვკოცნი, ვეფერები, სულში ვისვამ! იმანაც, არ ვიცი, ჩემი დანახვით გაიხარა თუ რა იყო, წიკწიკს უფრო უმატა და უმატა!

დავხედე. ზუსტად შვიდი იყო. ფეხს ავუჩქარე, რადგან მთაში მზის ჩასვლა და დაბინდება ერთია! მოვდივარ და მოვიმღერი. არა, მე კი არა, გული მოიმღერის! სახლამდე ჯერ კიდევ დიდი გზა მედო. გავიხედე და ჩემი მაკა ჩემს შესახვედრად მოეშურება.

– ეზოში ვიყავი, თან თვალი გზისკე მეჭირა. უცებ მამაჩემისეული საათის ხმა გავიგონე და შინ რაღა გამაჩერებდაო?

მოვიდა და გადამეხვია, გადამკოცნა!

– კოცნით არ მიკოცნია, ბიჭს ნუ ატყუებ! – გაღიმებული გვიყურებს მაკა ბებია, – გახარებული კი ძალიან ვიყავი! ის უფრო მახარებდა, იმედი რომ არ გადაიწურე!

– კიდევ კარგი, დაგიჯერე, თორემ ჩვენი სიყვარულის თილისმას როგორ მივაგნებდი? – იღიმება პაპა ანანო და მერე ამატებს:

– ღმერთმა ხომ იცის, ვინ ვის მიაგნო, მე – საათს, თუ საათმა – მე?!

სავანე

წინათ, როცა უფრო ახალგაზრდა ვიყავი, ყურს არ მჭრიდა ქართველების ტრადიციული დალოცვა: „ტკბილად დამიბერდი“, ამ თავისთავად შესანიშნავ სურვილს მრავალი ასპექტი შეიძლება მიუსადაგო, მაგრამ, ალბათ, მთავარი მაინც ისაა, გენიოსმა პოეტმა რომ თქვა: „სიბერე მჭირს ჭირთა უფრო ძნელია...“ ტკბილად დაბერების სურვილში ქართველები, უდავოდ მოწესრიგებულ, ახლობლებით გარშემორტყმულ, უზრუნველყოფილ სიბერეს გულისხმობდნენ.

დღეს, ჩვენი ქვეყნის მწარე რეალობაში, ამ სურვილის ერთ-ერთი ასპექტი დაცინვადაც ჟღერს. წყალსგადაყოლილი დანაზოგების შემყურე, 12 ლარის იმედად დარჩენილ პენსიონერებს, რა ტკბილი სიბერე უნდა ჰქონდეთ?! მათი უმუშევარი შვილები სულ უფრო და უფრო გმობენ კავკასიელთა მოხუცებულისადმი მოკრძალების ტრადიციას და ხანდაზმული მშობლები ზედმეტ „კუჭად“ ევლინებათ, უშვილძირო, დაავადებულ მოხუცებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია – ისინი ხომ მართლაც ბედის ამარა არიან დარჩენილი. შედეგიც სახეზეა – გადახედეთ თბილისის ქუჩებს, მოწყალებას ძირითადად ბავშვები და ახალგაზრდები ითხოვენ. მოხუცებულებმა ვერ გაუძლეს შიმშილს, სიცივეს და, მრავალი მათგანი, მიუხედავად მსოფლიოს გერონტოლოგების მიერ ქებული კავკასიური დღეგრძელობისა, უდროოდ და უხვად მიეშურებიან ზეციურ საქართველოში...

ამ დროს თბილისში არის სავანე, სადაც ხანდაზმულებს შეუძლიათ არათუ შეაფარონ თავი, არამედ ბედნიერად გალიონ დარჩენილი დღენი. მას ჰქვია – ხანდაზმულთა პანსიონატი „სავანე“ თბილისის ზღვაზე. იგი კომუნისტების დროს ააგეს, როგორც პერსონალურ პენსიონერთა თავშესაფარი და მახსოვს, პირადად ვიღებდი მონაწილეობას მის საზეიმო გახსნაში.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, სავანე გაპარტახების პირას იყო მისული, თავის დროზე ზღვაზე დაბანაკებული სხვადასხვა რაზმები ცდილობდნენ შიგ შეჭრას. შეიძლება ითქვას, რომ მსურველთა მთელ არმიას ერთმა ტანმორჩილმა ქალბატონმა გადაუღობა გზა. ეს გახლდათ ამ პანსიონატის დირექტორი, ღირსების ორდენის კავალერი ქალბატონი მერი გოგოლი. მან ნამდვილი ბარიკადები მოუწყო დამტაცებლებს, დღე და ღამე არ სცილდებოდა შენობას, არ შეუშინდა ავტომატიანების თარეშსაც კი და, როდესაც შეგონებით ვერას გადიოდა, მკერდით უღობავდა მათ გზას...

პირველი კითხვა, რომელიც ქალბატონ მერის გაცნობისას დამებადა ის იყო, თუ საიდან აქვს მას, ქართველ ქალს, ასეთი უჩვეულო გვარი? მე გვარად დარსაველიძე ვარო, მიპასუხა ქალბატონმა მერიმ, ეს ჩემი მეუღლის გვარიაო და ერთი კურიოზიც მომიყვა: წარმოშობით რუსი ოჯახები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დასახლებულან სამეგრელოში, მდინარე ცხენისწყლის ნაპირებთან, თავიანთი დასახლებისათვის „რეკა“ დაურქმევიათ (რუსული „მდინარის“ სახელის მიხედვით), დღეს რეკა ერთ-ერთი ცნობილი სოფელია სამეგრელოში. გოგოლების გარდა სოფლად დასახლებულან ტურგენევები და კრილოვები. დროთა განმავლობაში ამ ოჯახებს ისეთი ასიმილაცია განუცდიათ, რომ მთლიანად „გაქართველებულან“. უფრო მეტიც, მხოლოდ მეგრული და ქართული ენები სცოდნიათ და, რომ იტყვიან, გაქცეულ რუსსაც ვერ მოაბრუნებენო მათზეა ნათქვამი...

სამი ძმაკაცი ყოფილან – მერის მეუღლე სერგო გოგოლი და ორიც – ვინმე ტურგენევი და კრილოვი. სკოლის დამთავრების შემდეგ სამივეს სოხუმის პედინსტიტუტში გადაუწყვეტიათ ჩაბარება ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მისაღებ გამოცდებზე რუსულ ენაში პედაგოგი გაოცებულა – თქვენ რა, სასაცილოდ მიგდებთ – სად მოიყარეთ თავი სამმა რუსმა კლასიკოსმა და რუსულის ინჩი-ბინჩი არ გაგეგებათო?! აბიტურიენტებს დიდი ძალისხმევა დასჭირვებიათ თავისი სიმართლის დასამტკიცებლად და საბრალო სამიანების მისაღებად „მშობლიურ ენაში“...

დღეს ბატონი სერგო ქართული ენის პედაგოგია, შესანიშნავი მეოჯახე, მამა და ბაბუა, იგი გვერდში უდგას ქალბატონ მერის. – დღე და ღამე აქა ვარ, – ყვება ქალბატონი მერი, ჩემს მეუღლეს ესმის, რომ ჩვენი სახლის ბინადრები ყოველწუთს მოითხოვენ მზრუნველობას და მეთვალყურეობას. დღეისათვის ოთხმოცამდე მარტოხელა ადამიანის ბედ-იღბალი, ტკბილი თუ მწარე სიბერე აბარია ჩვენს მცირერიცხოვან, მაგრამ ერთ მუჭად შეკრულ კოლექტივს. თუმცა, ყველაფერი ხდება – ოჯახი ხომ ოჯახია, შიგ ხან კარგი და ხან ცუდიც მოდის, მაგრამ საერთო ძალებით ვცდილობთ, რომ ამ ადამიანების სიბერე, რომლებმაც თავისი ბედ-იღბალი ჩვენ მოგვანდეს, ტკბილი იყოს. არ დაგიმალავთ – ეს დღეს ძალზე ძნელია. სახელმწიფოს უჭირს, თითქმის ვერ გვაფინანსებს, არადა, ამ ხელა ოჯახს, შენობას, ეზო-მიდამოს, მოვლა-პატრონობა უნდა. მხოლოდ შარშან სახელმწიფომ ვერ გამოგვიყო კუთვნილი 125 ათასიდან 41 ათასი ლარი, წელს უკვე 70 ათასი ლარი დაგვაკლეს, მაგრამ, საბედნიეროდ არიან ადამიანები, რომლებიც, შეძლებისდაგვარად გვეხმარებიან. ესენი არიან ქალბატონი ნანული შევარდნაძე („ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“), გია ენუქიძე – („წითელი ჯვარი“), გიორგი გედევანიშვილი („საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ამქორი“) და სხვები.

– ძველი ბერძნები ამბობდნენ: „გახსოვდეს სიკვდილი“, – განაგრძობს საუბარს ქალბატონი მერი. მე კი ვიტყოდი: „გახსოვდეს სიბერე!“ იგი სანატრელი მხოლოდ მაშინაა, თუ მის გარდა არაფერი გაწუხებს. დღეს მრავალ ხანდაზმულ ადამიანს სურს ჩვენთან მოწყობა, მაგრამ იძულებული ვართ, უარი ვუთხრათ. მართალი გითხრათ, ყოველთვის, როცა ამას ვაკეთებ, გული მიკვდება, რადგან ვიცი, რას ნიშნავს ქართველი ადამიანის მენტალიტეტისათვის ჩვენთან მოსვლის სურვილი და მითუმეტეს, უარის მიღება. თუმცა მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში ხანდაზმულები მიუხედავად ცენზისა და სიმდიდრისა სწორედ მოხუცებულთა პანსიონატებში აფარებენ თავს, სადაც თავიანთ ტოლებთან ერთად, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ილამაზებენ სიბერეს. რა თქმა უნდა, ის პანსიონატები ფასიანია და მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენ თავი მოგვწონს ჩვენი პანსიონატით, მათი შედარება ჩვენთან ძნელია.

ქალბატონი მერი იმედოვნებს, რომ სულ მალე ჩვენშიც დადგება ის დრო,

როდესაც კაცს მოხუცებულობის თუ მარტოობის აღარ შეეშინდება. ამისათვის საჭიროა იმ ადამიანების ძალისხმევა, ვისაც ახსოვთ სიბერე, აქვთ ქველმოქმედების ნიჭი და უნარი. თუ უცხოური ტიპის პანსიონატებს ჯერჯერობით ვერ შევწვდებით, დასაწყისში შეიძლება თუნდაც მოსკოვის გამოცდილების გამოყენება. იქ შეიკრიბა თანამოაზრეთა ჯგუფები, შექმნეს მზრუნველთა საბჭოები, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს და ჩამოაყალიბეს რამდენიმე სანიმუშო თავშესაფარი. მათში, ძირითადად, ის ადამიანები ცხოვრობენ, ვისაც ჰქონდათ საკუთარი ბინები. სათანადო საბუთების სამთავრობო დონეზე გაფორმების შემდეგ, ჩადეს თავისი ბინები და დღეს შესაშურ პირობებში ცხოვრობენ. ისევე, როგორც მოსკოვში და სხვა ქალაქებში, ჩვენშიც უამრავი მოხუცია, რომლებსაც ბინის ხარჯზე შორეული თუ ახლობელი ნათესავები აშენებას, ედემში ცხოვრებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ მალე ივიწყებდნენ დანაპირებს. უფრო მეტიც – სიცოცხლესაც კი უმოკლებდნენ მათ...

– დასაწყისისათვის – თვლის ქალბატონი მერი, – შეიძლება ჩვენი სახლის პრივატიზება მზრუნველთა საბჭოს მიერ. ამ საბჭოში უნდა შევიდნენ პატიოსნებითა და კეთილსინდისიერებით გამორჩეული ადამიანები, სპეციალისტები, რომლებმაც მოზიდული თანხებით აჩუქონ მოხუცებს ტკბილი სიბერე, აშენონ ახალი პანსიონატები, – სადაც ცხოვრების ბოლო წლების გატარება მართლაც სანატრელი იქნება. დაახლოებით ისე, როგორც ეს დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სხვა მდიდარ და განვითარებულ ქვეყნებში ხდება. მდიდარი შვილებით და ნათესავებით გარშემორტყმული მოხუცები პანსიონატებში მიდიან, რათა თავის თანატოლებთან მხიარულად იცხოვრონ, გაატარონ დრო, ხშირად პირადი ცხოვრებაც კი მოიწყონ.

ქალბატონი მერი, რომელსაც ამ სფეროში მუშაობის უდიდესი გამოცდილება აქვს, იწვევს მსურველებს მზრუნველთა საბჭოს შესაქმნელად. მას არც იმის ეშინია, რომ სულიერი სიმშვიდის გარდა, კარგად ორგანიზებული ეს პროექტი, დროთა განმავლობაში მის მონაწილეებს მორალურ კმაყოფილებასთან ერთად რეალურ შემოსავალსაც მოუტანს...

დღეისათვის პანსიონატი ფასიანია. თუმცა, ეს ხმამაღლაა ნათქვამი – საფასური ბინადართა პენსიის ნაწილია, ანუ ის თანხაა, რომლის იმედით კარს ფართოდ ვერ გაშლი. არადა, წყლის, შუქის, გაზის, კომუნალური მომსახურების, სხვა გადასახადები მძიმე ტვირთად აწვება მოხუცთა ისედაც ღარიბ ბიუჯეტს. „სავანელი“ დიასახლისი ეძებს გზებს, რათა უფრო მეტ ხანდაზმულს გაუადვილოს ცხოვრება. მან შეძლო მიექცია ამერიკელი ქველმოქმედი ქალბატონის დაინტერესება, რომელმაც „სავანეს“ დათვალიერების შემდეგ სურვილი გამოთქვა, დაეხმაროს ამ სახლს და მის ბინადრებს. ამჟამად ამ ქალბატონის მიწვევით მერი გოგოლი ამერიკაში იმყოფება.

– ვფიქრობ, – განაცხადა მან წასვლის წინ, – შევისწავლო ამერიკელთა გამოცდილება, ჩამოვიტანო ანალოგიური სახლების დებულებები, მზრუნველთა საბჭოების მოწყობის წესი და შემდეგ უფრო კონკრეტული მუშაობა გავაჩაღო ჩვენი სახლის გაფართოების, ახალი სავანეების შესაქმნელად. მანამდე კი იგი დიდი სიამაყის გრძნობით გვათვალიერებინებს სამლოცველო ოთახს, სადაც კვირაში ერთხელ და დიდ დღესასწაულებში ეკლესიის მსახურები ლოცვა-წირვას აღავლენენ, კოპწია, ერთსაწოლიან ოთახებს, რომლებიც მოხუცებს თავისი გემოვნებით მოურთავთ, სააბაზანოებს, სასადილო ოთახებს და სამზარეულოებს. აქ ფუსფუსებენ ისინი, ვისაც შეუძლია, მოემსახუროს თავის თავს, ხოლო ვისაც ეს არ შეუძლია, მომსახურე პერსონალთან ერთად ისინიც ზრუნავენ დავრდომილებზე. ქართველები, სომხები, რუსები, ებრაელები, ქურთები, აზერბაიჯანელები – ამ სახლის ბინადრები ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობენ და მადლიერებას გამოთქვამენ „სავანეს“ კეთილი დიასახლისის მიმართ.

დარწმუნებული ვარ, რომ ქალბატონი მერი კიდევ ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებს, საფუძველს ჩაუყრის ჩვენში მოხუცებულთა კეთილმოწყობილი სახლების შექმნას, რომლებშიც ცხოვრება უპატრონობის სიმბოლო არ იქნება. იმ 17 წლის განმავლობაში, რაც იგი „სავანეს“ დიასახლისია, კარგად გაიგო, რას ნიშნავს „ტკბილი სიბერე“ და სიბერის სიმწარეც. ამის რწმენას ისიც მაძლევს, თუ როგორი სიფაქიზით ლაპარაკობს იგი მოხუცებული, ძალამიხდილი, დაუცველი ადამიანების ბედ-იღბალზე, როგორ ღრმად შეუსწავლია მათი ფსიქოლოგია, როგორ თანაუგრძნობს მათ.

ამ ეტაპზე გარდა თანაგრძნობისა და კეთილი სურვილებისა – ღმერთმა მისცეს ძალა ჩანაფიქრის განსახორციელებლად, არაფერი შეგვიძლია, თუმცა, ვფიქრობ,ამ კეთილშობილ ქალბატონს სახელმწიფოც, მთელი საზოგადოებრიობაც უნდა დაუდგეს გვერდში, რამეთუ ყველას უნდა გვახსოვდეს სიბერე!

ლამარა გაგუა

ბალადა ვეფხვისა და მოყმისა ირანულ ენაზე

ვინც ერთხელ მაინც მოისმინა ქართველი კაცის გულიდან ამოხეთქილი ბრწყინვალე ბალადა, არ შეიძლება არ იგრძნოს ის მაგიური ძალა ქართული პოეზიისა, რომელიც ადამიანს ვაჟკაცობისა და ადამიანურობისკენ განაწყობს.

და რა გასაკვირია, რომ მოყმის ამბავმა, სამშობლოს მოწყვეტილ ქართველსაც ხელში კალამი ააღებინა და ათარგმნინა ეს მარგალიტი.

„მოყმისა და ვეფხვის“ მთარგმნელი ირანულ ენაზე მუხთარ ასლანია.

მუხთარი უბრალო, ჩვეულებრივი ფერეიდნელია, რომელმაც იქ მყოფ თანამემამულეებთან ერთად საუკუნეებსა და მოძალადეთა ზეწოლას გაუძლო და ამ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა, რადგანაც მათ თავი არავისათვის მოუხრიათ და თავისი „დედის ენა“ არ დაუკარგავთ! ასევე, არც დიდი გურჯისტანი და არც ქართული ვაჟკაცობა დავიწყნიათ!

თეირანი. 1965 წელი. პირველად ირანში გაიმართა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობების მოღვაწეთა გამოფენა.

– მაი, ქართველ ხარ, ბიჭო? – ერთ დღეს ახალგაზრდა ფერეიდნელთა ჯგუფმა გამაცნო თავი.

– მე მუხთარა ასლანი ვარ! – მითხრა მაშინ ახალგაზრდამ და მაგრად ჩამოვართვით ხელი საზღვარს აქეთ და იქით მყოფმა ქართველებმა და იმ დღიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა.

ეს იმ დროს იყო, როდესაც ფერეიდნის მთიანეთში გზების გაყვანა დაიწყეს და მთიელმა მოსახლეობამ ქალაქებისკენ იწყო დენა. რა თქმა უნდა, კარჩაკეტილად მცხოვრებმა ფერეიდნელმა ქართველებმაც ქალაქებს მიაშურეს.

აღსანიშნავია, რომ ამ წლებში მთელს ფერეიდანში ქართული წერა-კითხვა არავის სცოდნია: „ყველასა აქვს ყე თავისი წერა, ფარსსა, ფრანგსა, სომეხსა, ჩონ კი ქართველებსა არა გვაქ ყე...“ და ამ ბიჭებმა, ფერეიდნიდან სამუშაოდ თეირანს რომ ჩამოსულიყვნენ, გადაწყვიტეს შეექმნათ ქართული ანბანი. ბევრი უწვალიათ, მაგრამ „თავი ვერ მოურგიათ“... ამ ჯგუფში იყვნენ მუხთარი, ჰაიდარი, მანსური, ძმები ასლანები, ეზათოლა გუგუჩანი, ჰოსეინა ყალანი და სხვანი.

თითქმის ყველა ფერეიდნელის გაცნობისთანავე მათი უპირველესი და ერთადერთი თხოვნა ქართული წერა-კითხვის სწავლება იყო. ეს კი იმ საბჭოთა პერიოდში არც თუ ისე იოლ საქმეს წარმოადგენდა, რადგანაც იქ მყოფი საბჭოთა მოქალაქეთათვის ეს ფერეიდნელი ქართველები ჩვეულებრივ ირანელებს წარმოადგენდნენ და მოგეხსენებათ იმდროინდელი „კანონები“ უცხოელ მოქალაქეებთან ურთიერთობების შესახებ. შიში ორმხრივი გახლდათ, მაგრამ იმდენად დიდი იყო ეს „ქართული გენის ძახილი“, რომ ყოველგვარი შიში დაიძლია და მოშორებით, უსაფრთხო ადგილზე დავიწყეთ სწავლა. და რაც მთავარია, იმ პირობით, რომ ეს ახალგაზრდები შემდგომ ასწავლიდნენ სხვა ქართველებს და ასე შემდეგ... მათ სიტყვა შეასრულეს და ნიშანდობლივია, რომ ამ სამი ათეული წლის მანძილზე შინაურულმა სწავლებამ ნაყოფი გამოიღო.

ფერეიდანში უკვე დღეისათვის თავად ფერეიდნელებს ოფიციალურად გახსნილი აქვთ ქართული ენის შემსწავლელი კურსები: ფერეიდუნშაჰრში და ნაქოსაბადში.

ამ ოთხი საუკუნის მანძილზე ფერეიდნელმა ქართველმა დედის ენა რომ შემოინახა, ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. ეს იყო: მთის ფაქტორი, უგზოობა, კარჩაკეტილობა და რა თქმა უნდა, ქართული სული.

დღეისათვის ფერეიდანი ის აღარ არის რაც ამ სამი ათეული წლის წინ იყო: მშვენიერი გზები, ტელევიზია, რადიო, სკოლები, კომპიუტერი და ზემომარტყოფში (ფერეიდუნშაჰრში) უნივერსიტეტი. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ოთხი საუკუნის მიერ შემონახული ტრადიცია და დედის ენა საფრთხის წინაშე დადგა...

საჭირო გახდა ფერეიდნელ ქართველს კარგად გაეცნო თავისი „ძველები“ – თავისი ისტორიით, ლიტერატურით, კულტურით. საჭიროებამ მოიტანა და ახლა უკვე აუცილებელია სწორედ ირანულ ენაზე ყველაფერ ამის მიწოდება ფერეიდნელთათვის, რათა „შემონახული“ და რაც მთავარია, ეროვნული სული არ დაიკარგოს.

სწორედ ამ მიზნების განხორციელებისათვის დაირაზმნენ ეს მამულიშვილები.

მუხთარ ასლანი გარეგნულად დარბაისელი, დინჯი კახელის ტიპია. ბუნებით კი ძლიერი ნებისყოფის, ვაჟკაცური სულის მატარებელი კაცი. მას არ უყვარს ხმამაღალი ლაპარაკი, განსაკუთრებით კი თავისთავზე, რადგანაც ის ჭკვიანია და იცის სიტყვის ფასი, რომელიც შეიძლება სხვადასხვანაირად შეფასდეს. თავისი დარბაისლობისა და გონის გამო ფერეიდნელთა შორის თავისებური ლიდერიც გახლავთ. ამიტომაცაა, რომ მისი სახლის კარები თეირანსა თუ ფერეიდუნშაჰრში (ზემომარტყოფი) ყველა ფერეიდნელთათვის ყოველთვის ღიაა. მასთან მოდიან რჩევისათვის. სხვათა შორის, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ბევრი საქართველოდან ჩასული ტურისტი თუ საქმოსანი ხშირად მისი სახლის სტუმარია – არა ერთი-ორი დღით, არამედ მთელი კვირეების მანძილზეც. მის სახლს ფერეიდნელი ქართველები სასტუმროს ეძახიან. ირანში ახლადგახსნილი საქართველოს საელჩო მთელი ექვსი თვე მუხთარ ასლანის სახლში ფუნქციონირებდა, ყოველგვარი ანგარების გარეშე.

მისი ბინა მორთული და მოფენილია ქართული ხალხური რეწვის ნიმუშებით, უამრავი ქართული წიგნებითა და ალბომებით, რომლებითაც სტუმარს საქართველოს აცნობს.

ირანთან ურთიერთობანი საბჭოთა პერიოდში, ბუნებრივია, შეზღუდული იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ეს დაბრკოლებანი მოხსნილია, რითაც ფერეიდნელ ქართველობას საშუალება მიეცათ აღესრულებინათ საუკუნეობრივი ოცნება, ეხილათ დიდი გურჯისტანი. მეგობრული ურთიერთობანი კი ჩვენს ქვეყნებს შორის მას შემდეგ უფრო გაღრმავდა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე ირანს მეგობრული ვიზიტით ეწვია. ეს ვიზიტი იმითაც იყო საინტერესო, რომ ბატონი ედუარდი პირადად შეხვდა ფერეიდნელ ქართველებს და გაესაუბრა მათ. ფერეიდნელ ქართველთა სახელით ბატონ ედუარდს სწორედ ბატონმა მუხთარმა მიმართა და გააცნო თავიანთი ცხოვრება და სურვილები. სხვათა შორის, სწორედ ამ ვიზიტის შედეგი იყო ის, რომ ფერეიდანში ოფიციალურად გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი კურსები.

1997 წელს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მიერ გამართულ კონგრესზე მუხთარ ასლანი მოწვეულ დელეგატთა შორის იყო.

– „ჩონ ეგრე ვფიქრობთ, რომ ფერიდნის ქართველები უნდა ვიყნეთ, როგორც ხიდი ირანის და საქართველოს შუვა მეგობრობის და ურთიერთობისათვის“, – განაცხადა მან.

მუხთარ ასლანი გაეცნო ქართული ლიტერატურის საგანძურს და სასურველ მიზნად დაისახა, არა მარტო ფერეიდნელ ქართველთათვის, ვისთვისაც ხელმიუწვდომელია, არამედ ირანელთათვის გაეცნო თავისი „ძველები“, თავისი „დედის ენის“ პოეზია და ეს მან ნაწილობრივ აღასრულა კიდეც. დაიწყო ქართული პოეზიის ქართულიდან ირანულ ენაზე თარგმნა, რათა პოეზიის ამ უმდიდრეს ქვეყანაშიც სცოდნოდათ, „რომ გურჯებსაცა აქვთ ნამე შაირი“ (კარგი ლექსი).

პირველი, რაც მუხთარმა ირანულად თარგმნა, იყო ბარათაშვილის „მერანი“. წაგვიკითხა, მოგვეწონა, შევუქეთ. სპარსულად ააჟღერა „სულიკოც“, შემდგომ „მოყმისა და ვეფხვის“ ბალადა, კიდევ რამდენიმე ქართველი პოეტის ლექსები...

დიდი ხანი არ არის, რაც ის შეეჭიდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ და რამდენიმე თავი უკვე ლექსად თარგმნა. მინდა აღვნიშნო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მთარგმნელი ირანულ ენაზე, ისიც პოემის რამდენიმე თავისა, არის მურთაზა ფათემი, ხოლო გასულ წელს პროზაულად თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ფარშიდ დელშადმა. წიგნი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თანადგომით გამოიცა.

ამ შემთხვევაში სწორედ ის არის საინტერესო და აღსანიშნავი, რომ ქართულ პოეზიას ირანულ ენაზე, ისევ ირანელებს აცნობს არა წარმოშობით ირანელი, არამედ ოთხი საუკუნის წინ ტყვედქმნილი თანამემამულე, ბატონი მუხთარი.

დღეგრძელობა ვუსურვოთ მას თავისი ჩანაფიქრის ხორცშესხმისა და სრულყოფის საქმეში.

ნოდარ კოჭლაშვილი





წიგნიდან „თეთრი ზღაპარი“

***

დედაო ქართველის, ვით ყოველდღე,
გვედრი ამ დილით:*
– აშრალე შვილთა შორის
შენი მანდილი,
რომ ნაღვლიან გულს არ კენწლავდეს
ხმალთა კამათი
და შეარიგო თვისტომები
აწ და მარადის!
ზარებს მწუხრისას აგუგუნებს
სვეტიცხოველი,
ცას შესჩუხჩუხებს ძმათა სისხლის
წვეთი ყოველი.
ცივა, ქარია, ყვავილები
ბაღში ჭკნებიან...
თუმცა სამშობლოს მტრის აროდეს
არ შინებია,
მუხლმოდრეკილი უხმობს თავის
ქმაგ წმინდანებს,
ქართლის ცხოვრების ოქროს წიგნში
რომ დაივანეს.
დედაო ქართველის, შენს წინაშე
თრთის ისტორია,
რადგან გარშემო ზღვა ცრემლი და
სისხლის ტბორია.
როგორც ყოველდღე, მოკრძალებით
გვედრი ამ დილით:
– იხსენ სრულიად საქართველო
შენი მანდილით...

ეს ფიქრი

მზემ თეთრ ღრუბლებში გასცურა
და ფიქრიც გაჰყვა თანა:
– იმ კაცს, მითხარი კაცურად,
სალამს უძღვნიდი განა?
ეს ფიქრი, როგორც ბრალდება,
მოვიშორო და როგორ?
ჭირში გლახაკი მრავლდება,
ვითარ წვიმაში სოკო.
დაჭრილი რწმენა ფრთებსა ხრის
და სისხლით მიწას ნამავს...
ქარი უბერავს ზენა მხრის, –
არ გამიტაცოს ცამან!
მე მგოსანი ვარ თუ შველი,
მთაში გაზრდილი მარტო?
ღმერთო, იმ ცოდვილს უშველე,
ჩემზე არაფერს ვდარდობ.

ერი ხომ ხედავს...

ვინ გაგიბედავს, ვინ დაიჟინებს,
რომ ქედზე მონის გედგა უღელი.
თუმცა გიმღვრევდნენ სულის სიმშვიდეს,
ვერ დაგიკრიფეს ბედშავს გულ-ხელი.
გტკიოდა დედის ხმა გარდასული
და უფრო ხვედრი მამისეული, –
ოცდაჩვიდმეტის დამღადასმული
და გათოშილი ქარში სხეული.
გტკიოდა-მეთქი, მაინც ხმამაღლა
ფიქრობდი იმას, რაც განაღვლებდა,
ქვეყანას ახსოვს, რაიც ამაყად
გითქვამს მამულის ასამაღლებლად.
თუნდ გაიწირო ძმებთან ძმობისთვის,
მწუხრის ჩამოჰკრან ზარი დარდებმა,
ერი ხომ ხედავს, ღმერთმა ხომ იცის, –
პოეტი მონად არ იბადება!

გმადლობთ, მერცხლებო!

გმადლობთ, მერცხლებო! კვლავ შევესწარი
საქართველოში თქვენს დაბრუნებას.
თქვენ დამიამეთ წამით დღე მწარე
და გამიცოცხლეთ დედაბუნება.
როგორ გელოდით! როგორ ვლელავდი!
ალბათ, არ სურდა მიქელ-გაბრიელს,
რომ წავეყვანე თქვენს მოფრენამდი
და ბევრი ღამე ფიქრს შევალიე.
ვაგლახ, ფრთოსნებო, რა დაგახვედრეთ:
ნახანძრალები, ნამეწყრალები...
თვისტომნი ლამის ისე გავხელდით,
ვერ გვიპოვია გზა შეწყნარების.
თქვენც გედარდებათ ნაამაგარი, –
ხედავთ ბუდეებს აშლილ-ჩამოშლილს.
რა ვქნათ! ნისლია ახლა ჩამდგარი
ყველა ქართველის კარ-მიდამოში.
ავერ ყამირი, აჰა ნანგრევი,
ესეც ტყე-ველი, ცრემლის მფრქვეველი!
მაგრამ დიდია ძალა განგების,
ძალა კეთილი და უძლეველი.
ეს მე ვიკითხო, მე საბრალომან,
რომ ვერ ვიხილავ საფნო მზიანეთს,
თორემ სიკეთე და ღვთის წყალობა
არ მოაკლდებათ ქართლოსიანებს.
თქვენც სხვა ხალისით აჭიკჭიკდებით
და მიახარებთ დედაბუნებას,
რომ არ შეხვდება დაჭრილ ფიქრებით
ცა მშობლიური თქვენს დაბრუნებას.

გზა ჩანჩქერივით

ამირჩევია, როგორც ჩანჩქერს,
გზა უმძიმესი
და მირჩევნია შენს უღონო
ხმაურს მღვიმეში,
ქარაფ და ქარაფ შეძახილი
მონადირული,
მარად და მარად მწვერვალისკენ
ლტოლვა გმირული;
კბოდეზე უხვად მოფენილი
ჯანღი მუდმივი,
ყოველ ბერმუხას რომ ახურავს
სვანის ქუდივით.
...როგორც მელექსე, ქარში დუმილს
არ ვარ ჩვეული,
გზა უძნელესი, ჩანჩქერივით,
მაქვს არჩეული.

***

დაიღალე, დაცხრი
და სიჩუმეს ნატრობ?
შენც გიზიდავს უკვე
ყოფნა მარტოდმარტო?
ვის რა ჰქონდა სამტრო?
ან სიკეთის ნაცვლად,
რად ჰროლი გტყორცნა
არაწმინდა კაცმა?
ამდენი ხნის ჯვარცმა –
ფიქრი, სიტყვა, რითმა
გაგიხუნა ვითომ
მუშაითმა ფლიდმა?
ნუთუ დაგეფლითა
გული ცეცხლით სავსე?
გამარჯვებულ მამულს
ვერ იხილავ ხვალ-ზეგ?
შენს კაშკაშა ცაზე
ნუთუ ბინდი წვება?
შე ბებერო ლომო,
შეგაშინეს წლებმა.
და მგლისფერმა მტრებმა?
არა... არა... არა...
ქვეყნად ხალხის თვალი,
მაღლა ღმერთი გფარავს!

ვინცა ტყუოდეს

ამ ომში ვინცა ტყუოდეს,
იმის ბჭისკარი დაიქცა.
ჩვენ შორის მსჯავრის დამდები
აქ ხალხი იყოს და იქ – ცა!

***

სიყრმის დროიდან მე ვარ მორწმუნე, –
ძალთა კეთილთა მძლევდა მონება.
ვით წყაროსთვალი, ვერ ამოვწურე,
ვერ ამოვწურე მე შთაგონება.
ელვამ წალდივით ტყე გადაბელა,
ცა ფოთოლივით აათრთოლა მან...
წყალობით ღვთისა, ვერ დამაბერა,
ვერ დამაბერა ჟამთა რბოლამა.
არ დავმორჩილდი ათას ცდუნებას
და თუ კვლავ მზიან დღეებს შევრჩები,
კაცის და მგოსნის დამცხრალ ბუნებას,
დამცხრალ ბუნებას ვერ შევეჩვევი.
ვარ დღენიადაგ მხნე და მორწმუნე, –
მშვენიერების მძლევდა მონება.
ვლამობდი, მაგრამ ვერ ამოვწურე,
ვერ ამოვწურე მე შთაგონება.

გიორგი ჩემი ბავშვობის

დაუვიწყარი საღამო

ადრეული შემოდგომის ერთ მშვენიერ საღამოს მრავლისმომსწრე საოპერო თეატრის თაღებქვეშ თავშეყრილი ასობით უფროსი და ახალი თაობის სიმღერის ხელოვნების ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი გულისფანცქალით მოელოდა იტალიელი მომღერლის რობერტინო ლორეტის სცენაზე გამოჩენას.

რობერტინო ლორეტიმ ჩემი და ჩემი უფროსი თაობის მეხსიერებაში მეტეორივით გამოანათა და ვარდისფრადგაცისკროვნებული გაუხუნარი კვალი დატოვა.

ეს იყო თითქმის ოთხი ათეული წლის წინათ, როცა რომში ოლიმპიური თამაშები ტარდებოდა, ცამეტი წლის რობერტინოს საოცრად წკრიალა და გულშიჩამწვდომმა ლამაზი ტემბრის ხმამ ელვის სისწრაფით შემოიარა მსოფლიოს მრავალი კუთხე და იგი სულ მალე ყველასათვის საყვარელ მომღერლად იქცა.

მისი „სანტა ლუჩია“ დიდსა და პატარას პირზე ეკერა.

მაშინ ბევრი ოცნებობდა რობერტინოსთან შეხვედრაზე, მასთან ურთიერთობაზე; ხელიდან ხელში გადადიოდა მისი სიმღერის ჩანაწერები, აგროვებდნენ კოლექციებს, ავრცელებდნენ კასეტებს...

და ახლა, ამდენი წლის შემდეგ, თითქოს ერთბაშად იფეთქა დიდი ხნის მიყუჩებულმა მონატრების გრძნობამ, საყვარელ მომღერალთან პირისპირ შეხვედრისა.

იყო ერთგვარი ეჭვისმომგვრელი განცდაც. გაამართლებს კი იმედებს? დაკმაყოფილებს კი მაღალმომთხოვნი ქართველი მსმენელის გემოვნებას?.. აი, კითხვები, რომელიც ერთნაირად აწვალებდა მის შესახვედრად გარინდულ უამრავ მსმენელს.

გაისმა მუსიკის პირველი აკორდები და ჩვენს თვალწინ გაცოცხლდა პატარა რობერტინოს პირველი ნაბიჯების, პირველი სიმღერების ამსახველი კადრები. ეს წარსულთან შეხვედრის დაუვიწყარი განცდა იყო.

იქუხა ტაშმა და რობერტინოს სცენაზე გამოჩენას მთელი დარბაზი უდიდესი აღმაფრენით შეეგება.

პირველ სიმღერას მეორე მოყვა, მეორეს – მესამე და მომღერალსა და მსმენელებს შორის საოცრად გულთბილი კონტაქტი დამყარდა. ეს უკვე იმედების გამართლება იყო...

„მე თავს ისე ვგრძნობ, როგორც მშობლიურ იტალიაში“ – ეს სიტყვები რობერტინოს იმ სითბომ და სიყვარულმა წარმოათქმევინა, რომელიც ასე ძალუმად იგრძნო და განიცადა საღამოს დაწყებიდან მის ბოლო აკორდამდე.

იყო სევდიანი წუთებიც. სცენაზე ავიდა ხანდაზმული ქალბატონი – გვარად დადიანი და რობერტინო ლორეტის საკუთარი ხელით გადასცა თავისი შვილის შეგროვილი ჯალგაზრდა რობერტინოს ცხოვრების ამსახველი კოლექცია, რომელსაც დედა შვილის სურვილის პატივსაცემად მთელი ოცდაჩვიდმეტი წელი ინახავდა.

– ის მაშინ შენსავით ჩვიდმეტი წლის იყო, – მიმართა მან მომღერალს, – თაყვანს სცემდა შენს ხელოვნებას, ოცნებობდა შენთან პირისპირ შეხვედრაზე... ვაი, რომ მისი ოცნება აუხდენელ ოცნებად დარჩა. მე დღეს ბედნიერი დედა ვარ, რომ შვილის სურვილი შევასრულე. რობერტინომ გულში ჩაიკრა მხცოვანი ქალბატონი და მოწიწებით ჩამოართვა მისთვის ძვირფასი რელიკვია.

...საღამოს წამყვანმა ნანა ფაჩუაშვილმა სიმღერის ეშხში შესულ მსმენელს ახალი სიურპრიზი შესთავაზა: რობერტინო ლორეტი სცენაზე უხმობდა ჩვენს პატარ ქართველ მომღერალს 15 წლის გიორგი ანდღულაძეს.

– საქართველოში მე აღმოვაჩინე ჩემი ბავშვობის ორეული, – ამცნო მან შეკრებილთ.

გიორგის მიერ შესრულებულმა „სიმღერა თბილისზემ“ და „ჰერცოგის ბალადამ“ რიგოლეტოდან ერთიანად მოხიბლა და დაატყვევა მთელი დარბაზი.

საღამოს კულმინაცია მაინც გიორგისა და რობერტინოს დუეტი იყო ჩვენთვის ასე ნაცნობ და ყავლგაუსვლელ „სანტა ლუჩიაში“.

მაშინ ყველამ ირწმუნა, რომ სცენაზე მსოფლიო დონის მომღერლის გვერდით მომავლის დიდი მომღერალი იდგა...

გარეთ კი ცას პირი გაეხსნა და კოკისპირულად წვიმდა. თუმცა ამ დიდებული და დაუვიწყარი საღამოს ხიბლით დამუხტული მაყურებელი არად აგდებდა ბუნების ამ საოცარ მეჯლისს.

მცირე დოსიე

გიორგი ანდღულაძე თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-10, ხოლო კონსერვატორიასთან არსებული ნიჭიერთა ათწლედის მე-9 კლასის მოსწავლეა.

დედა-ნაირა ანდღულაძე – გერმანული ენის მასწავლებელია.

მამა – ვაჟა ანდღულაძე – სპორტსმენია.

ძმა – მიხეილი – პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია.

გიორგი ღიღინებს თერთმეტი თვის და მღერის ექვის წლის ასაკიდან. მისი ნიჭი ხელდასხმულია სახელგანთქმული მომღერლებისა და კომპოზიტორების: ნოდარ ანდღულაძის, მზია დავითაშვილის, ვაჟა აზარაშვილის, რობერტ ბარძიმაშვილის, ანზორ ერქომაიშვილის, პაატა ბურჭულაძის, გივი აზმაიფარაშვილის და სხვათა მიერ. განსაკუთრებით გამოყოფს მზია დავითაშვილისა და ნოდარ ანდღულაძის წვლილს.

მას აქვს ხავერდოვანი ტემბრისა და ფართო დიაპაზონის შესანიშნავი ხმა. გიორგის მიერ შესრულებული სიმღერები ასაკის მიუხედავად მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. შესრულების თავისებური მანერა და არაჩვეულებრივი არტისტიზმი ხიბლავს მსმენელს, რის გამოც ქართველი კომპოზიტორები უკვე სპეციალურად წერენ მისთვის სიმღერებს

ვაჟა აზარაშვილი

არის მრავალი საერთაშორისო კონკურსისა და ფესტივალის ლაურეატი და პრიზიორი. პრეზიდენტის ორგზის სტიპენდიანტი.

უყვარს ისტორია, მისდევს სპორტს, თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთობა.

ორეულია

საჭმელებიდან ყველაზე უფრო უყვარს ხინკალი (ალბათ, ამის წყალობით, პატარა გიორგი უფრო პუტკუნა იყო, ახლა კარგ ფორმაშია).

მისი იდეალია დავით ანდღულაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, პაატა ბურჭულაძე, კარუზო და, რა თქმა უნდა, რობერტინო ლორეტი.

იტაცებს კლასიკური მუსიკა, მისი ოცნებაა, ეზიაროს საოპერო ხელოვნებას, გახდეს ცნობილი ტენორი და როგორც საუბრის დასასრულს თქვა:

– მინდა ვასახელო საქართველო ღმერთის ნებითა და წყალობით!

ამენ!

პირველი შეხვედრა რობერტინოსთან

ეს იყო 1996 წელს

თბილისის საგუნდო-სადირიჟორო მუსიკალურ სკოლასთან (დირექტორი თამაზ ანდღულაძე) არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ბიჭები“ ალმა-ატაში მიიწვიეს. მაშინ გიორგიც ამ ანსამბლში მღეროდა.

ეს იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილი ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალი – „აინა-ლაინ“ – („შემოგევლე“), რომელსაც პრეზიდენტის მეუღლე ქალბატონი სარა ნაზარბაევა – „ბაბეკის“ პრეზიდენტი წარმართავდა. ფესტივალში ხუთი ათასამდე ბავშვი მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. როგორც ბავშვთა მომღერლები ფესტივალზე მიწვეული იყვნენ რობერტინო ლორეტი და ირმა სოხაძე.

გალა კონცერტი ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა, რომელიც 3500 მაყურებელს იტევს. გუნდთან ერთად სოლო სიმღერა შეასრულა ირმა სოხაძემ და გიორგი ანდღულაძემ. გიორგის ამ ერთსტროფიანი სიმღერის მოსმენით ისე აღფრთოვანდა რობერტინო ლორეტი, მან კულისებშივე მოძებნა იგი და წარმატება მიულოცა.

– უკვე თბილისში წამოსასვლელად ვემზადებოდით, – გვიამბობს გიორგის დედა, ქალბატონი ნაირა, – რომ მოვიდა ჩვენი ელჩი თემურ გოგოლაძე და გადმოგვცა რობერტინოს დიდი სურვილი, გიორგის მონაწილეობა მიღეო მის სოლო კონცერტში, რომელსაც ალმა-ატის მაღალი საზოგადოების პატივსაცემად მართავდა. გიორგიმ ამ კონცერტზე იტალიური სიმღერა შეასრულა.

მისი ხმით აღტაცებულმა რობერტინომ თავისი შთაბეჭდილება ყველას გასაგონად ასე გამოხატა:

– მსოფლიოს ყველა კუთხე მომივლია, ბავშვები თითქმის ყველგან მღერიან ჩემს სიმღერებს, მაგრამ იმათგან განსხვავებით გიორგი ჩემი ბავშვობის ორეულია.

რობერტინოს აქვე დაებადა სურვილი, აუცილებლად სტუმრებოდა საქართველოს.

იტალიაში გამგზავრების წინ

გიორგის დედა, ქალბატონი ნაირა იგონებს:

კულტურის სამინისტროში ჩამოსული იყო იტალიელი კლაუდიო ბანდერა და მომღერალ ბავშვებს არჩევდა. მან სხვებთან ერთად გიორგისაც მოუსმინა და რა და რა დითირამბებით არ შეამკო, ვირტუოზი, მოვლენა, აღმოჩენა და ა.შ.

მას შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა და ეს ამბავიც დავიწყებას მიეცა.

ერთ მშვენიერ დღეს თვითონ დარეკა ჩვენთან, დაფინანსებაც შემოგვთავაზა და იტალიის ქალაქ ბარში მიგვიწვია. აქ იმართებოდა საშობაო-სატელევიზიო კონცერტი „მსოფლიოს ტალანტები სანტა კლაუსს“, რომელსაც ტელე-კომპანია „რაი უნო“ პირველი არხით იღებდა. სატელევიზიო შოუში მონაწილეობა უნდა მიეღო თითო ბავშვს ყველა ქვეყნიდან. კონცერტი 25 დეკემბერს ჩატარდა და სულ თოთხმეტი ბავშვი შეირჩა.

მანვე გაგვაფრთხილა, რომ ამ გადაღების ჩანაწერს ორ იანვარს „აიეტით“ მთელი მსოფლიო ნახავდა.

გულისყურით ვადევნებდით თვალს ორი იანვრის გადაცემებს. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამ კონცერტის პირველ ნომრად ჩვენი შვილი გიორგი ვიხილეთ. იმ თოთხმეტი ბავშვიდან ეთერში მხოლოდ შვიდი მომღერალი გავიდა. სხვათაშორის გამოკლებულებიდან სამი ბავშვი იტალიელი იყო.

ბატონმა ნოდარ ანდღულაძემ გიორგის თავისი წიგნი უსახსოვრა წარწერით:

ჩემს ძვირფას მოგვარეს, უნიჭიერეს მომღერალს, კარგ ბიჭს გიორგი ანდღულაძეს სიყვარულით, საუკეთესო სურვილებით იტალიაში გამგზავრების წინ.

შენი უფროსი კოლეგა და გულშემატკივარი

ნოდარ ანდღულაძე

და განა მარტო იტალიაში, გიორგის ყველა ვიზიტი ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალით დაწყებული (მაშინ ის ათი წლის იყო) ქალაქ ვლადიმირით, ვარნით, მოსკოვით, პრაღით თუ პარიზით გაგრძელებული ყველგან ტრიუმფით მთავრდებოდა. თუმცა, როგორც თავად თვლის, მისი ყველაზე დიდი წარმატება თბილისში პაატა ბურჭულაძის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო-საოპერო ფესტივალის გალა კონცერტში მონაწილეობა იყო.

...მიუხედავად ასაკისა მან (გიორგიმ) თავისუფლად აუღო ალღო სიმფონიურ ორკესტრთან მუშაობის ურთულეს პროცესს და ანსამბლურობისა და სცენურობის არაჩვეულებრივი უნარი გამოავლინა. იგი სწორად იაზრებს დირიჟორის ყოველგვარ მითითებებს, რაც აადვილებს მასთან მუშაობას.

გივი აზმაიფარაშვილი

პაატა ბურჭულაძის „ბრავო“

რა იყო ეს, ბედის წყალობა თუ შემთხვევითობა? ალბათ, ერთიც და მეორეც.

პაატა ბურჭულაძის მოსასმენად ოპერაში მისული გიორგი შესვენებაზე დედას ლარს სთხოვს და ბუფეტში „ბუტერ ბროდის“ საყიდლად გაიქცევა. გზად მას მაია დათუნაშვილი შეხვდება, „გეზს შეაცვლევინებს“ და მსოფლიოს ოქროს ხმების დირიჟორთან, პროფესორ ვლადიმერ მინინთან და ვახტანგ მაჭავარიანთან წარადგენს.

მინინი იქვე, კულისებში სახელდახელოდ მოუსმენს გიორგის და მეორე დღეს „ბრავოს“ გალა კონცერტის რეპეტიციაზე დაიბარებს.

დედა-შვილი სხედან ოპერის დარბაზში და ოტელოს რეპეტიციას თვალ-ყურს ადევნებენ.

ბოლოს, როცა ოთხ საათზე მათი იქ ყოფნა გაირკვა, სარეპეტიციო დრო თითქმის ამოწურულია. გალა კონცერტი რიყეზე ექვს საათზე უნდა გამართულიყო.

ასე ფაცი-ფუცითა და ნათხოვარი ჩოხით გიორგი მსოფლიო კორიფეების გვერდით კონცერტის დამაგვირგვინებელ სიმღერას – „სულიკოს“ იმღერებს ახალი – მინინისეული ინტერპრეტაციით.

მისი გამოსვლით აღრთოვანებული ოქროს ხმების დირიჟორი გულში ჩაიკრავს გიორგის, ხოლო მის დედას ხელებს დაუკოცნის.

„გიორგიმ საუკეთესო ვოკალური მონაცემები და ანსამბლურობის არაჩვეულებრივი უნარი გამოავლინა, რითაც დიდი მაესტროსა და ფესტივალის სხვა მონაწილეთა საოპერო ხელოვნების კორიფეების მაღალი შეფასება დაიმსახურა“, – იტყვის მსოფლიოს უდიდესი ტენორი პაატა ბურჭულაძე გიორგის გალა კონცერტზე გამოსვლის შემდეგ.

ასეთი შეფასება კი მსოფლიოს ნებისმიერ დიდ ხელოვანს დაამშვენებდა.

ქართველთა თანავარსკვლავედში

სამი წელიც და რობერტინოს საქართველოში ჩამოსვლის სურვილი რეალობად იქცა.

კონცერტამდე ორი დღით ადრე იგი თავად ესტუმრა გიორგის ოჯახში და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არ შემცდარა.

– გიორგი სულ მალე არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მომღერალი გახდება – ასეთი იყო რობერტინოსეული შეფასება გიორგისთან ხელახალი შეხვედრისას.

და აი, ჩვენთვის უკვე ნაცნობი კონცერტის ბოლოს რობერტინომ გიორგის გადასცა ის ჯვარი, რომელიც მას კონცერტზე უსახსოვრეს 31 საორკესტრო ჩანაწერთან და 45 თავის საუკეთესო სიმღერის ფონოგრამასთან ერთად.

ერთ ფაქტსაც დავსძენ. ორ ნოემბერს ისრაელში გაიმართა საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 2000 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი.

ქართველ მონაწილეთა თანავარსკვლავედი აფიშაში ასეთი თანმიმდევრობით განლაგდა: პაატა ბურჭულაძე, ლიანა ისაკაძე, ნინო ანანიაშვილი, გიორგი ანდღულაძე, ნანი ბრეგვაძე, ალექსანდრე კორსანტია...

თხუთმეტი წლის გიორგი ანდღულაძისათვის ეს კიდევ ერთი დიდი აღიარება იყო.

მაია პლისეცკაიამ გიორგის თავისი პროსპექტი აჩუქა,. რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებდა: „ნიჭიერ გიორგის ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლესა და წარმატებას სიმღერის ხელოვნებაში“.

ამ მშვენიერ სურვილს ჩვენც ვუერთდებით!

ნუნუ კუპრეიშვილი

ხელოვანის ოჯახი და ოჯახური

ზაფხულის ცხელი დღე იდგა – 28 ივლისს გარდაცვალებიდან ერთი წლის თავი შეუსრულდა ინესა ანდრონიკაშვილ-წერეთელს. თბილისის ინტელიგენციამ კიდევ ერთხელ გამოხატა ღრმა მწუხარება და დიდების პანთეონში პატივი მიაგო მის ხსოვნას.

ამ სევდიან დღეს ყვავილებით ავსებული ხელებით შვილებთან ერთად ლიკა (ელენე) წერეთელი დედის მაღალგემოვნებით შემკულ საფლავს ეახლა. მაგრამ უცებ შეჩერდა და ყვავილების გადასანაწილებლად ფეხი ვერ წადგა წინ. გაირინდა. საფლავის ფაფუკ მიწას მწუხარე სახით ჩააჩერდა. მერე ყველასათვის მოულოდნელად სწრაფად წაიძრო ფეხსაცმელი, წინდების ამარამ, ორი-სამი ნაბიჯი გადადგა და ფერად ყვავილებთან ერთად დატოვა საფლავს ჩახუტებული თავისი ფეხისგულის კოხტა ანაბეჭდები. ეს ისეთივე ამაღელვებელი ამბავია, როგორც ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა „დედის ხელი“, როგორც გიორგი ლეონიძის დედის საფლავზე იებად ამოსული შვილის ცრემლები. ვინც იმ დღეს თავისი თვალით იხილა დედაშვილური, ფაქიზი გრძნობის ზნეობრივი გამოხატულება, ვერასოდეს დაივიწყებს ამას და შესაძლოა მრავალი წლის შემდეგაც დაინტერესდეს იმით: ვინ იყო იგი, ვინც ფეხშიშველი, პირველი შეეხო დედის წმინდა საფლავს.

ტკივილისა და სინანულის გრძნობა დატოვა ქალბატონ ინესას ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლამ. მეტად ძნელია ამ არაჩვეულებრივი, ღვთისნიერი კეთილშობილი ადამიანის დახასიათება. მისი მთავარი ღირსება – ადამიანებისადმი ქრისტიანული სიყვარულია. ამისათვის იყო თითქოს დაბადებული იგი.

არისტოკრატიული ოჯახიშვილობით ბეჭედდასმული ინესას და მის უფროს დას – გურანდუხტს, მშობლები, დედა თამარ ღოღობერიძე და მამა ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (ხიდების მშენებელი ინჟინერი) ადრე გარდაეცვალნენ – ბავშვები სამი და რვა წლისანი იყვნენ. დაობლებულ გოგონებს მამიდა ნინო ანდრონიკაშვილი (უნივერსიტეტის ინგლისური ენის უფროსი პედაგოგი) და მამიდის ქმარი სმირანინი (გრიბოედოვის სახ. თეატრის არტისტი) უწევდნენ მშობლიურ დახმარებას. ბავშვები მეტად კეთილშობილურ საზოგადოებაში იზრდებოდნენ და საუკეთესო თვისებებს იძენდნენ მათგან.

სიყვარული და მზრუნველობა არც უცხოეთში გათხოვილ მამიდებისაგან დაჰკლებიათ მათ. პარიზში მცხოვრებმა ქალბატონმა ელენემ მთელი თავისი სოლიდური მემკვიდრეობა საცხოვრებელი სახლით, ინესას დაუტოვა. ასევე მუდმივ ყურადღებას იჩენდნენ გერმანიაში მცხოვრები მამიდა თამარი და მარიამი მოსკოვიდან.

შინაგანი კულტურა, სათნოება, სტუმართმოყვარეობა ქალბატონ ინესას ღვთისაგან ნაბოძებ ნიჭად თან დაჰყვა. მიღებული ჰქონდა უმაღლესი განათლება ორატორულ ხელოვნებასა და საერთაშორისო იურიდიულ სპეციალობაში. ეს ყოველივე თავსდებოდა და იკითხებოდა მის მომხიბლავსა და არისტოკრატიულ გარეგნობაში.

ყელმოღერების ასაკში გახლდათ, როდესაც ბედმა სულით მონათესავე ყმაწვილკაცს აკადემიის ფრიადოსან სტუდენტს, დღეს მსოფლიოში ცნობილ დიდ ხელოვანს ზურაბ წერეთელს დააკავშირა. მათმა მაღალადამიანურმა თვისებებმა წარმოშვა უკვდავი სიყვარული და ბედნიერი ოჯახი.

სწავლასა და შრომაში ინესა თავიდანვე მეუღლის ხელისშემწყობი და დამფასებელი იყო. მაღალი გემოვნების ქალბატონი, სანაქებო დიასახლისი, ნაზი, ალერსიანი დედა და მეუღლე, დიდი ხელოვანის მუზაც გახლდათ და შთაგონების წყაროც.

თავად ინესას ცხოვრების დასაწყისიდანვე ბევრი ჭირ-ვარამის გადატანა მოუხდა. დედ-მამის შემდეგ გარდაეცვალა ერთადერთი და – გურანდუხტი. მაგრამ არ გაბოროტებულა. შემბრალებლობა ობოლთა და ჩაგრულთა ქომაგობა, მადლის გაცემა და დახმარება იყო მისი ცხოვრების მიზანი. ძალიან ხშირად მისთვის საყვარელ ძვირადღირებულ ნივთსაც დიდსულოვნად შეელეოდა ხოლმე, რომ სიამოვნება მიენიჭებინა სხვისთვის. მასში ქრისტეს ათი მცნების დიდი ნაწილი იდო. ეს ყველაზე უკეთ მისი ცხოვრების თანამოზიარე და შემფასებელმა ბატონმა ზურაბ წერეთელმა იცოდა. მან მეუღლის პიროვნული ღირსება საფლავზე დადგმულ სიმბოლურ ძეგლში მისეული დიდოსტატობით საჭრეთლით აამეტყველა. ბატონ ზურაბის მიერ ადრე შექმნილ კომპოზიციაში წმინდა ნინოს მოდელი ქალბატონი ინესა იყო. ავტორმა გამოიყენა ეს მოდელი და შექმნა მისი ასლი ახალი ინტერპრეტაციით.

საფლავის შემაღლებულ კვარცხლბეკზე დგას ნატურალურ ზომებში ჩამოსხმული ოქროსფერი ბრინჯაოს ძეგლი – მიწიერი ცხოვრებისაგან განწმენდილი, მორწმუნე ქართველი ქალი, დედა, მეუღლე, მარადიული მლოცველი ერის სიკეთისათვის ზეაწეული ჯვრითა და ხელებით იგი მიმართულია კოსმოსისაკენ და თითქოს მზადაა შეუერთდეს უსასრულობას.

ცნობილია, რომ დიდოსტატი მოქანდაკის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს სწრაფვა სიმაღლისაკენ, ზეციურისაკენ.

ავტორი ამ შემთხვევაში თავისი სტილის ერთგული რჩება, რაც კოსმოსისა და ასტრალური სულის კავშირზე მეტყველებს. აშკარად ვხედავთ ავტორის ფილოსოფიურ ჩანაფიქრს სიცოცხლის საზრისზე, კეთილსა და ბოროტის ჭიდილზე. რომელიც თავისი გარდუვალობის გამო ტრაგიკულია, მაგრამ სულიერებით წმინდაა და ამაღლებული. აღსანიშნავია, რომ ულამაზესი სიმბოლური ძეგლი თავისი მხატვრული ღირებულებით და ესთეტიკის თვალსაზრისით ანტიკური ხანის წარმოშობის კლასიკურ ნიმუშებზე აღმოცენებულ შედევრს წარმოადგენს.

დავანა ოდივნიშვილი

21.364

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ
ფერეთელი



ანი მოსულიშვილი დაიბადა 1986 წლის 20 ივლისს. სწავლობს თბილისის კლასიკური გიმნაზიის მერვე კლასში, პარალელურად თბილისის ბაირონის სკოლაში.

1998 წელს დიდ ბრიტანეთში, ქალაქ ფოლქსტოუნის საზაფხულო სკოლის სრული კურსი წარმატებით გაიარა. გამარჯვებულია რამდენიმე საქალაქო და რაიონულ ლიტერატურულ კონკურსებში თარგმანის განხრით. იბეჭდება ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში.

არის 1999 წლის პრეზიდენტის სტიპენდიანტი.

რაღიარდ კიპლინგი

როგორ იშოვა მარტორქამ ასეთი ტყავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პარსი — კაცი ცეცხლთაყვანისმცემელი, ანუ ზოროასტრიზმის მიმდევარი, რომელიც წითელი ზღვის სანაპიროსთან მდებარე ერთ დაუსახლებელ კუნძულზე ცხოვრობდა, ხოლო მის ქუდზე მზის სხივები აზიური-დიდებულების-ხიბლზე უფრო ლამაზად ირეკლებოდა. მეწამული ზღვით გარშემორტყმული პარსი მარტოდმარტო ცხოვრობდა და არც არაფერი გააჩნდა, გარდა თავისი წოწოლა ქუდისა, დანისა და ისეთი ღუმელისა, რომლის მიკარებას გვიკრძალავენ ხოლმე. ერთ დღეს პარსმა ფქვილითა და წყლით და ქიშმიშითა და ქლიავით და შაქრითა და მსგავსი რამერუმეებით, ნამცხვარი გამოაცხო, რომლის სიგანე ორ, ხოლო სიმაღლე სამ ფუტს აღწევდა. მართლაც რომ უმაღლესი ხარისხის (მთლად ჯადოსნური) რამ გამოვიდა — ჯერ ღუმელზე შემოდგა, ეს იმიტომ გაიკეთა, რომ ღუმელით სარგებლობის უფლება ჰქონდა და მერე კი იქამდე აცხო, ვიდრე ნამცხვარი ყავისფერი გახდა და სენტიმენტალური სუნი აუვიდა. ის-ის იყო, უნდა შეეჭამა კიდეც, რომ უკაცრიელი კუნძულის მთლად გაუკაცრიელებული სიღრმიდან ცუდად აღზრდილი მარტორქა ჩამობრძანდა, რომელიც გოჭივით წვრილ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ცხვირზე კი რქა გამოსვლოდა. იმ დროში მარტორქებს მჭიდროდ გადატკეცილი, კოხტად მორგებული ტყავი ჰქონდათ, ნაოჭებს ვერსად უპოვიდით; ჰოდა, ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ინგლისელი ბავშვების სათამაშო „ნოეს კიდობანში" მცხოვრები მარტორქა. თუმცა არა, იმაზე გაცილებით დიდი იყო. ეს არსება კარგად აღზრდილი არასოდეს ყოფილა, არც ახლა აქვს მისაბაძი მანერები და ვერც ვერასოდეს ექნება. და მარტორქამ თქვა თუ არა: „როგორ!", პარსმა ხელი უშვა ნამცხვარს და პალმის ხის კენწეროზე აძვრა. თან მხოლოდ ქუდი აიტანა, რომელზეც მზის სხივები აზიური-დიდებულების-ხიბლზე უფრო ლამაზად ირეკლებოდა. მაშინ მარტორქამ თავისი ცხვირით ღუმელი გადააყირავა, ნამცხვარი კი ამოტრიალდა, ამობზრიალდა და რქაზე ჩამოეცვა; მერე ამ ღორმუცელამ სულ შეახრამუნა და კუდის ქნევით იმ უდაბური ადგილისაკენ გაეშურა, მაზანდერანისა და სოკოტრას კუნძულებს, და თქვენ წარმოიდგინეთ, დიდი ბუნიობის კონცხსაც რომ ესაზღვრება. მაშინ საცოდავი პარსი პალმის ხიდან ჩამოძვრა, ღუმელი ფეხზე წამოაყენა და მარტორქას ერთი სლოკა, ანუ სანსკრიტული ყაიდის სამსტროფედი უძღვნა და, რადგანაც შენ ვერ გაიგონე, ახლავე გაგიმეორებ:

პარსის გამომცხვარ ნამცხვრებს,
ვინც კი ღორულად ჩათქვლეფს,
ვარქმევ შეცდომის ჩამდენს.

აი, შემდეგ კი, იმაზე ბევრად უფრო სერიოზული რამ მოხდა, ვიდრე შენ შეიძლებოდა წარმოგედგინა.

რახან ხუთი კვირის მერე წითელი ზღვის სანაპიროზე ისეთი პაპანაქება სიცხე დადგა, რომ ყველა ტანსაცმელს იხდიდა, პარსმაც მოიშვიპა თავისი წოწოლა ქუდი, მარტორქამ კი ტყავი გაიძრო და ზღვაზე ჩაირბინა საჭყუმპალაოდ. იმხანად ტყავი სამი ღილით იკვრებოდა მხრებს ქვემოთ, ღიპზე და წყალგაუმტარ, ულტობ ქსოვილს წააგავდა. მარტორქა პარსის ნამცხვარზე კრინტს აღარ სძრავდა, ანდა, აბა, რა უნდა ეთქვა, აკი სულ შესანსლა. იგი მთელ ცხოვრებას ისე ატარებდა, რომ ჭკუას არ იყენებდა, ჰოდა, ახლაც ასე მოიქცა — სულელი, პირდაპირ წყალში შევარდა და ბუშტების ბერვა დაიწყო. ტყავი კი ნაპირზე დატოვა.

მალე, სრულიად შემთხვევით პარსმა გამოიარა და ტყავს გადაეყარა. ჯერ ორჯერ დაურბინა ღიმილმა სახეზე, შემდეგ თავად შემოუტრბინა ცეკვა-ცეკვით ტყავს. მერე ბანაკში გაიქცა და ქუდი ნამცხვრის ნამცეცებით აავსო, ისინი ხომ ყოველთვის ჰქონდა: ნამცხვრის მეტს არაფერს მიირთმევდა, თანაც არც ბანაკის გამოგვა ეხერხებოდა. მერე ტყავი აიღო, ააფრიალა, ააბზრიალა, დაატრიალა, ჯერ გაწმინდა, შემდეგ ნამცხვრის გამომხმარ ნაფხვენებზე ახოხიალა, აპროწიალა და გული რომ იჯერა, თავის პალმაზე აძვრა სეირის საყურებლად.

მაშინ მარტორქა წყლიდან გამოვიდა, ტყავი ჩაიცვა და სამი ღილით შეიბნია, მაგრამ ზუსტად ისე მოუვიდა, როგორც ქვეშაგებზე მოხვედრილ ნამცეცებზე დაწოლისას გვემართება ხოლმე. შეწუხებულმა მარტორქამ სხეულის მოქავება მოინდომა, მაგრამ ამან უფრო მეტად გაუუარესა მდგომარეობა. ჰოდა, ის საცოდავი ზურგზე დაწვა და ტრიალი დაიწყო, თუმცა ყოველ ბრუნზე ნამცეცები უფრო და უფრო და უფრო ულიტინებდნენ. მაშინ პალმასთან მიირბინა, გაეხახუნა და გამოეხახუნა — ეგებ ტყავი გაეწმინდა. იმდენი ქნა, იმდენი, რომ ტყავი უზარმაზარ ნაკეცებად გადაექცა მხრებზეც და ქვემოთაც — იქ, სადაც სამი ღილი იყო განლაგებული (რომლებიც ხახუნის შემდეგ ჩამოიწყვიტა) და ფეხებთანაც ვეება ნოჭები გაუჩნდა. ბოლოს გუნება წაუხდა, ვინაიდან ვერაფრით მოიცილა ნამცხვრის ნამცეცები. მაშინ მარტორქამ შინისკენ გასწია. ძალიან გაბრაზებული იყო, რადგან ყველაფერი ეფხანებოდა. იქიდან მოყოლებული დღემდე ყველა მარტორქას ცუდი ხასიათი და ნაკეცები აქვს ტყავქვეშ შეყუჟული ნამცეცების გამოისობით.

ცოტა ხანში პარსი პალმიდან ჩამოვიდა, თან თავისი ქუდი ჩამოიტანა, რომელზეც მზის სხივები აზიური-დიდებულების-ხიბლზე უფრო ლამაზად ირეკლებოდა. მოაგროვა თავისი ავლადიდება: დანა და ღუმელი და გასწია ოროტავოს, მინდალინას, ანანტარიოს მაღალი მინდვრებისა და სონაპუტის ჭაობისაკენ.

უკაცრიელი კუნძული —
იქ კონცხი გვადარფუის...
მიწის პაწია კუნჭული,
სად ზღვაა არაბული —
ვარდისფერი და ლიცლიცა,
ჩუმი და განაბული.
სოკოტრას ნაპირებია
ზღვის ქაფით დალამბული.
სუეცის ყურეც იქვეა,
პაპანაქებით იწვის.
კუნძულზეც დიდი სიცხეა,
იმედი არ აქვთ წვიმის...
და პარსი ნამცხვრით იკითხოს,
ვინაც იქითკენ გასწევს;
დაჯდეს და ბევრი იცინოს,
ისეთს მოისმენს ამბებს.
1897 წელი.

ინგლისურიდან თარგმნა **ანი მოსულიშვილმა**

ვალენტინ ბერეჟკოვი

როგორ ვკვლავ სტალინის თარჯიმანი

1. ჰარიმანმა ანეკდოტი შეთხზა იმის თაობაზე, თუ როგორ გავჩნდი სტალინის კაბინეტში.

სტალინისა და ჰარიმანის შეხვედრებზე საუბარს თავდაპირველად თარგმნიდნენ: საბჭოთა მხრიდან – პავლოვი, ხოლო ამერიკელთა მხრიდან – ჩარლზ ბოლენი, მოსკოვში აშშ საელჩოს მესამე მდივანი. შემდგომში ჰარიმანი ზოგჯერ სხვა თარჯიმნის თანხლებით მოდიოდა და რუსულად იტყოდა ხოლმე: „ბოლენ – ბოლენ“ (ბოლენი ავად არისო). ჰარიმანის ეს კალამბური სტალინს ყოველთვის აცინებდა.

ჰოდა, ჰარიმანის ანეკდოტის მიხედვით, მორიგ შეხვედრაზე პავლოვს თითქოს გაუჭირდა თარგმნა და ბოლენი შეეშველა. სტალინს ეს არ ეჭაშნიკა და მოლოტოვს მიმართა:

– ამერიკელი ჩემს თარჯიმანს რატომ უსწორებს? ასე არ ივარგებს! ვიაჩესლავ, ის ახალგაზრდა კაცი სად არის, ჰიტლერთან შენს საუბარს რომ თარგმნიდა? მოვიდეს და დაგვეხმაროს.

– კი მაგრამ, ის ახალგაზრდა გერმანულად თარგმნიდა.

– არა უშავს, მე ვეტყვი და ინგლისურად გადათარგმნის.

აი, თურმე, ამგვარად წარვსდექი სტალინის „ნათელმოსილ თვალთა“ წინაშე და მისი პირადი თარჯიმანი გავხდი.

ამბობენ, რომ ინგლისის პარლამენტს ყველაფერი ხელეწიფება, მხოლოდ მამაკაცის დედაკაცად გადაქცევა არ ძალუძსო. ჰარიმანის ანეკდოტი ირონიულად ქირდავდა „დიდი ბელადის“ ყოვლისშემძლეობას.

სინამდვილეში, სტალინი პირველად ვნახე 1941 წლის სექტემბრის დამლევს, კრემლში, ნაგვიანევ სადილზე, რომელიც ბივერბრუკ-ჰარიმანის პატივსაცემად გაიმართა.

საღამოს რვა საათი რომ ხდებოდა, სტუმრები შეგროვდნენ იმ სათავსში, რომელიც ეკატერინას დარბაზს ეკვრის. ყველა მოუთმენლად ელოდა სტალინის გამოჩენას. ბოლოს და ბოლოს, გაიღო მაღალი კარი, მაგრამ ეს სტალინი არ ყოფილა. ჯერჯერობით, მისი დაცვის ორი ოფიცერი შემოვიდა. ერთი შეჩერდა კართან, მეორემ კი მოპირდაპირე კუთხეში დაიჭირა ადგილი. გავიდა კიდევ ათი წუთი. ეტყობა, გარკვეული აზრი ჰქონდა იმას, რომ „ხაზეინი“ თავის გამოჩენას განზრახ აჭიანურებდა, რათა პუბლიკის მოუთმენლობა უფრო გაეღვივებინა.

კარი ისევ გაიღო და შემოვიდა სტალინი. როგორც კი შევხედე, ლამის თავზარი დამეცა. იგი სრულიად არ ჰგავდა იმ სტალინს, ვისი იერიც ჩამოყალიბებულიყო ჩემს ცნობიერებაში. საშუალო სიმაღლეზე დაბალი იყო, გამხდარი; დაღლილ, ნაყვავილარ სახეზე მიწის ფერი ედო. ერთი ხელი მეორეზე მოკლე ჰქონდა – თითქმის მთელი მტევანი ხელისა სახელოში ემალებოდა. ნუთუ ეს სტალინია? ასე მეგონა, გამოცვალეს-მეთქი.

ბავშვობიდანვე მიგვაჩვიეს, რომ სტალინი წარმოგვედგინა დიდ და ბრძენ ბელადად, ყველაფერს წინასწარ რომ ჭვრეტდა და წინასწარ იცოდა. პორტრეტებსა და ბრინჯაოს ქანდაკებებში, მარმარილოს მონუმენტებში, სადღესასწაულო დემონსტრაციათა ტრანსპარანტებზე ვხედავდით, რომ იგი ყველაზე მაღლა იყო აღმართული. და ჩვენი ჭაბუკური წარმოსახვა ქმნიდა ტანმაღალ, ახოვან, ლამის მითიურ არსებას. ის კი, დახეთ, როგორი ყოფილა – შეუხედავი კაცი, უცებ ვერც შეამჩნევდი. და ამავე დროს, როგორც კი გამოჩნდა, ყველა რაღაცნაირად გაისუსა. სტალინს კავკასიური ჩექმები ეცვა, ფეხს რბილად ადგამდა ხალიჩის სახლეს. დინჯად მოაბიჯებდა და ყველას ესალმებოდა. ერთობ პატარა ხელი ჰქონდა, ხოლო ხელის ჩამორთმევა დუნედ იცოდა.

2. უნდა ვაღიაროთ, რომ მთელი თავისი უმსგავსი თვისებების მიუხედავად, სტალინს თანამოსაუბრეთა მოჯადოების საოცარი უნარი შესწევდა. იგი, უეჭველად, დიდი მსახიობი იყო და შეეძლო შეექმნა მომხიბლავი, თავმდაბალი და უბრალო კაცის სახე. ომის პირველ ხანებში, როდესაც იფიქრებდი, რომ საბჭოთა კავშირი საცაა დაიქ-

მატული, არაფერია შემაშფოთებელი. მასპინძელს აუარებელი დრო აქვს, მზადაა, რომ საუბარს თუნდაც მთელი ღამე დაუთმოს. ამით სტუმართა გულს იგებდა. სტალინის თანამოსაუბრეებს ეჭვიც კი არ უჩნდებოდათ, რომ მოსკოვის ევაკუაციისათვის უკვე იღებდნენ ზომებს, სამთავრობო შენობები და ხიდები ინაღმებოდა, რომ შეიქმნა დედაქალაქის იატაკქვეშა ოლქკომი, რომ მის მომავალ მუშაკებს გამოგონილ გვარებზე გაცემული პასპორტები დაურიგდათ, რომ კრემლის მბრძანებელი, რომელიც ესოდენ უდარდელი ეჩვენებოდათ, სხვადასხვა ვარიანტებს ითვლიდა იმ შემთხვევისათვის, თუკი მთავრობას საიმედო ადგილას გახიზვნა მოუწევდა. ომის შემდეგ, წუთიერი გულახდილობისას, თვითონვე აღიარა, სასოწარკვეთილ მდგომარეობაში აღმოვჩნდითო. მაგრამ ახლა ამას მარჯვედ ფარავს თავაზიანი ღიმილითა და მოჩვენებითი უშფოთველობით. როდესაც ლაპარაკობს წითელი არმიისა და მრეწველობის მოთხოვნილებათა შესახებ, სტალინი ჩამოთვლის არა მარტო საზენიტო, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებსა და თვითმფრინავთა წარმოებისათვის საჭირო ალუმინს, არამედ საწარმოთა მოწყობილობასაც, მთელ ქარხნებს. თანამოსაუბრენი, თავდაპირველად, საგონებელში ვარდებიან – მოწყობილობის ჩამოტანა და დადგმა, წარმოების გამართვა წლებს თუ არა, თვეებს მაინც მოითხოვსო.

დასავლეთის სამხედრო ექსპერტები აკი ამტკიცებენ, რომ საბჭოთა წინააღმდეგობა უახლოეს ოთხ-ხუთ კვირაში გაცამტვერდება. რომელი ახალი ქარხნების აგებაზე შეიძლება ილაპარაკო? რუსებისათვის იარაღის მიწოდებაც კი სარისკო საქმეა – ვაითუ, გერმანელებს ჩაუვარდეს ხელში. მაგრამ თუკი სტალინი ქარხნებს თხოულობს, მაშასადამე, მან იცის რაღაც ისეთი, რაც არ იციან დასავლეთის დემოკრატიათა ექსპერტებმა თუ პოლიტიკოსებმა. და, როგორ უნდა გაიგო სტალინის ოლიმპიური სიმშვიდე ანდა ის, ჰოპკინსს რომ განუცხადა: ამერიკელები ალუმინს თუკი გამოგვიგზავნიან, საბჭოთა კავშირი თუნდაც ოთხი წელიწადი იომებსო. სტალინს, უეჭველად, სხვებზე უკეთ ესმის საქმის ვითარება. და აი, ჰოპკინსი, ბივერბრუკი, ჰარიმანი არწმუნებენ რუზველტს და ჩერჩილს, რომ საბჭოთა კავშირი გასძლებს და ამიტომაც გონივრული იქნება, თუკი დაუყოვნებლივ შეუდგებიან მედგარი საბჭოთა მოკავშირისათვის სამხედრო მომარაგების ორგანიზაციას. სტალინი თვალთმაქცობდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მართალი გამოდგა ისევე როგორც მაშინ, 1941 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ენტონი იდენმა ფრონტი რომ მოინახულა მოსკოვის მისადგომებთან და ამის შემდეგ სტალინმა განუცხადა:

– რუსები ბერლინში ორჯერ ყოფილან, მესამედაც ჩავლენ...

3. კარი გაიღო და სიოში ჩერჩილის გათქვირებული ფიგურა გამოჩნდა. იგი წამით შეჩერდა, ირგვლივ მიმოიხედა, თვალი შეავლო კედლებზე ჩამოკიდებულ სახელგანთქმული რუსი მხედართმთავრების – ალექსანდრე ნეველის, კუტუზოვის, სუვოროვის პორტრეტებს, ლენინის გადიდებულ ფოტოგრაფიას და ბოლოს, მიაჩერდა სტალინს, რომელიც თავის საწერ მაგიდასთან გაშეშებულიყო და უცხოელ სტუმარს ყურაღებით აკვირდებოდა. ამ, უდავოდ ისტორიულ წუთებში ნეტავი რას ფიქრობდა? კმაყოფილებას განიცდიდა თუ არა იმით, რომ მასთან კრემლში მობრძანდა ბრიტანელ კონსერვატორთა ლიდერი, რომელსაც სტალინის მიერ შექმნილი სისტემის მიმართ მტრობა არასოდეს დაუმალავს.

სტალინს პირისახიდან არ მოუშორებია პირქუში გამომეტყველება და ჩერჩილის შესაგებებლად ნელა გაუყვა ხალიჩის სახლეს. დუნედ გაუწოდა ხელი, რომელიც ჩერჩილმა ენერგიულად ჩამოართვა.

– ბატონო პრემიერ-მინისტრო, კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება მოსკოვში, – ყრუ ხმით წარმოთქვა სტალინმა.

ჩერჩილს ღიმილი მოეფინა სახეზე და დარწმუნებით თქვა: მოხარული ვარ, რუსეთში რომ ჩამოვედი და მის ხელმძღვანელებს ვხვდებიო. პრემიერის ღიმილი ნაძალადევი მეჩვენა, მის ნერვიულობას უგერგილოდ ფარავდა. უცხოელი სტუმრების ამგვარი რეაქცია სტალინთან შეხვედრისას, არცთუ იშვიათად, თვალში მხვდებოდა. მათი უმრავლესობა სტალინს, რასაკვირველია, დაუნდობელ, პირსისხლიან ტირანად თვლიდა და მის სასტიკ, არაადამიანურ მმართველობას გმობდა. მაგრამ მრავალი მათგანი, მასთან კონტაქტის დროს, თავს ვერ აღწევდა ერთგვარი, თავისებური პიეტეტის ტყვეობას. შესაძლოა, შეგრძნება იმ უსაზღვრო ძალაუფლებისა, სტალინს მილიონობით თავის ქვეშევრდომებზე რომ მოეპოვებოდა, დამოუკიდებლად იმისგან, თუ როგორი მეთოდებით მიაღწია ასეთ ძალაუფლებას, „ხალხთა ბელადის“ გარშემო ქმნიდა შარავანდის სახეობას, რომელიც ადამიანის სურვილის წინააღმდეგ იწვევდა რაღაცას, პირფერობას რომ წააგავდა. ეგებაც ეს იყო უნებლიე გამომჟღავნება შიშისა ურჩხულის წინაშე. სტალინის ნიჭი – ეთამაშა თავზიანი მასპინძლის როლი, მისი უნარი – მოეხიბლა თანამოსაუბრე, იწვევდა მზადყოფნას, რომ მასთან საერთო ენა გამოენახათ.

4. ორი ლიდერის ბოლო შეხვედრის ვითარება, 1942 წლის 15 აგვისტოს – მოსკოვიდან ჩერჩილის გაფრენის წინა საღამოს, მართლაც რომ მეგობრული იყო. სტალინი აფრქვევდა თავაზიანობას და გულითადობას, რამაც ჩერჩილი ჯერ კი გააოგნა, მაგრამ მალე ისიც ჩაერთო კრემლის მბრძანებელთან „მეგობრობის“ თამაშში. რაზე არ ილაპარაკეს! სტალინმა ხელახლა გაუსვა ხაზი ჩრდილოეთ აფრიკაში მო-

კავშირეთა გადასხდომის დიდ მნიშვნელობას, ჩერჩილს ამით ანიშნებდა, გარდუვალს შევურიგდიო და საუბრის ეს მონაკვეთი ამ სიტყვებით დაამთავრა:

– ღმერთი იყოს თქვენი შემწე...

– ღმერთი, რა თქმა უნდა, ჩვენს მხარეზეა, – დაეთანხმა ჩერჩილი.

– ეშმაკი კი, რასაკვირველია, ჩემს მხარეზეა და გაერთიანებული ძალისხმევით მტერს დავამარცხებთ, – აიტაცა ჩერჩილის ნათქვამი სტალინმა და მიახვედრა, რომ კარგად ახსოვდა ჩერჩილის განცხადება: მზად ვარ, თვით ეშმაკთან შევკრა კავშირი, თუკი ის ჰიტლერის წინააღმდეგ იომებსო.

5. ჩერჩილმა თქვა:

– ერთი ბინძური დოკუმენტი უნდა გიჩვენოთ, რომელიც ლონდონში მყოფ ზოგიერთ პირთა შეხედულებებს შეიცავს, – სამკერდე ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდის ფურცელი ამოიღო, მაგიდაზე გაშალა და სტალინისკენ მიაჩოჩა (ეს ხდება 1944 წლის ოქტომბერში. – მთარგმნელი).

ტექსტი თარგმანს არ მოითხოვდა. ფურცელზე სულ რამდენიმე სტრიქონი ეწერა:

„რუმინეთში: რუსეთი – 90%, დანარჩენები – 10%; საბერძნეთში: დიდ ბრიტანეთი – 90%, რუსეთი – 10%; იუგოსლავიაში: 50-50%; უნგრეთში: 50-50%; ბულგარეთში: რუსეთი – 75%, დანარჩენები – 25%.“

სტალინმა დაკვირვებით შეათვალიერა ციფრები, ბრინჯაოს ჭიქიდან თავისი ერთ-ერთი საყვარელი ორფერი, მსხვილი ფანქარი ამოიღო და ფურცლის ზედა კუთხეში პაწია, ლურჯი ფერის ნიშანი დაუსვა.

ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა. ჩერჩილმა, პირველმა დაარღვია დუმილი:

– ძალზე ცინიკურად ხომ არ ჩაითვლება, რომ ჩვენ ერთი ხელის მოსმით გადავჭერით საკითხები, მილიონობით ადამიანთა ბედს რომ უკავშირდება? ეგებ აჯობებდა, დაგვეწვა ეს ქაღალდი...

– არა, სჯობს შეინახოთ, – თქვა სტალინმა.

ჩერჩილმა ფურცელი დაკეცა და ჯიბეში ჩამალა.

6. სტალინს თავისებური იუმორი ჰქონდა. როგორც ჰყვებიან, ერთხელ, წითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსმა მეხლისმა იჩივლა უმაღლეს მთავარსარდალთან: მავანი და მავანი მარშალი „საფრონტო ცოლს“ ყოველკვირა იცვლისო (უნდა იგულისხმებოდეს მარშალი როკოსოვსკი. – მთარგმნელი) მოახსენა და მერე ჰკითხა სტალინს: რა ვქნათ, რა ვიღონოთო? სტალინი მოღუშული სახით უსმენდა და პასუხს არ სცემდა. მეხლისმა გაიფიქრა, რაღაც სასტიკ სასჯელს გეგმავსო და ლამის ინანა თავისი ბეზღობა. სტალინმა კი ეშმაკური ღიმილით ჩაილაპარაკა:

– უნდა შეგვშურდეს...

სხვა ამბავიც მსმენია. სტალინი, მთელი ომის განმავლობაში ერთ მარშალს (უნდა იგულისხმებოდეს მარშალი ვასილევსკი. – მთარგმნელი) დროდადრო ეკითხებოდა: 1937 წელს რატომ არ დაგაპატიმრესო? მარშალი პასუხის გასაცემად პირის გაღებას ვერც ასწრებდა, რომ სტალინი მკაცრად უბრძანებდა ხოლმე: „შეგიძლიათ წაბრძანდეთ!“ და ეს მეორდებოდა ომის დამთავრებამდე. მარშლის ცოლი, ყოველი ამგვარი შემთხვევის შემდეგ, ქმარს უმზადებდა ბოხჩას, სადაც თბილი საცვლები და ორცხობილა ელაგა. ეგონა, რომ მისი მეუღლე, საცაა, ციმბირში ამოყოფდა თავს. და აი, დადგა დღე გამარჯვებისა. თავისი მხედართუფროსებით გარშემორტყმული სტალინი სიტყვას წარმოთქვამს:

– მძიმე დღეებიც გამოვიარეთ და სასიხარულო გამარჯვებებსაც ვიხვეჭდით, მაგრამ ხუმრობა ყოველთვის გვჩვეოდა. განა მართალს არ ვამბობ, მარშალო... – და თავის „ხუმრობათა“ ბედშავი ობიექტის გვარი დაასახელა.

7. სტალინის სიკვდილი ძალზე მძიმედ განვიცადე. ჩემთვის იგი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი და ლენინის ერთგული მოწაფე ხომ არ ყოფილა. ის იყო შემოქმედი ყოველივე იმისა, რითაც ვსულდგმულობდით ომამდელ, ომისდროინდელ და ომისშემდგომ წლებში. მე ვიყავი ერთი იმ არამრავალთაგან, ვინც მას პირადად იცნობდა, მის გვერდით მჯდარა, მის ყოველ სიტყვას აყურადებდა და ცდილობდა, რომ მისი აზრი თანამოსაუბრისათვის ყველა ელფერითა და ინტონაციით გადაეცა. უკვე აღარ ვწუხდი იმას, რომ მან ხელი მკრა და მომიშორა. ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა იმ აუნაზღაურებელ დანაკარგთან შედარებით, რომელიც მთელმა ჩვენმა ხალხმა, მთელმა კაცობრიობამ განიცადა. აღარც იმას ვნაღვლობდი, რომ მისი სიყვარული ვერ დავიმსახურე, თუმცა მაშინ არც კი მომსვლია თავში, რომ ამ მარტოსულ და ავადმყოფურად ეჭვიან კაცს ამგვარი გრძნობა თავისი ახლობლების, თავისი ვაჟიშვილების მიმართაც კი არ გააჩნდა. იმხანად, ჩვენ ყველანი სტალინის დაობლებულ შვილებად ვთვლიდით თავს. მჯეროდა, რომ ჩემს ცნობიერებაში აღბეჭდილ ნახევრად ღმერთის იერს, როგორც ძვირფას რელიკვიას, სამარადისოდ შევინახავდი. მან ხომ ოდესღაც უდიდესი პატივი დამდო იმით, რომ თავის სიახლოვეს ყოფნა მარგუნა წილად მთელი ოთხი წლის მანძილზე და ამ ოთხმა წელიწადმა ერთი წამივით ჩაიქროლა...

თარგმნა **თემურ ღვინერიამ**



ვოკალურის სასოების უფლებე

დავით ანდღულაძე და მარინე ნოზაძე
(კონსერვატორია. ივ. ჯავახიშვილის ფოტოარქივიდან)

ყველას შესანიშნავად მოეხსენება, თუ რა ფაქიზია ადამიანის სახმო სიმები. ისინი ისეთივე ფაქიზი და სათუთია, როგორიც ადამიანის სული, სულის სიმები.

ამ ორივეს აერთიანებს ჰაერის შეხება და წარმოიქმნება სასწაული – ადამიანის სიმღერა.

ეს კარგად იცოდა პითაგორამ – იგი სიმღერით კურნავდა სულს.

აი, ასევე ფაქიზია ექიმ-ფონიატრის საქმიანობა. მას საქმე აქვს ისეთ ორგანოსთან, რომელიც აერთიანებს ადამიანის სულს, სუნთქვას და სახმო იოგებს.

ექიმი-ფონიატრი თუ ამას არ ჩასწვდა თავისი გაგებით, გუმანით, ცოდნით და არ დაუდო საფუძვლად ეს ცოდნა თავის სამკურნალო საქმიანობას, იგი მიზანს ვერ მიაღწევს და, რაც მთავარია, მომღერლების ნდობას ვერ დაიმსახურებს.

აი, ამ რწმენით, ამ გაგებით შემოვიდა ფონიატრიაში ქალბატონი მარინე ნოზაძე და მთელი თავისი, საბედნიეროდ, ხანგრძლივი სიცოცხლე შეალია საკუთარი რწმენის ხორცშესხმას.

ექიმი-ფონიატრი მარინე ნოზაძე 90 წლის გახდა მიმდინარე წელს. კონსერვატორიის რექტორატმა, ვოკალურმა ფაკულტეტმა, სოლო სიმღერის კათედრამ, საქართველოს მუსიკალურმა და ვოკალურმა საზოგადოებრიობამ მას გადაუხადა მადლიერებითა და თაყვანისცემით აღსავსე სახელოვანი იუბილე კონსერვატორიის მცირე დარბაზში. მადლიერი პაციენტები, კოლეგები, საზოგადო მოღვაწეები გულმხურვალედ ესალმებოდნენ იუბილარს. ისინი ჩამოსული იყვნენ სხვადასხვა კუთხიდან, ალალი გულით მოისწრაფოდნენ ღვაწლმოსილი მკურნალისაკენ, ეფერებოდნენ და ესალბუნებოდნენ მას წრფელი გულით, უბრალო, გულში ჩამწვდომი სიტყვებით ულოცავდნენ მკურნალს ღირსშესანიშნავ თარიღს.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა კონსერვატორიის რექტორატისა და კულტურის სამინისტროს წარდგინებით დააჯილდოვა მარინე ნოზაძე „ღირსების ორდენით“.

რით დაიმსახურა ამ ექიმმა ესოდენ საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული?

საქმისათვის თავდადებით, პატიოსანი, უანგარო შრომით, ერთგულებით.

სამკურნალო-სამეცნიერო დარგში მარინე ნოზაძე ჭეშმარიტი ნოვატორია. ექიმმა დააფუძნა მკურნალობის უახლესი მეთოდები ფონიატრიაში. იგი დღენიადაგ ძიებაშია, სამეცნიერო დარგში მას ნამდვილი აღმოჩენები აქვს, რაც სცილდება უშუალო სამედიცინო პრაქტიკას და ორგანულად უკავშირდება ვოკალური პედაგოგიკის ურთულეს პრობლემებს. ამ მხრივ განსაკუთრებულია მარინე ნოზაძის მრავალწლიანი შემოქმედებითი საკვლევაძიებო და ვოკალურ-ფონიატრული თანამშრომლობა დავით ანდღულაძის ვოკალურ სკოლასთან.

რომ არა ეს მჭიდრო კავშირი, ვინ იცის, რა გზას დაადგებოდა ახალგაზრდა ზურაბ ანჯაფარიძე, რომელსაც სტუდენტობისას ვოკალური სირთულეები ჰქონდა.

მას შემდეგ უამრავმა მომღერალმა გაიარა ექიმის სარკის შუქზე.

მარინე ნოზაძე პროფილაქტიკას მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე შორს წასული პათოლოგიის რეაბილიტაციას, თუმცა ამ დარგშიც უამრავი მიღწევა ჰქონდა. რამდენი მომღერალი დაუბრუნებია სცენისათვის, რამდენზე გამოუცდია წარმატებით თავისი ნოვატორული მეთოდები!

ნოვატორული იყო ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ფიზიოთერაპიის მეთოდების დანერგვა ფონიატრიაში (ე.წ. „იონიზაცია“ – ელექტროფორეზი), ან ნიკოლაევის ახალი აპარატის – „რადმის“ გამოყენება პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, არამედ, და ეს ძალზე მნიშვნელოვანია, ხალხური მედიცინის რეცეპტურის დანერგვა იმ დროს, როდესაც ოფიციალურ იდეოლოგიას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა მათი ხსენებაც კი (ფიტოთერაპია, ჰომეოპათია, დინდგელის პრეპარატები და ა.შ.).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მარინე ნოზაძის ძიებანი შემოქმედებითი სასიმღერო სუნთქვის დარგში.

მ. ნოზაძემ პირველმა და ერთადერთმა რენტგენოსკოპიის გამოყენებით შეისწავლა ქართველი ბავშვების სუნთქვა, ქართული ხალხური სიმღერის დიდოსტატების სუნთქვა სიმღერაში, რაც დაგვირგვინდა მსოფლიოში ერთადერთი რენტგენოლოგიური გამოკვლევით სიმღერის მექანიზმისა – სიმღერის პროცესში უდიდესი ოსტატებისა და გაუწაფავი მომღერლების სიმღერაზე დაკვირვებით. ეს ფილმი (სულ ათი წუთი!) არაერთხელ ყოფილა დემონსტრირებული ჩვენშიც და უცხოეთშიც სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სესიებზე.

და, ბოლოს, ერთი არსებითი მომენტიც: ყოველთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა და ახლაც წარმოადგენს მეცნიერებისა და ხელოვნების დაკავშირება ერთიან შემოქმედებით სინთეზში.

მარინე ნოზაძის მოღვაწეობამ და მიღწეულმა შედეგებმა შესაძლებელი გახადეს ფონიატრიული კვლევა და პრაქტიკა ორგანული განუყრელი კავშირით შესდუღებოდა ვოკალური ხელოვნების პედაგოგიკას.

ეს უკვე მოწმობაა მაძიებელი სულის გმირობისა.

აი, ყოველივე ამის გამო დაფასდა ასე მაღლა ამ თავმდაბალი, უპრეტენზიო ადამიანის ღვაწლი ქართული და საერთაშორისო ვოკალური კულტურის წინაშე.

ნოდარ ანდღულაძე

ცენტრში – ნოდარ ანდღულაძე და მარინე ნოზაძე

ბაირონის „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“

გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის ჟორჟ ლეფევრის თქმით, „ნაპოლეონი იყო საუკუნის ადამიანი“. ნაპოლეონის ეპოქის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარი ე. ტარლე აღნიშნავს, რომ „ნაპოლეონი იყო მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი რთული პიროვნება“. ამიტომ ნაპოლეონის ცხოვრებითა და მოღვაწეობით ბაირონის დაინტერესება სავსებით მართლზომიერია. ბაირონი ამ გმირული ეპოპეის თანამედროვეა, მისი დამოკიდებულება ნაპოლეონის მოღვაწეობისადმი სტატიკური არაა, დინამიურობით გამოირჩევა და ანალიტიკურობასთან ერთად არც ემოციურ ხასიათსაა მოკლებული.

ბაირონს, როგორც რომანტიკოსს, ნაპოლეონის მოღვაწეობაში, პირველ ყოვლისა, ძლიერი პიროვნება იტაცებდა, მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო. იგი ხვდებოდა, რომ ახალი ცხოვრების სიო ევროპაში საფრანგეთის რევოლუციიდან და ნაპოლეონიდან მოდიოდა. ბაირონი ნაპოლეონში, საფრანგეთის რევოლუციის ტრადიციების გამგრძელებელს ხედავდა და მას აბსოლუტისტური ევროპისა და საღვთო კავშირის ანტითეზად სახავდა.

ბაირონის „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ მარტო ლიტერატურათმცოდნეების ყურადღებას როდი იპყრობს, ის არანაკლებ საინტერესოა ისტორიკოსის თვალით დანახული.

ალბათ, არც ერთ მწერალს არ დაუწერია ნაპოლეონზე იმდენი ნაწარმოები, რამდენიც ჯორჯ ბაირონს: „ნაპოლეონის გამოთხოვება“, „ფრანგგულიდან“, „ოდა ფრანგულიდან“, „საპატიო ლეგიონის ვარსკვლავზე“, „ნაპოლეონის დაბრუნება კუნძულ ელბადან“, „ნაპოლეონის სათუთუნე“, „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“. იგი ნაპოლეონს „ჩაილდ ჰაროლდსა“ და „ბრინჯაოს საუკუნეშიც“ იხსენებს და ახასიათებს. ყოველივე ეს, შეიძლება ითქვას, თავისებურ ნაპოლეონიანას ქმნის. ნაპოლეონზე ასეთი ინტენსიური წერა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და, ალბათ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ განსაკუთრებულ პატივისცემას, რომელსაც ბაირონი ამ პიროვნებას მიაგებდა. აქვე დავძენთ, რომ ბაირონის შედევრი „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ ქართული საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი. ჯერ იყო და იგი თარგმნა თამარ ზანდუკელმა, ხოლო სულ ახლა ხანს გამოვიდა ინესა მერაბიშვილის თარგმანი.

ცნობილია, რომ ბაირონის ეს შედევრი მას შემდეგ შეიქმნა, როდესაც პოეტმა ნაპოლეონის გადადგომის შესახებ შეიტყო. თავისთავად ასეთი მყისიერი რეაქცია საგულისხმოა და ნაპოლეონისადმი ბაირონის სიმპათიების კიდევ ერთ გამოვლინებად აღიქმება. ძნელი სათქმელია, ბაირონს ლექსი ნაპოლეონის განქიქების მიზნით დაეწერა. ეს წაქცეული კაცის ჩაწიხვლის ტოლფასი იქნებოდა, რაც, ბუნებრივია, მისი ხასიათიდან გამომდინარე არ იქნებოდა. ბაირონში ამხელა ემოცია შეიძლება ნაპოლეონისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და იმ იმედგაცრუებას გამოეწვია, რომელსაც იგი ამ სახელს უკავშირებდა. ნაპოლეონის დამხობით გულმოკლული ბაირონი ლექსში ხოტბას ასხამს ნაპოლეონ ბონაპარტეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამავე დროს არც მის შეცდომებს ივიწყებს, რის გამოც სასტიკად კიცხავს თავის სათაყვანებელ კერპს.

ბაირონის ლექსი რთული და მრავალწახნაგოვანია, ცალსახა დასკვნების გამოტანა შეუძლებელია. თუ ლექსის სათაური ჟღერს როგორც ნაპოლეონის აპოთეოზი, შინაარსზე ამას ვერ ვიტყვით. ნაწარმოები ისეთი ღირებული არ იქნებოდა. მარტოოდენ ნაპოლეონის პანეგერიკი რომ ყოფილიყო. არც მაშინ იქნებოდა ფასეული, თუ მასში ნაპოლეონი მხოლოდ აუგად იქნებოდა მოხსენიებული. ბაირონის ლექსი ნაპოლეონის დაცემით გამოწვეული გულისტკივილითაა აღსავსე. იგი კარგად ხედავდა, რომ მიუხედავად თავისი შეცდომებისა, ნაპოლეონი გაცილებით უფრო პროგრესული პიროვნება იყო, ვიდრე ისინი, ვინც იმპერატორი დაამხო და „საღვთო კავშირი“ შექმნა.

1814 წლის 9 აპრილს ტომას მურისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ, რომ ბაირონი ხელს იღებს ლექსის წერაზე და თავის განზრახვას იმით ასაბუთებს, რომ იგი პოეზიაზე მაღლა საქმეს აყენებს. ასეთად მას სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა მიაჩნია, რასაც საბოლოოდ კიდეც შეეწირა საბერძნეთში 1824 წელს. ლიტერატურის ისტორიკოსები აღნიშნავენ: ბაირონმა, ნაპოლეონის გადადგომის ამბავი, რომ გაიგო სიტყვა გატეხა და თავისი ერთ-ერთი შედევრი „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ დაწერა. რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ბაირონის პატივისცემა ნაპოლეონისადმი, რომ მან დადებული პირობა დაარღვია. მაგრამ გატეხა კი ბაირონმა თავისი სიტყვა? იქნებ ბაირონის ეს ლექსი ყველაზე უფრო მეტად სამართლიანობისა და თავისუფლების დაცვა სწარმოადგენდა. განა ამისთვის უკეთესი თემის შერჩევა, ვიდრე ნაპოლეონზე წერაა, იმ პერიოდში შეიძლებოდა?

ვფიქრობთ, ლექსი, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვიქვათ, როგორც ნაპოლეონისადმი ბაირონის დამოკიდებულების თავისებური რეზიუმე, რომელიც „გენიოსის ცივი გონებითა და მგზნებარე პოეტური განცდითაა“ დაწერილი. მიუხედავად ლექსის საკმაოდ მკაცრი ტონისა, უნდა ითქვას, რომ ამას ბაირონი ნაპოლეონის დაგმობამდე არ მიყავს. უეჭველია, ბაირონი ნაპოლეონის მოღვაწეობის ერთ მხარეს გმობს — დესპოტად, ტირანად, მონარქად მის გადაქცევას. იგი ლექსში სასტიკად ამათრახებს ნაპოლეონის მიერ თავისუფლებისა და რესპუბლიკის ღალატს. მას არ მოსწონს ნაპოლეონის ეს მეტამორფოზი: თავისუფლების შვილიდან დესპოტ მონარქად გადაქცევა. ბაირონი ვერაფრით შეგუებია იმ აზრს, რომ მან თავისუფლებას იმპერატორის გვირგვინი ანაცვალა.

საბოლოოდ ნაპოლეონი ბაირონისათვის იმ ისტორიულ ფიგურად დარჩა, რომელიც „მეფედ შობილი არ იყო, მაგრამ ეტლში მეფეები ყავდა შებმული.“ ანუ სხვაგვარად რომ ვთქვა, „წმენდდა ევროპის ფეოდალიზმის ავგეოსის თავლებს“. ბაირონს ნაპოლეონის ისტორიულ დამსახურებად სწორედ ეს მიაჩნდა და ამიტომ მას სათანადო პატივს მიაგებს. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ 1814 წლის აპრილში ნაპოლეონის გადადგომით გულნატკენი ბაირონი დასძენს: „თუმც დღეს ის ყველა თაყვანისმცემელმა მიატოვა და მას ყველა გაურბის, ზურგს მე მას მაინც არ შევაქცევ“. აღსანიშნავია, რომ ბაირონი ნაპოლეონის ელბიდან გაქცევას და მეორედ გამეფებას აღტაცებით შეხვდა. ეს ტენდენცია ჩანს როგორც მის ლექსში „ნაპოლეონის დაბრუნება კუნძულ ელბადან“, ისე მის წერილში ტომას მურისადმი 1815 წლის 27 მარტს. ყურადღება მივაქციოთ ნაპოლეონის დაბრუნებაზე ბაირონის რეაქცია კვლავ მყისიერია (ნაპოლეონი პარიზში 1815 წლის 20 მარტს შევიდა). ცნობილია, რომ ინგლისიდან დევნილმა ბაირონმა 1816 წლის ზაფხულში მოინახულა ვატერლოოს ველი. აქ, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაფერი იყო. ბაირონის ღრმა რწმენით, „ვატერლოოს ბრძოლის დროს თავისუფლებამ დაამარცხა ტირანი, რომელიც თავისუფლების შვილიდან დესპოტად გადაიქცა“.

ამ ლექსში ბაირონი ისტორიის ჩინებულ ცოდნას ავლენს და იმ პოლიტიკოსებს იხსენებს, რომლებმაც უარი თქვეს ძალაუფლებაზე. ცნობილია რომაელმა პოლიტიკოსმა ლუციუს კორნელიუს სულამ (ქრისტეს შობამდე 138-78 წწ.) 79 წელს თავისი ძლიერების ზენიტში მყოფმა, ხელისუფლებაზე უარი თქვა. რომის იმპერატორი დიოკლტიანე (284-305 წწ.) 305 წელს იმპერატორის გვირგვინზე უარს ამბობს და თავის მამულ ჩერნეგორიაში მიემგზავრება, სადაც 313 წელს გარდაიცვალა. თურქეთის სულთანი მურად II (1408-1451 წწ.) 1444 წელს უარს ამბობს ტახტზე შვილის სასარგებლოდ. და ბოლოს, ესპანეთის მეფე კარლოს V (1519-1556 წწ.) ტახტიდან გადადგა და ცხოვრების ბოლო წლები მონასტერში გაატარა. ბაირონი ძალიან კარგად ხედავს, რომ ნაპოლეონის გადადგომა იძულებითი ხასიათისა იყო.

ალბათ, არ ღირს ნაპოლეონზე ბაირონის კრიტიკული გამონათქვამების გაზვიადება. მართლია, იგი ნაპოლეონს კიცხავდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამას უმთავრესად ნაპოლეონისადმი უსაზღვრო სიმპათიებიდან გამომდინარე აკეთებდა. მთლიანობაში იგი აღტაცებულია და ნაპოლეონს უდიდეს პატივს მიაგებს, თუმცა მის ცალკეულ ნაბიჯებს არ იწონებს.

ბაირონის ლექსში „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ ყურადღებას იპყრობს ნაპოლეონისა და ვაშინგტონის შედარება. ასეთი პარალელი შემთხვევითი არ ყოფილა და იმ პერიოდის ლიტერატურაში მეტად მოდური იყო.

ამ ორი ისტორიული პიროვნების შედარებას ასეთი ლოგიკა გააჩნდა. ვაშინგტონს ხშირად ნაპოლეონს უპირისპირებდნენ, როგორც სახელმწიფოს ორგანიზატორს, დიდ დამპყრობელს. ფიქრობდნენ, რომ ნაპოლეონმა ვერ შეასრულა ის ამოცანა, რომელიც მას ისტორიამ არგუნა წილად და ყველაფერი საკუთარ სახელსა და დიდებას ანაცვალა, ხოლო ვაშინგტონმა ყველაფერი გააკეთა, რაც მას ევალებოდა და მხოლოდ თავის ხალხზე ზრუნავდა. სტენდალი ამბობდა, რომ „ნაპოლეონი აარსებდა სახელმწიფოებს, ხოლო ვაშინგტონი ორგანიზაციას უკეთებდა მათ“. სავსებით ვეთანხმებით ბ. რეიზოვს, რომ „ამაში ნაპოლეონის შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი არაფერია“.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სტენდალის მსგავსად, ბაირონთანაც ვაშინტონისა და ნაპოლეონის შედარება ერთ კონკრეტულ ამოცანას ემსახურებოდა, განადიდოს ნაპოლეონი, კიდევ უფრო ზუსტად განსაზღვროს მისი გენია. ახსნას მისი მოქმედება და ამავე დროს გაამართლოს იგი, ხაზს უსვამს რა მის ნაკლოვან მხარეებს.

ბაირონის შედევრი „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ სავსებით რეალურ ვითარებას ასახავს, ნაპოლეონის დაცემით გამოწვეულ ბაირონის გულისტკივილს, მასში, ვფიქრობთ, კარგად აისახა როგორც ნაპოლეონის მოღვაწეობით განპირობებული ბაირონის აღტაცება, ისე კორსიკელის შეცდომებით გამწვეული იმედგაცურება, სევდა თუ ტრაგიზმით აღსავსე გულისტკივილი. ეს არის „გენიოსის ცივი გონებითა და მგზნებარე პოეტური განცდით“ დაწერილი ლექსი იმ პიროვნებაზე, რომელსაც ბაირონი უდიდეს პატივს სცემდა.

მერაბ კალანდაძე

ჭეშმარიტ ეროვნულობაზე

ერთი ქართული ოჯახის უმცროსი წევრი – თემურ კვიტაშვილი მინდა გაგაცნოთ...

ოჯახის მამა – ნუგზარი მწერალია, მეცნიერთა და წიგნის მომხმარებელთა კავშირის გენერალური დირექტორი, დედა ამავე დაწესებულებაში წიგნის მცოდნედ მუშაობს, ბებია კი ყოფილი პედაგოგი გახლავთ. ოჯახში სამი ყმაწვილი ბავშვი იზრდება – შორენა, გიორგი და თემური. თემური, რომელიც 67-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეა, თხზავს მშვენიერ ზღაპრებს. მისით დავინტერესდი და სკოლის დირექტორს ია ფარულავას გავესაუბრე.

– სათნო და კეთილი ბავშვია, თანატოლებთან კონტაქტს ადვილად ამყარებს. დიახ, იგი ზღაპრებს წერს პირველი მკითხველები თანაკლასელები არიან. ამხანაგებს ძალიან უყვართ და მოსწონთ თემურის ზღაპრები. ბევრმა მათგანმა ზეპირადაც კი იცის...

ერთი შეხედვით, თემური თანატოლებისაგან არაფრით განსხვავდება, როგორც ბევრ მათგანს, მასაც უყვარს ჭადრაკი. გატაცებულია კოსმოსით. საუბარში კი წრფელი და უშუალოა. თუმცა მრავლისმეტყველ მკვირცხლ თვალებიდან, ზოგჯერ დღევანდელი ცხოვრებისეული სევდაც გამოსჭვივის.

ვსაუბრობთ:

– შენზე ამბობენ, ზღაპრებს თხზავსო.

– კი.

– დიდი ხანია?

– არც ისე, ორი წელი იქნება... ალბათ, უკვე ოცი ზღაპარი და მოთხრობა მექნება დაწერილი.

– პირველად წერა ზღაპრებით დაიწყე?

– არა, პატარა რომ ვიყავი ლექსებს ვიგონებდი, კითხვა ხუთი წლისამ და-ძმის დახმარებით ვისწავლე. წიგნებს დედა მირჩევდა, განსაკუთრებით ზღაპრები მიტაცებდა.

– ზღაპრებში რა მოგწონს:

– ცხოვრების თავისებურება. შეფარვით იქ ხომ ბევრი რამ არის თქმული, ადამიანი კეთილი უნდა იყოს და მეც, ჩემს ზღაპრებში ეს მინდა გამოვხატო.

– რატომ ზღაპრებში?

– პატარებს განსაკუთრებით იზიდავთ ზღაპრები და იმიტომ. ზღაპრებს რომ წაიკითხავენ, კეთილსა და ბოროტს ადვილად გაარჩევენ, ტყუილი, მტრობა და ღალატი ხომ მათი დამღუპველი იქნება, ჰო-და. მეც, ამიტომ ვწერ მათთვის, რომ ისინი კეთილები გაიზარდონ.

ზღაპარი „თხუნელა და რკო“ სამშობლოს ბედზე ხომ არ დაწერე?

– თქვენ ასე გაიგეთ? – მოულოდნელად კითხვა შემიბრუნა, ღრმად ამოისუნთქა და თავი ჩაღუნა.

– ეს თქვენ უნდა ამოხსნათო, – გაუბედავად ჩაილაპარაკა და თავჩაქინდრულმა ქვემოდან ამომხედა...

აი, როგორი შეფასება მისცა თავის დროზე ან განსვენებულმა პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა, როცა თემურ კვიტაშვილის ზღაპრების „საოცარ სამყაროს“ გაეცნო:

„მის ზღაპრებში გამოსჭვივის ცნობისმოყვარე, გონიერი ბავშვის ნათელი და ცოცხალი ფანტაზია, ხალხური ზღაპრების სურნელების ჩინებული გრძნობა, დედაენის ღრმა სიყვარული... ყველა ზღაპარი დაწერილია უშუალოდ, მიმზიდველად და შეუნელებელი ინტერესით იკითხება. მცირე ასაკის ავტორის ეს ზღაპრები მის მშვენიერ მომავალზე მეტყველებს...

ღმერთო ჩემო, ეს რა უნიჭიერესი ბავშვი გავიცანი, ვუსურვებ მას ბედნიერ მომავალს“...

დედა – ლია კვიტაშვილი კი იხსენებს: – პატარაობიდან უცნაური იყო, საბავშვო ბაღის აღმზრდელები მას ისე ესაუბრებოდნენ, როგორც თანატოლს. შინ განმარტოვდებოდა და უცებ მომესმოდა ხოლმე, დედა დაწერეო და იწყებოდა ლექსების თხზვა. პირველად მის ნათქვამს მაინც და მაინც ყურადღებას არ ვაქცევდი. მერე და მერე, როცა ექვსი წლისამ ასეთი რამ მითხრა – „ეს ცხოვრება ტანჯვა არის უმაღლესი, ცოდვისაგან რომ მრავლდება ქვეყანაზე“...

დედა ვიყავი და გავოგნდი. ახლა თემური მეხუთე კლასშია, თერთმეტი წლის არის, ვნახოთ რა იქნება მომავალში...

თერთმეტი წლის თემურ კვიტაშვილი მხოლოდ სიკეთეზე, მეგობრობასა და გონიერებაზე წერს. პატარა შემოქმედმა სწორედ ამ ფიქრით შექმნა „ღარიბი კაცი და მეფე“, „ბოროტი უფლისწული და ია“, „თამუნა“, „ოქროს კვერცხი“ და მრავალი სხვა ზღაპარი.

მისი „არაჩვეულებრივი ზღაპრების პატარა კრებული“ გამოსაცემად მზად არის, რომელიც პროფესორმა ბადრი ცხადაძემ ასე შეაფასა:

„ქართველებს, ჩვენს საზოგადოებას ნიჭიერებით ვერ გავაკვირვებთ. ამ მხრივ განებივრებულთ ღმერთმა დაგვაბერტყა კალთა – გონი, გარეგანი და შინაგანი სილამაზე... ამჟამად ჩვენს წინაშე თემურ კვიტაშვილია, რომლის ზღაპრები თუ ზღაპარ-მოთხრობები (იგი ლექსებსაც წერს) ნიჭიერი ყმაწვილის გონებრივ ქურაში ისე ჩამოქნილა, რომ აშკარად გამორჩეულ, მხატვრულ-ესთეტიკურად საინტერესო, უბიწო პირველქმნილ ბავშვურ სამყაროს გვაზიარებს. ზოგჯერ „პატარა მეზღაპრის“ ზღაპარ-მოთხრობა შეიძლება მკითხველს დაუმთავრებელიც კი მოეჩვენოს, მაგრამ ამით ავტორი უფრო იგებს, რადგან ჩვენ, მკითხველებს, ამა თუ იმ ამბის – სიუჟეტის ჩვენეულ დასრულებას თუ გადაწყვეტას გვიტოვებს...

თემურ კვიტაშვილის წინამდებარე მომცრო ზღაპართა კრებული დიდი შენაძენია თანამედროვე საყმაწვილო მწერლობაში“.

რაღა გვეთქმის, რაკი ასეა, ისღა დაგვრჩენია, შემოქმედებითი გზა დავულოცოთ ნორჩ შემოქმედს.

ციხანა სიხარულიძე

გთავაზობთ თემურ კვიტაშვილის ერთ პატარა ზღაპარს

თხუნელა და რკო

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მუხა. მუხაზე ციყვებს, თაგვებს და თხუნელებს სოფელი ჰქონდათ გაშენებული. მუხას ერთი რკოც არ ესხა. იმ სოფლის ბინადრები მცენარეების ფესვებით იკვებებოდნენ.

ერთხელ მუხამ ერთადერთი რკო მოისხა. რკო ხშირ ფოთლებში იყო დამალული და ვერავინ ვერ შეამჩნია.

მოვიდა შემოდგომა, რკო დამწიფდა და ძირს ჩამოვარდა. რკო თხუნელას თავში დაეცა და დაარტიანა. იქვე თაგვი დადიოდა, მან რკო შეამჩნია და თათიც დასტაცა. ამ დროს გამოფხიზლებული თხუნელა მიწაში ჩაძვრა და თაგვის წინ ამოხტა, რკოს თათი დასტაცა და ისევ მიწაში ჩაძვრომას აპირებდა, რომ ამ დროს თავზე ციყვი დაახტა და რკო გამოსტაცა.

შეიქმნა ბრძოლა. ციყვი ხეზე აძვრა, იქ თაგუნა დაუხვდა, რკოს თათი დაჰკრა და დააგდებინა. რკო ფერდობზე დაეშვა და მდინარეში ჩავარდა. მდინარემ რკო მთელი სისწრაფით გააქანა, ისე, რომ თვალი ძლივს მოჰკრეს.

ახლა თქვენ თქვით, ვის ეკუთვნოდა რკო – თაგუნას, ციყვს თუ თხუნელას?!.

ყოსოევი

ეუფრის ღრე

ნაწყვეტი რომანიდან „სიკვდილამდე ნუ მოკვდები“

ევგენი ევტუშენკო

ტრფობა არ არის უკვდავი ტკბობით, სიმწარით,
არც ყველა წუხილს არ პასუხობს დარდით გვემული,
და არ არსებობს სიყვარული დაუვიწყარი,
სიყვარულისგან არ არსებობს დავიწყებულიც.

აგვისტოს იმ ღამეს პერედელკინოს აგარაკზე ჩემი ძაღლი ბიმი ყმუოდა, ფიცარს კბილებით გლეჯდა, დრუნჩით და მკერდით ღობის განგრევას ცდილობდა, მას პოლიტიკური წინათგრძნობა კი არ ჰქონდა, არამედ საშინლად უნდოდა ღობის იქით გასვლა, სადაც მასავით ბანჯგვლიანი და უშველებელი სიყვარული იტანჯებოდა.

ისინი სენბერნარის მონათესავე, ერთი ჯიშის მოსკოური სადარაჯო ძაღლები იყვნენ. ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ საწყალ ბიმს არ გააჩნდა საბუთები, რაც მის ჯიშიანობას დაამტკიცებდა. მისი სიყვარულის პატრონებს კი, ბიუროკრატიის კანონების თანახმად არ უნდოდათ ლეკვები უპასპორტო და საეჭვო მამისგან.

როდესაც ბიმის დასამშვიდებლად გარეთ გავედი, იგი ღობესთან ბრძოლით დაღლილი იწვა ბალახზე, ვაშლის ხის ქვეშ, ცხვირი გაეყო ღობეში და მეზობლის ძაღლის ცხვირს უგლასუნებდა. ისინი აღარ ყმუოდნენ, მხოლოდ წკავწკავებდნენ. ძაღლები ტიროდნენ აგვისტოს ხურტკმელისტოლა ცრემლებით.

სავსე მთვარე იყო. მის ცივ სინათლეში ბრწყინავდნენ ვაშლის მწვანე ნათურები, ქაცვის ქარვისებური მძივები, შავი მოცხარის აქტისებური ყელსაბამები, ძაღლების შეყვარებული, ცრემლით სავსე თვალები და ბალახის ღეროებზე ნამი, როგორც მიწის პატარა თვალები. პერედელკინოს თავზე თვითმფრინავების ფრთების ალისფერი ცეცხლის ნათებაც ბუნების ნაწილს ჰგავდა.

ბიმი ნაღვლიანი ჩანდა. იგი სულ მიჩუმდა, და ღამის პეპელა არც კი შეშინდა, დასჯდომოდა ქეჩოზე. პეპელა ჰგავდა ყვავილის მთრთოლვარე ფურცელს.

შემოვბრუნდი სახლში, სადაც ჩემს ერთი წლის მიტიას წყნარად ეძინა. იგი პატარა კუს ჰგავდა. ჩემი ორი წლის ჟენია კი ბორგავდა დახუჭული თვალებით, თავს იქნევდა, საბანს იხდიდა, შფოთავდა, თითქოს მამისგან სახელთან ერთად შემკვიდრეობით დაუდგრომლობაც გადასცემოდა.

– ზოლებიანი მოვა, ზოლებიანი, – ლუღლუღებდა ძილში, იგი ამ სიტყვებში გულისხმობდა ყველაფერს ვეფხვისნაირს, საშიშს, მოულოდნელს, კბენიას.

– არავითარი ზოლებიანი არ მოვა, ნუ გეშინია, მამა შენთან არის... წავიჩურჩულე, დავაფარე საბანი და ბავშვი დამშვიდდა. მე ვიყავი ერთადერთი, ვისაც ჟენია უჯერებდა.

ჩემს ცოლს, მაშას ეძინა. არ ეძინათ მხოლოდ მისი ჩრდილოელი სახის გამჭვირვალე კანის ქვეშ ცისფერ ძარღვებს – ეს ძარღვები ფეთქავდნენ, თრთოდნენ, როგორც პაწაწკინტელა ნაკადულები პირველ, თხელ ყინულში. სიყვარულისგან სუნთქვა შემეკრა, როგორც მაშინ, ხუთი წლის წინ, კარელიურ ქოხში, როდესაც ჩვენ მარტოდ დავრჩით. თეთრი ღამე ოთახს მთრთოლვარე შუქით ავსებდა, მაშა კი ტბასავით თვალებით თეთრ ღამეს ჰგავდა. შემეშინდა მეკოცნა, თითქოს ჩემს კოცნას შეეძლო იგი დაეშალა, როგორც ღრუბლისგან მოქსოვილი მოჩვენება. მაშას რომ შევხვდი ჯერ კიდევ სრულიად უცნობს, მოვუყევი მთელი ჩემი ცხოვრების შესახებ, რომელიც იმდენად დავამსხვრიე, თვითონაც თითქის აღარ დავრჩი.

მაშინ მაშას ვუამბე ჩემს სამ სიყვარულზე.

პირველად შემიყვარდა, როდესაც სრულიად ახალგაზრდა ვიყავი და მიყვარდა ის, ვინც ჩემზე კიდევ უფრო ახალგაზრდა იყო.

მის ძარღვებში გაუხედნავი თათრული ცხენის სისხლი ჩქეფდა, დიდებულად თქაფუნობდა იტალიური სისხლიც, როგორც ვენეციის არხების მდორე წყალი, რომელიც არწევს არისტოკრატების სასახლეების ოქროსგისოსებიან ფანჯრებს, და წყალში იძირება როგორც ატლანტიდა.

თათრის მხრიდან მას ნამდვილად ხანის სისხლი ჰქონდა, რადგანაც მასზე საყოველთაოდ გამიჯნურებული თაყვანისმცემლების სიყვარულს იგი იღებდა ისე, როგორც გამჭვირვალე შარვალში გამოწყობილი ბახჩისარაის მზეთუნახავი, მოკრძალებით რომ უნიავებენ მარაოებით.

ის გამოიყურებოდა არა როგორც რეალური ქალი, არამედ როგორც ბოტიჩელის მსუბუქი ფუნჯით შექმნილი ნაწარმოები. თუმცა მისი თათარი მამა მუშაობდა აეროპორტის საბაჟოს ჩინოვნიკად. ეს კაცი სულ ჩუმად იყო, ალბათ იმ ბრილიანტების ჭვრეტით დათრგუნული, რომლებსაც ვიღაცეების ფეხსაცმლის ქუსლებიდან ჩიჩქნიდა. მისი მაიორის ჩინიანი ნახევრად იტალიელი დედა სუკში მთარგმნელად მსახურობდა, რაც არ ანელებდა მის დაუცველ სენტიმენტალობას და პანიკურ შიშს საკუთარი დაწესებულების წინაშე. იგივე პანიკური შიშის გამო მან უარი ვერ თქვა სუკში სამსახურზე.

როდესაც ჩემი ცოლის დედა გაეროში რაღაც თარგმანების მოსამზადებლად ორი წლით ნიუ-იორკში გააგზავნეს, მან ქალიშვილს მინდობილობა დაუტოვა ხელფასის ნაწილზე, რადგანაც ჩვენ, მართალია, მხიარულად, მაგრამ ღარიბულად ვცხოვრობდით. როდესაც ბევრი მეგობარი გყავს, ფული მუდმივად არ გყოფნის.

ერთხელ ცოლი ავად გახდა და მთხოვა, მის მაგივრად დედის მინდობილობით ფული ამეღო. ამიტომაც ჩემზე გაფორმდა მინდობილობა მინდობილობაზე. ცოლმა ამიხსნა, რომ სუკის ბუღალტერია მდებარეობს ლუბიანკის მთავარი შენობის წინ, პატარა, ცალკე სახლში და იქ არის განსაკუთრებული წესი – მომსვლელი ერთი კარიდან შედის და გამოდის მეორედან, რომ „ფარი და მახვილის“ რაინდები ერთმანეთს არ შეეჯახონ.

წავედი ცნობისმოყვარეობით აღვსილი. აღფრთოვანებული ვიყავი და თან გაციებული მქონდა მუხლები. წინასწარ ვტკბებოდი, რომ შემეძლო, შევხებოდი სახელმწიფო საიდუმლოებას. დერმატინგადაკრული კარი სახელმწიფო საიდუმლოებისაკენ ეზოდან იყო. ზედ არაფერი ეწერა, მის უკან იდგა თავის ღირსებაში დარწმუნებული პაჭუაცხვირიანი გუშაგი. მან შეამოწმა ჩემი სტუდბილეთი, მინდობილობა და შემიშვა, თან გამაფრთხილა, რომ გამოსასვლელი დერეფნის ბოლოს, სხვა კარიდანაა. ეს მე უკვე ვიცოდი. ამასთან დაკავშირებით უკვე შემუშავებული მქონდა განსაკუთრებული ხულიგნური გეგმა.

ბუღალტერიაში რამდენიმე მაგიდა იყო, რომელსაც უსხდნენ ისეთივე ჩვეულებრივი ქა-

ლები, როგორც ყველა ნებისმიერ ბუღალტერიაში. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ძალიან სქელმა ბუღალტერმა ქალმა, როდესაც ხელის მოსაწერად გამომიწოდა ძალიან სქელი ხარჯთაღრიცხვის წიგნი, სხვა დანარჩენ გვარებს დააფარა პლასტმასის ტრაფარეტი, სადაც წვრილად იყო ამოჭრილი ადგილი ჩემი ხელმოწერისათვის. როცა ხელს ვაწერდი, ჩემი სტუდბილეთი განზრახ მაგიდაზე დავტოვე. ბუღალტერიიდან გამოსვლის შემდეგ, ყველა ინსტრუქციის მიუხედავად გასასვლელისკენ არ წავსულვარ და მოულოდნელად უკან დავბრუნდი.

– უკაცრავად, ჩემი საბუთი თქვენს მაგიდაზე დამრჩა, ვთქვი უდანაშაულო კრავივით.

ბუღალტერმა, არანაკლებ პოლკოვნიკის ჩინანმა ბატმა ბრაზიანად დამისინინა. მაგრამ უკვე გვიან იყო.

ჩემსას მაინც მივაღწიე, დავინახე შემდეგი მომსვლელი. მაგიდასთან დახრილიყო და იგივე უწყისში ხელს აწერდა ლიტერატურული ჯუჯა, რომელიც თავის დეტექტიკურ რომანებში ხოტბას ასხამს საბჭოთა მანტიის და საბჭოთა ხანჯლის გმირებს, საეჭვო ჯაშუშური რომანტიკული სტილით და საქმის დაწვრილებითი ცოდნით, რის გამოც მისი პროფესია ეჭვგარეშეა. ტვიდის კუბოკრულ პიჯაკში, ალუბლისფერყელიან ფეხსაცმელებში კაუჩუკის ძირზე, პირში დაჭილის ჩიბუხით, იგი თავად ჰგავდა თავის მიერ აღწერილ ამერიკელ ჯაშუშს.

მოგვიანებით, როდესაც ჩვენ ერთმანეთს სხვადასხვა ლიტერატურულ კრებებზე ვხვდებოდით, იგი არასდროს არ მიახლოვდებოდა (მისი აზრით, კონსპირაციული მოსაზრებით), მაგრამ თვალებით შეუმჩნეველად მესალმებოდა.

ჩემი სიყვარული, რომელსაც ვუამბე ამ მნიშვნელოვან შეხვედრაზე, სადღაც რესტორანში ჯუჯასთან შეხვედრისას, თავშეუკავებლად ხარხარებდა, ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით და ჭუჭყი არ ეკვროდა ჩვენს ქორფა კანს. შეგვეძლო, მხიარულად გვეცინა დამსმენებზედაც კი, რომლებიც ისტორიის სხვაგვარად განვითარების შემთხვევაში ჩვენი მკვლელები შეიძლება გამხდარიყვნენ.

ჩემი სიყვარული, საერთოდ, სხვა განზომილებაში ცხოვრობდა, იქ, სადაც არ იყო არც პარტია, არც სუკი, იყვნენ მხოლოდ პასტერნაკი, ახმატოვა, ცვეტაევა და მსოფლიოს მთელი სილამაზე მისი ჩათვლით.

მასზე ყველა შეყვარებული იყო – ასაკისთვის შეუფერებლად გამოცოცხლებული კომპოზიტორი, რომელიც დამსკდარი მარმარილოს „ამურჩიკ“ წააგავდა. იგი უგზავნიდა ყვავილების კალათებს, რითაც ჩვენ მეზობლის თხას ვუმასპინძლდებოდით, თხა მეშვიდე სართულზე ცხოვრობდა აპოპლექსურ პატრონთან ერთად, რომელმაც თავის თავს ჩააგონა, რომ თხის ახალ-ახალი რძე მაღალ წნევას შველის. თუმცა ეს მას ხელს არ უშლიდა, კომუნალურ სამზარეულოში, გაზის ქურაზე, ვედროში პარალელურად ეკეთებინა შხამიანი – ყვითელი შინნახადი არაყი შაქრის, დოლბანდის და რთული მინის კონსტრუქციების შემწეობით. აგრეთვე ორი ახალგაზრდა პროვინციელი პოეტი, რომელთაც განუხორციელებელი სურვილების გამო, სახე მუწუკებით ჰქონდათ დაფარული. ერთ-ერთმა მათგანმა კინაღამ თავი მოიკლა, როდესაც მან მოულოდნელად პერედელკინოს ხის საპირფარეშოს კარი შეაღო და დაინახა მისი თაყვანისმცემელი, რომელიც „კომსომოლსკაია პრავდით“ ხელში არწივივით იჯდა.

ერთხელ მის სამზარეულოში ვნახე ცხვირჩამოშვებული, ღურემარის მსგავსი, გამაბრუებლად აყროლებული ადამიანი, რომლის წინდებიც როკფორის სუნად ყარდა. ხელებზე კი სტრიხნინის სუნი ასდიოდა. იგი მას აღფრთოვანებით უკითხავდა ლექსებს. ის კი, მისი ბულბულის ხმისაგან გატანჯული, გარშემო იყურებოდა და ქვითინებდა, თან აფახუნებდა არა მარტო ბოცვერის გაწითლებულ თვალებს, არამედ არანაკლებად წითელ ცხვირს, რომელიც მარწუხებმოცლილ მოხარშულ კიბორჩხალას წაგავდა.

– ეს ფედოტ პორფირეს ძეა, – მან აღფრთოვანებით წარმომიდგინა იგი. – შეხედე, მის შეურაცხყოფილი ბავშვის მშვენიერ სახეს, შეხედე, მისი სულის როგორი ხელშეუხებელი სიღრმეები შეარხია პოეზიამ. რამდენია მასში სუფთა, თუმცა ამის სამაგიეროდ ბოროტმა ადამიანებმა მას შეიძლება ყველაზე ბინძური პროფესია დააკისრეს. ის ხომ... ის ხომ... ამ სიტყვის თქმაც კი მიჭირს – ვირთხების მჟლეტავია. მაგრამ ვირთხებს შორისაც ხომ არიან, ალბათ, დიდი პოეტები და ჩვენ კი, მათ ვხოცავთ, ვხოცავთ და ამასთანავე ამაში ვითრევთ ისეთ უმანკო ადამიანებს, როგორიცაა ფედოტ პორფირეს ძე. მას ხომ ასე უმძიმს.

– და მერე როგორ მიმძიმს, – ცხვირი მოიხოცა თავისი გაქონილი შარფით ფედოტ პორფირეს ძემ. – იყო დრო, სტრიხნინი თავსაყრელი გვქონდა, არც წონიდნენ. ახლა კი სტრიხნინსაც ეკონომიურად გვაძლევენ. ნახევარ ულუფას დაუყრი, ვირთხა გადაყლაპავს და არ კვდება – მხოლოდ იტანჯება. ისე საცოდავად წრიპინებენ – არც მეტი, არც ნაკლები, ნამდვილი გედის სიმღერაა.

პირველად, როდესაც ლიტერატორების სახლში დავპატიჟე ახალი წლის შეხვედრაზე, იგი ღელავდა, ემზადებოდა, განსაკუთრებული გულისფანცქალით იცვამდა. მას ხომ „ცოცხალ მწერლებთან“ შეხვედრა ელოდა. განიცდიდა, რომ არა აქვს კარგი ფეხსაცმელი და მე მას ვუყიდე ცხოვრებაში პირველი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი – ჩინური, მწვანე ზამშის, ასეთივე ზამშის ვარდებით.

შეკრებილი მწერლები ყველანი ჩვენზე უფროსები იყვნენ. მე ყოველთვის ჩემზე უფროსებთან ვმეგობრობდი. იგი აღფრთოვანებით უყურებდა მათ, როგორც პორტრეტებს, რომლებიც ადამიანებად იქცნენ.

თამადად აირჩიეს კავკასიელი პროზაიკოსი, ყოველთვის დაუცხრომელი, ენერგიით სავსე, რომელიც გაუერებლად მოსუნსულე სპერმატოზოიდს ჰგავდა, გრძელი, მზაკვრული ცხვირით.

მაშინ მან პირველად გაიგო სიტყვა „თამადა“. პირველი, რაც გააკეთა ახლადარჩეულმა თამადამ, შარვლიდან ქამარი მოიხსნა და მარტო მისთვის ცნობილი კავკასიური ადათის მიხედვით, პიჯაკზე შემოირტყა.

სტალინური პრემიის ლაურეატის ასეთი წვრილმანი საქციელის გამო იგი ნაგვის მანქანისაგან გაჭყლეტილ ბროლის თასს დაემსგავსა.

ცნობილი პოეტი ფრონტიდან, ისიც სტალინური პრემიის ლაურეატი, ყოფილი ფეხბურთელი, მოკრივის მიჭყლეტილი ცხვირით, ფეხით ჰაერში ისროდა დასრესილ ქაღალდის ხელსახოცს, სწორედ ასე თამაშობდნენ მაშინ ეზოს ვიგინდარები ინტერესისთვის ანდა ფულზე ტყვიის ფირფიტიანი ბეწვის მრგვალი ნაჭერით. ამ თამაშს „პუშოკი“ ანდა „ზოსკა“ ერქვა.

სხვა პოეტი, დახვეწილი, ნაზი, ლირიკული, ახლახან დაბრუნებული ბანაკებიდან, სადაც სამჯერ სულ 14 წელი გაატარა, სწრაფად დათვრა და გაძღა, ალბათ ბანაკებიდან გამოყოლილი იმ შიშის გამო, რომ არაყი და საჭმელი ჩქარა დამთავრდებოდა. იგი ტუჩებს ილოკდა ჭიანჭველაჭამიას გრძელი, მეწამულისფერი ენით და აქტიურად, მაგრამ არაბოროტად ამბობდა პედაგოგიკის და ცენზურის მიერ ტაბუდადებულ უწმაწურ რუსულ სიტყვებს.

ერთ-ერთი „ცოცხალი პოეტთაგანი“ ცალთვალა იყო, მეორე კუზიანი, მესამეს კი შარვლის ბარტყი გახსნილი ჰქონდა.

ერთი სიტყვით, „ცოცხალი მწერლები“, გაოცებულთვალებიანი თვრამეტი წლის ვოგონასავით, მონასტრებს ჰგავდნენ. მთრთოლვარე მოლოდინის გაქარწყლებით შეურაცხყოფილი, იგი ნელა ადგა, მუდარით სავსე თვალებით გამომიხმო ოთახიდან, სადაც ჩვენ ვქეიფობდით და მომთხოვა სასწრაფოდ გავცლოდით იქაურობას.

მე გავუბრაზდი, ჩავუთვალე ეს საქციელი ქედმაღლურ ახირებად, დავსაჯე და არ გავაცილე.

იგი მარტო მიაბიჯებდა ქარბუქიან, ახალი წლის მომლოდინე მოსკოვში. მისი ჩინური მწვანე ზამშის ფეხსაცმელები თოვლში იფლობოდა.

ჩვენ ხშირად ვჩხუბობდით, მაგრამ ჩქარა ვრიგდებოდით. ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი.

ხელიხელჩაკიდებული საათობით დავხეტიალობდით მოსკოვში, მე წინ გავრბოდი და ვიხედებოდი მის ბახჩისარაისებურ თვალებში. ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ გვერდიდან მისი მხოლოდ ერთი ლოყა და ერთი თვალი ჩანდა, მე კი არ მინდოდა ჩემი სიყვარულის ყველაზე ლამაზი სახის არც ერთი ნაწილის დაკარგვა. გამვლელები თვალს გვაყოლებდნენ, რადგანაც ჩვენ ვგავდით იმას, რადაც მათ უნდოდათ ყოფილიყვნენ და ვერ შესძლეს.

მინდოდა მისთვის მეჩუქებინა რაღაც ყველაზე ლამაზი, რაღაც ყველაზე დიდი. ყველაზე ლამაზი და ყველაზე დიდი კი, ჩემთვის ზღვა იყო.

პირველად ზღვა ორმოცდათორმეტში ვნახე უიმისოდ, როდესაც ჩემი სკოლის ამხანაგთან ერთად აღტაცებული გადმოვხტი „მოსკოვი-სოხუმის“ გავარვარებული მატარებლიდან ტუაფსესთან. ჩვენ გავიძრეთ ტანზე მიწებებული პერანგები, შარვლები და ჩემი თაობისათვის გამორჩეული შავი, მუხლებამდე სატინის ქვედა საცვლებით, ჩავხტით აქაფებულ ცივ ზურმუხტში. იგი წააგავდა უზარმაზარ ფიალას, რომელსაც ნაპირი არ უჩანს.

სოხუმის ბაქანზე შემოგვეხვივნენ მყვირალა დიასახლისები, რომლებსაც პრიმუსისა და შემწვარი კეფალის სუნი ასდიოდათ. ჩვენ მივუახლოვდით განმარტოებით მდგარ, მოწყენილ, შაოსან ქალს. იგი არ ყვიროდა. მას ჰქონდა ულამაზო და ამასთანავე ლამაზკეხიანი ცხვირი, გამტყდარი, მაგრამ ამაყი, დანახშირებული თვალები. მრავალშვილიანი ბერძენი ქვრივი აღმოჩნდა. მისი ქმარი, სხვა ბერძნებთან ერთად, უმიზეზოდ ყაზახეთში გადაუსახლებიათ. ამის შესახებ მან მაშინვე მწარედ და პატიოსნად გვაცნობა, რათა უსიამოვნება არ შეგვმოხვეოდა. მაგრამ ჩვენ ავირჩიეთ სწორედ ის ჭერი, სადაც უბედურება სუფევდა: ომმა გვასწავლა, რომ უბედურება და სირცხვილი სხვადასხვა რამეა.

ისე გემრიელად, როგორც იმ ბერძნულ ჭერქვეშ დაგვაპურეს, არასდროს არავის დავუ-

პურებივართ. შეიძლება იმიტომ, რომ დიასახლისი გვაჭმევდა ყველაფერ იმას, რითაც ასე ბედნიერი იქნებოდა მისი ქმარი, იძულებითი „ოდისეის“ შემდეგ, აზიის მტვრით დაფარული ჩექმებით მოულოდნელად ზღურბლზე რომ გამოჩენილიყო.

საღამოობით ქალი ხშირად დადიოდა ნაპირზე, ჯდებოდა ქვებზე ნავსაბელის ახლოს, შავი მაქმანის მოსასხამით, რომელიც ფერფლიდან მოქსოვილ თრთვილს ჰგავდა, იგი ზღვიდან ელოდებოდა ქმარს, თუმცა აზიის ქვიშები, რაც იგი შთანთქა, სულ სხვა მხარეს, მის ზურგს უკან იყო. მაგრამ, ალბათ, პენელოპას დროიდან მოყოლებული, ყველა ბერძენი ქალის გენებში ჩადებულია ხსოვნა იმის შესახებ, სიყვარულთან განშორება და დაბრუნება ზღვასთან რომ არის დაკავშირებული.

რამდენიმე წლის შემდეგ ჩემმა მეგობარმა მე და ჩემს სიყვარულს მოგვცა თავისი ცარიელი ბინის გასაღები სოხუმში. ჩვენ დავყარეთ ჩემოდნები ისე, რომ ბინა არც კი დაგვითვალიერებია და როგორც ბავშვები, ხელიხელჩაკიდებული, გავიქეცით ნაპირზე, თავფეხიანად ჩავხტით აქაფებულ, მწვანე საოცრებაში, რომელსაც რატომღა შავი ზღვა ჰქვია.

ოდესღაც ეს ზღვა არწევდა არგონავტების ოქროსსაწმისიან ტრირემებს, აგრეთვე გენურ გალერებს.

ბედნიერი დელფინებივით ვფრუტუნებდით, ვყლაპავდით ზღვის წყალს, როგორც ყელზე მომდგარ ისტორიას. ჩვენი მლაშე ტუჩები ერთმანეთს პოულობდა წყლის ქვეშაც კი, სადაც თევზების ცელქი გუნდი ფეხებზე გვიღუტუნებდა.

ნაპირზე გამოსვლისას დავინახე ქვაზე მჯდარი ბერძენი ქალი, მაქმანიანი შავი მოსასხამით. იგი ისევ ელოდა, რომ ზღვა ქმარს დაუბრუნებდა. მივუახლოვდით. მან მიცნო, სახლში შემიპატიჟა და ჩემს სიყვარულს აჯაფსანდალის გაკეთება ასწავლა. ქალი ჩვენთან ერთად არ ჭამდა. მას მოსწონდა ყურება, როგორ ვიქნევდით ორივე ყბას. იგი თან ტიროდა და თან იცინოდა, რადგანაც მე ვიყავი ერთადერთი მამაკაცი სახლში. მისი ბერძენი კაცები ჯერ ისევ პატარები იყვნენ.

გამოთხოვებისას ქალმა მართლმადიდებლური რელიგიის წესით, პირჯვარი გადაგვწერა, თითქოს მისმა უბედურებამ დაგვლოცა, რომ ბედნიერები ვყოფილიყავით.

ჩვენ დავბრუნდით ჯერ კიდევ უცნობ ბინაში, სწრაფად გადავწმინდეთ ავეჯზე მტვერი, სწრაფადვე დავწექით, როგორც ყველა შეყვარებული, ვისთვისაც მარტო დარჩენაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, მაგრამ ჩვენ რაღაც გველოდა.

პირველმა მე გავიღვიძე, თუმცა გარეთ ისევ მაგნოლიის სურნელოვანი ღამე იდგა. რაღაც დამცოცავდა. შეშინებულმა სინათლე ავანთე და ოი, საშინელებავ, დავინახე უამრავი შიშველისაგან გამწლეული, გამჭვირვალე ბაღლინჯო. შავი ჭირით იყო მოფენილი ყავისფრად კედლები, ლოგინი და ჩვენ, სასოწარკვეთილმა გავაღვიძე ჩემი სიყვარული, რომელსაც ტკბილად ეძინა.

მაგრამ ჩემმა სიყვარულმა, შეუპოვრობასთან ერთად იტალიური ტემპერამენტი გამოიჩინა. შუაღამისას ურცხვად გააღვიძა მეზობელი, აფხაზი მხარეთმცოდნე, არგონავტების მოგზაურობის სპეციალისტი, იშოვნა ნავთი და ჩვრით შეიარაღებულმა დაიწყო ომი საცოდავ, შშიერ სისხლისმწოველებთან.

სოხუმში დავდიოდით, როგორც მაშინ იყო მიღებული, ზოლებიან „პიჟამოებში“, პლასტმასის საცხვირეებით, თეთრი ნაბდის ქუდებით, რომელსაც ცხვრის ყველის სუნი ასდიოდა, ბაზარში გემოს ვუსინჯავდით მარწყვის სურნელების იზაბელას, მზის ჩასვლის ფერს რომ ჰგავს.

შემდეგ კი ჩვენ ვბრუნდებოდით უბაღლინჯო სახლში. გვიყვარდა, ვეფერებოდით ერთმანეთს, როგორც ტალღა ტალღას, ერთმანეთზე მიკრული ტალღებით, რომელსაც ზღვის მოქცევის სუნი ჰქონდა. ხოლო შემდეგ, სიყვარულისგან გაზარმაცებულები, სარეცხის გრძელ თოკზე ვაბამდით ბადეს, ცარიელი ბოთლებით, ერთ-ერთ მათგანში გაკვეხებული ხუთმანეთიანით და მესამე სართულიდან ვუშვებდით დაბლა, საიდანაც ერთი წუთის შემდეგ, ქუჩის ჯიხურის გამყიდველი გოგო ბანჯგვლიანი ხელებით გვიბრუნებდა ბადეს, ჩაციებული ბორჯომით და ღღეს უკვე გამქრალი ხავერდოვანი წითელი ღვინით.

მაგრამ როდესაც მას შეეძლო ბავშვი ჰყოლოდა ჩემგან, არ მოვინდომე, რადგანაც მე თვითონ ბავშვი ვიყავი და მაშინ, ჯერ კიდევ, არ ვიცოდი, რომ თუ მამაკაცი აიძულებს საყვარელ ქალს მუცელში მოკლას მათი საერთო შვილი, იგი კლავს მისდამი სიყვარულსაც.

მეშინოდა, რომ ცოცხალი, ღნავალა, ჩაფსმული ბავშვი წამართმევდა ეგრეთწოდებულ თავისუფლებას, რასაც მაშინ სულელურად ვუფრთხილდებოდი, ჩემმა დაჟინებულმა მოთხოვნამ, მოეცილებინა ჰირმშო, წამართვა დიდი რამ – მისი სიყვარული.

სიყვარულის დაკარგვით ღმერთმა დამსაჯა იმისათვის, რომ ჩემს სულში დაისადგურა სხეულისადმი მონურმა დამოკიდებულებამ, რასაც, რატომღაც, თავისუფლებას ვეძახით. ეს ჩვენ ცნობისმოყვარე არარაობად გვაქცევს, სექსის ტურისტებად. სიყვარული არ პატიობს ცნობისმოყვარეობას, თუ მას სიყვარულზე მაღლა დავაყენებთ.

როდესაც პირველად სახლში გვიან ღამით მოვედი, ჩემს სიყვარულს არ ეძინა. იგი მელოდა, იჯდა სავარძელში და კითხულობდა თავის საყვარელ მარსელ პრუსტს. ისე ლამაზად იყო ჩაცმული, თითქოს სტუმრად წასვლას ვაპირებდით.

ჩვენს პაწაწკინტელა ოთახში, მაგიდაზე იდო ორი თეფში, ზედ კიდევ ორი თეფშით – ჩვენი ვახშამი. მან გახარებულმა დახურა წიგნი, შემომეგება და არაფერი არ მითხრა. მხოლოდ ალერსიანად გამეგლასუნა მხარზე, მიყურებდა საყვედურთან, მაგრამ ჯერ ისევ მოსიყვარულე და მიმტევებელი თვალებით.

მაგიდაზე მხოლოდ ერთი თეფში იდო.

როდესაც მეორედ მოვედი გვიან, მას უკვე ეძინა და საბანი ეხურა. „ბიგუტებზე“ დახვეული თმა შემოხვეული პირსახოცის ქვეშ აფაფრულიყო. მაგიდაზე მხოლოდ ერთი თეფში იდო.

როდესაც მესამედ მოვედი გვიან, მას უკვე ეძინა და თეფშიც აღარ იდო მაგიდაზე.

როდესაც მეოთხედ დავბრუნდი გვიან, ჩვენი სხვადასხვა ტაქსები ერთდროულად გაჩერდა სადარბაზოსთან. იგი ანგარიშს ასწორებდა მძღოლთან და მთხოვა კიდეც ათმანეთიანი დამეხურდავებინა.

და ბოლოს, მეხუთედ, სახლში არ დამხვდა. დაბრუნდა მხოლოდ გათენებისას, ასდიოდა ღვინის და სხვისი სიგარეტის სუნი, რადგანაც მაშინ იგი ჯერ კიდევ არ ეწეოდა.

შემდეგ კი, ჩანდა, ცდილობდა ყველაფრის გადარჩენას, მალავდა თვალებს, მთხოვა ჩემთან ერთად ციმბირში წასვლა, მაგრამ მე ვერ მივხვდი, რადგანაც შორს იყო ყველაფერი ეჭასული. გადავწყვიტე, რომ იგი ზედმეტი ტვირთი იქნებოდა და სიყვარულს ისევ თავისუფლება ვარჩიე. ვფიქრობდი, რომ სიყვარული მოიცდის, არსად გაიქცევა. სიყვარული კი წავიდა და სად, ის კი არ ვიცი.

თუ ქალს აღარ უყვარს, მას ახალი ჩვენები უჩნდება. ეს პირველი ნიშანია იმისა, მას ვიღაც ჰყავს.

ის წინათ არასოდეს არ ეწეოდა, არც მაგარ სასმელებს და ყავას სვამდა. ერთადერთი რაც უყვარდა, იყო ლუდი და ნამცხვრები. მე არაკეთილშობილურად ვებრძოდი ამ უწყინარ ცოდვებს, მოვითხოვდი წონაში დაეკლო. ნამცხვრებიან პაკეტებს იგი თავის „სამალავებში“ – სამზარეულოს კარადის უკან ანდა წიგნების თაროზე, მარსელ პრუსტის ტომის უკან ინახავდა. ამ წიგნის კითხვისას მუდამ ვგრძნობდი ინტელექტუალური არასრულფასოვნების კომპლექსს, რადგანაც ყოველთვის, გამოუსწორებლად ძილი მერეოდა.

მაგრამ როდესაც რამდენიმე თვის შემდეგ ციმბირიდან დავბრუნდი, შემხვდა სულ სხვა, ჩემთვის უცნობი ქალი. იგი კი არ გახდა – გამოშრა, თითქოს შიგნიდან დაიწვა. სკოლისდროინდელი ქერა თმა შეცვალა სპილენძისფერმა, მავთულებისმაგვარმა მოკლე ვარცხნილობამ.

მაგიდაზე იდგა კონიაკი, ყავა, რასაც წინათ არც მე და არც ის არ ვსვამდით. ვერცხლისფერმანიკურიან პაწაწა თითებში გრძელი სიგარეტი ბოლავდა. მას გაუჩნდა სრულიად ახალი მანერა – მოსაუბრეს არ უყურებდა, იხედებოდა გვერდზე, ლაპარაკობდა და არ ელოდა პასუხს.

ჩვენ არ გვიჩხუბია. ჩვენი სიყვარული არ მომკვდარა – მან არსებობა შეწყვიტა. ჩვენ დავშორდით. მე გადავედი ედისეევის მაღაზიის თავზე პატარა ოთახში – იმდენად პაწაწკინტელაში, რომ შემოსული ქალები გვერდს ვერ უვლიდნენ ტახტს. რამდენიმე თვის შემდეგ თვითონ კინაღამ დავებერტყე ამ ტახტზე „კარუსელისაგან“, რომელიც ჩემს თავს მოვუწყე. ამჯერად მე ვცადე გადამერჩინა ჩვენი სიყვარული. გაუფრთხილებლად წავედი მასთან ღამე. ზარს დავაჭირე შამპანურის ვერცხლისფერი საცობით. მეორე ხელში მწვანე კუდით მეჭირა ხრუშჩოვის დროინდელი „ოტტეპელის“ სტაფილო – კუბური ანანასი.

– ვინ არის? – კარის იქით გაისმა მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ხმა.

– მე ვარ, – ძლივს წარმოსთქვეს ჩემმა ტუჩებმა.

პასუხად იყო სიჩუმე. ბოლოს გაისმა დაუჯერებლად არაგულწრფელი ხმა:

– შენ მთვრალი ხარ, არ გაგიღებ.

ყველაფერი დამთავრდა. დავაგვიანე.

შემდეგ დიდხანს ვწვალობდი, ვფიქრობდი, რომ ჩემი ახალგაზრდული, სულელური სიმკაცრის გამო მას შვილი აღარ ეყოლებოდა – ასე გვითხრეს ექიმებმა. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მას ქალიშვილი შეეძინა. ღმერთს მადლობა შევწირე. მან შემიბრალა და გამათავისუფლა ამ წყევლისაგან.

მაგრამ აქამდე, როცა ვხედავ მას ახლოს ან შორიდან, ანდა უბრალოდ, მესმის მისი ხმა, ტირილი მინდება.

მთარგმნელი

გურანდა დავითაშვილი-ჩიგოგიძე

ყვავილების ბაღი

მიხეილ მამულაშვილი

ჰოლანდიის დედოფალი ვილჰელმინა და მიხეილ მამულაშვილი

ალბათ მკითხველი მიხვდა, მიხეილ მამულაშვილი საქართველოში კარგად ცნობილი მებაღე-დეკორატორი მცხეთელი მინდია იყო, მაგრამ დარწმუნებული ვართ ჩვენში ძალიან ცოტამ თუ იცის ჰოლანდიის ამ პირველი მონარქი-ქალის სასახელო ცხოვრების გზა.

მიხეილმა და ვილჰელმინამ ერთმანეთი 1913 წელს გაიცნეს, ევროპაში, როცა ეს უმშვენიერესი დედოფალი 33 წლის იყო, ხოლო მიხეილი – 40 წლის. მათი ნაცნობობა საინტერესო ამბით დასრულდა – საქართველოში პირველად გამოჩნდნენ ჰოლანდიური ყვავილები, რომლებიც ასე ნაცნობია დღეს ყოველი ჩვენთაგანისთვის.

თვით ვილჰელმინას ცხოვრების გაცნობა გარკვეულ წილად საგულისხმოა, რადგან იგი 50 წლის მანძილზე გონივრულად მართავდა ჰოლანდიას და ამ პერიოდში ქვეყანამ დიდი ეკონომიკური აღმავლობა განიცადა. ისიც უნდა ითქვას წინასწარ, ვილჰელმინა ბებია გახლდათ ნიდერლანდების სამეფოს დღევანდელი დედოფლის ბეატრიქსის და მისი სახელი ღირსეულად შემორჩა დღევანდელი „ევროპის ყვავილს“ – ნიდერლანდებს.

***

ქართველ საზოგადოებას ჰოლანდიის დედოფალი ვილჰელმინა პირველად ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალმა ყოველდღიურმა „ივერიამ“ გაიცნო. „ივერიაში“ არაერთხელ დაიბეჭდა წერილები თუ ინფორმაციები დედოფლის შესახებ.

ილიასეული გაზეთი წერდა.

„ჰოლანდიელები დიდადა სწუხდნენ, რადგანაც ჰხედავდნენ, რომ მეფე ვილჰელმ მესამეს შვილი არა ჰყავდა და მეფის გვარეულობა უნდა მოსპობილიყო. ვილჰელმ მესამის ერთი შვილი პარიზში გარდაიცვალა, მეორე – შვეიცარიაში. მეორე შვილის სიკვდილის დღეს მეფე 62 წლისა იყო და ფიქრადაც არავის მოუვიდოდა, რომ კიდევ შვილი ეყოლებოდა, მაგრამ შეუძლებელი შესაძლებლად შეიქმნა. მეფემ მეორედ დაიწერა ჯვარი და შეირთო ცოლად ვალდეკის პრინცესა ემმა. რამდენიმე თვის შემდეგ გამოცხადდა: დედოფალი ფეხმძიმედ არისო. ჰოლანდიის ქვეშევრდომთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დედოფალს ვაჟიშვილი ეყოლებოდა, მაგრამ იმედმა უმტყუნათ. 1880 წელს, 19 აგვისტოს დედოფალს შეეძინა ქალიშვილი პრინცესა ვილჰელმინა, ეხლანდელი დედოფალი ჰოლანდიისა.

მეფე ვილჰელმი გარდაიცვალა 1890 წელს. ჰოლანდიელებმა დედოფლად დაიყენეს პრინცესა ვილჰელმინა, ხოლო დედოფალი ემმა დროებით განაგებდა სახელმწიფო საქმეებს. ჰოლანდიელები სიხარულით აღარ იყვნენ. ახალგაზრდა დედოფალი მიაჩნდათ „ერის შვილად“ და ასე ეძახდნენ კიდეც. ხალხში ათასობით ვრცელდებოდა ამბავი ახალგაზრდა დედოფლის შესახებ. აქებდნენ იმის გონებას, ხასიათს და კეთილს გულს.

როგორც გაზეთი აღნიშნავდა, ვილჰელმინა ეუფლებოდა ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულს და იტალიურ ენებს. მას ასწავლიდნენ ადმინისტრაციულ საქმეს, კონსტიტუციების ისტორიას და პოლიტიკურ ეკონომიკას. გაზეთს რამდენიმე საინტერესო შემთხვევა მოჰყავდა ვილჰელმინას ბავშვობიდან და დასძენდა:

„დედოფალი ვილჰელმინა მეტად ლამაზი ქალია, ჰოლანდიელებს ძლიერ უყვართ და დიდს პატივსა სცემენ. არ არის მთელს ჰოლანდიაში ისეთი სახლი, სადაც რომ არ იყოს დედოფალ ვილჰელმინას სურათი, მარტო კედლებზე კი არა, არამედ ჭურჭელზე, ხელსახოცებზე, თამბაქოს ყუთებზე, საათებზე, სხვადასხვა სამკაულებზე“...

ვილჰელმინას დედა – ემმა სახელმწიფო საქმეებს უშუალოდ 1898 წლამდე განაგებდა და როცა ვილჰელმინას 18 წელი შეუსრულდა, ტახტზე ავიდა და მან – ახალგაზრდა დედოფალმა დაიწყო ქვეყნის პირდაპირი მართვა.

***

1883 წლის ოთხ სექტემბერს, მცხეთიდან 20 კილომეტრზე სოფელ წინამძღვრიანთკარში პედაგოგმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ ილია წინამძღვრიშვილმა (1834-1920) საკუთარ მამულში, სკოლას ფუძე დაულოცა. ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც თავისი გამოსვლა ამ სიტყვებით დაამთავრა: „მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარჯოს ილია წინამძღვრიშვილს, ამ აკვნის დამდგმელსა!..

აი, სწორედ ამ სკოლის დირექტორს მიუყვანეს ერთხელ პატარა მიხეილ მამულაშვილი და უამბეს, რომ მან შვიდი წლის ასაკში 1880 წელს, ბაღჩა გააშენა მცხეთაში, არაგვის სანაპიროდან ამოჰქონდა წყლისგან გამორიყული ნერგები, რგავდა და სიყვარულით უვლიდა. თურმე, მშობლებს მაშინ არ მოეწონათ ბიჭის გატაცება. ბაღჩა რა მისი საქმეა, მოდი პიატიგორსკის გიმნაზიაში მივაბაროთ. ასეც მოიქცნენ.

ახლა ილია წინამძღვრიშვილს ისიც გულახდილად მოახსენეს, რომ მიხეილმა გიმნაზიაში სწავლას გული ვერ დაუდო და ისევ მცხეთაში ბაღჩის მოვლის დაუოკებელი სურვილი გაუჩნდა.

ილია ბიჭს მოეფერა.

ილია წინამძღვრიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მიხეილ მამულაშვილის ბუნებისადმი გასაოცარ გატაცებას და სურვილს საკუთარი გემოვნებით მოეკლო მცენარეებისთვის ეს სხვანაირი ყმაწვილიაო, ამბობდა ილია და ბოლოს გადაწყვიტა, თბილისში გადაეყვანა მიხეილი საბაღოსნო სასწავლებელში, ასეც გააკეთა.

17 წლის ასაკში მიხეილი ამთავრებს საბაღოსნო სასწავლებელს.

1890-1898 წლებში იგი მიიწვიეს კავკასიის მეფისნაცვლის ბაღში (დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე), რაც მისი დიდი აღიარება იყო.

მცხეთელი მინდიას სახელი საქართველოში სულ უფრო ცნობილი ხდებოდა.

და აბა, ეს როგორ გამორჩებოდა ილია ჭავჭავაძეს.

მან მცხეთაში მოინახულა მიხეილ მამულაშვილის ბაღი. თავის მოგონებებში მიხეილი წერდა: „დიდი ილია გაზაფხულის ერთ ლამაზ დილას მეწვია ბაღში. მუ-

დედოფალი ვილჰელმინა

შაობაში გართულმა მისი მოსვლა ვერ შევნიშნე. ვარდის ბუჩქთან დახრილს მხრებზე ხელის შეხებით მომესალმა. სწრაფად წამოვდექი.

– ნუ, ნურაფერს იტყვი. განგებ არ დაგირღვიე ყვავილებთან საუბარი. მეც ცოტახანს დამატკბე მათი ცქერით.

***

1901 წელი. გაზეთი „ივერია“.

„არ ეშვება“ ილიასეული გაზეთი ჰოლანდიის დედოფალ ვილჰელმინას.

„იმ დროს, როდესაც ინგლისში დედოფალი ვიქტორია გარდაიცვალა და ახალი მეფე ავიდა ტახტზე, ჰოლანდიაში მთელი ერი დედოფლის ვილჰელმინას და პრინც ჰენრიხის ქორწინებას დღესასწაულობდა, – ჰოლანდიელებს ძალიან უყვარდათ თავიანთი ახალგაზრდა და ლამაზი დედოფალი და დიდიხანია მოუთმენლად ელოდნენ ამ დღესასწაულს. ჯერ ისევ პატარაობიდანვე ვილჰელმინა ჰოლანდიაში ყველას პირზედ ეკერა. მიყრუებულ და მივარდნილ სოფელშიაც კი ბევრს რასმეს გაიგონებდით ვილჰელმინას შესახებ.

თავიანთი დედოფალი ჰოლანდიელებს უფრო იმიტომ უყვართ, რომ იგი ნამდვილი ტიპია ჰოლანდიელ დედაკაცისა სახით, ხასიათით, ზნეჩვეულებებით“.

1899 წელს ჰააგაში ჩატარებული კონფერენციამ თავისებური გაგრძელება ჰპოვა 1907 წელს და ასევე ჰააგაში ჩატარდა კიდევ ერთი საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც ისევ დიდი ყურადღება მიიქცია თბილისში. თბილისში სისტემატურად ქვეყნდებოდა ინფორმაციები აქ მიმდინარე კონფერენციის მსვლელობაზე და ამდენად საზოგადოების ყურადღებას ისევ ნიდერლანდებისაკენ იყო მიმართული.

თბილისის პრესაში გამოქვეყნებული შემდგომი მასალები შეეხებოდა კონფერენციის კომისიებში სხვადასხვა საკითხების განხილვის მიმდინარეობას, ცალკეული დეპუტატების გამოსვლებს, მსოფლიო პრესის გამოხმაურებას ჰააგაში მიმდინარე მუშაობისადმი, რომელიც რამდენიმე თვე გაგრძელდა.

ნიდერლანდებში 1899 და 1907 წლებში ჩატარებული სამშვიდობო კონფერენციებს დღეს საერთაშორისო სამართალში ჰააგის კონფერენციები ეწოდება და ისინი მიჩნეული არიან საერთაშორისო ურთიერთობის მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენად.

ამ კონფერენციებთან განუხრელად იყო დაკავშირებული ახალგაზრდა ვილჰელმინას სახელი.

1907 წელს, როცა დედოფალ ვილჰელმინას ყურადღება მიმართული იყო სამშვიდობო კონფერენციისადმი, თბილისში ილია წინამძღვრიშვილმა გახსნა შესანიშნავი ყვავილების სალონი „სოლეი დორი“ და მაშინვე აქ მიიწვია თავისი საყვარელი მოწაფე, 34 წლის მიხეილ მამულაშვილი.

სწორედ ამ სალონში ერთხელ შევიდნენ ჰოლანდიური ფირმა „ვანზანტენის“ წარმომადგენლები და გაოცებული დარჩნენ გამოფენილი ყვავილებით. კიდევ ოთხჯერ ჩამოსულან ისინი თბილისში და ოთხჯერვე უსაუბრიათ მიხეილთან. დარწმუნდნენ, რომ იგი არა მარტო ყვავილების დიდოსტატი იყო, არამედ მოქალაქეებისგან მიტანილ ყვავილებისგანაც შესანიშნავ თაიგულებს ჰქმნიდა შეკვეთებით.

ჰოლანდიიდან მიხეილმა მოულოდნელად დეპეშა მიიღო – ჩვენი ხარჯით გვესტუმრეთ ჰოლანდიაში და სიამოვნება მოგვანიჭეთ თქვენთან შეხვედრითო. ჯერ იუარა დაპატიჟება, მაგრამ როცა მეორედ მიიღო დეპეშა, გადაწყვიტა წასვლა.

1913 წელს თავის უფროს ვაჟიშვილთან ერთად მიხეილ მამულაშვილი ჰოლანდიაში გაემგზავრა.

ჰოლანდიის სოფელ ჰილგემში, სადაც ხუთ ძმა ვანზანტელებს მშვენიერი საყვავილეები ჰქონდა, დიდი სიხარულით და პატივისცემით მიიღეს საქართველოდან ჩასული სტუმრები, როგორც თვით მიხეილი შემდგომ იხსენებდა, ძმებმა მას შესთავაზეს ჩასულიყვნენ ჰააგაში, დაეთვალიერებინათ ქალაქი.

„წამიყვანეს ჰააგაში და ქალაქგარეთ დედოფლის სასახლის ბაღში შემიყვანეს. დიდ, გაშლილ მწვანე მინდორზე თვალმომჭრელად ჰყვაოდნენ ჰოლანდიური „ტიულპანები“ ხალიჩასავით გაფენილ მწვანეზე“ – წერს მიხეილი თავის მოგონებებში.

და როცა მიხეილი ბაღში აღფრთოვანებით შესცქეროდა ამ უჩვეულო ხალიჩას, სასახლის ფანჯრიდან ჰოლანდიის დედოფალ ვილჰელმინას გამოუხედავს.

გაჰკვირვებია მოსულთა შორის წინ მდგომი კაცი, რომელიც თვალს არ აშორებდა ტიტებს. იდგა და ტკბებოდა ყვავილებით. მის უკან მდგომი ჰოლანდიელები ხელს არ უშლიდნენ მის საუბარს ტიტებთან. ეტყობა, უცხოელი იყო.

საინტერესოა, მოდი, ჩავალ და გამოველაპარაკები, როგორ მოსწონს ჩემი ბაღი, – გაიფიქრა ვილჰელმინამ და ასეც მოიქცა.

დედოფალი ნელი ნაბიჯით მიემართებოდა სასახლის ბაღში მისული სტუმრებისაკენ.

– უთხარი მამას, რომ ჩვენსკენ მოდის დედოფალი ვილჰელმინა, – სთხოვა მიხეილის ვაჟს ერთმა ვანზანტელმა გერმანულად.

ეს რომ შეიტყო, მიხეილი შეცბა, ხომ არ უსაყვედურებდა დედოფალი ბაღში მოსულებს.

ლამაზი ქალბატონი კი პირდაპირ მათკენ მოდიოდი მომღიმარი სახით,

მოსულთ მიესალმა და ძმებ ვანზანტელებს უთხრა:

– ვფიქრობ, რომ თქვენთან ერთად მოსული, ასე დაინტერესებით რომ ათვალიერებს ყვავილებს, უცხოელია. საიდან არის ჩამოსული?

– შორეული საქართველოდან, კავკასიიდან. იქ ქალაქი ტფილისია მთავარი ქალაქი. იქ გავიცანით, შესანიშნავი ყვავილების სალონი აქვს და ჩვენ მოვიპატიჟეთ. ქართველებს შორის ყველაზე ცნობილი დეკორატორი-მეყვავილე გახლავთ.

დედოფალი დაფიქრდა, რაღაცას იხსენებდა.

– აბა, მაშინ უთხარით სტუმარს, რომ როცა 1697 წელს რუსეთის მეფე პეტრე პირველი ჩამოვიდა ჰოლანდიაში თავისი „დიდი საელჩოთი“, მას თან ჰყოლია ერთი ქართველი, რომელიც სულ პეტრეს გვერდით იმყოფებოდა. მოითმინეთ, მოითმინეთ... მგონი გვარიც მახსენდება... დიახ, ბაგრატიონი, ალექსანდრე ბაგრატიონი, რასაკვირველია.

გაიხარა მიხეილმა და ვაჟიშვილის დახმარებით დედოფალს გადასცა, რომ ბაგრატიონთა გვარი საქართველოში კარგად ცნობილია, ხოლო ალექსანდრე ბაგრატიონი ქართველი მეფის უფლისწული იყო.

რაკი შეიტყო, რომ მიხეილის ვაჟიშვილმა გერმანული იცოდა, ვილჰელმინამ მას გერმანულად რამდენიმე შეკითხვა მისცა. დაინტერესდა, სად ჰქონდა მამას ყვავილების ბაღი და რა ყვავილები გამოჰყავდა.

– როდის აპირებთ საქართველოში დაბრუნებას?

– ბელგიაში, შვეიცარიაში და საფრანგეთში ჩავალთ. ტფილისში სექტემბრისათვის ვიქნებით.

ვილჰელმინამ ჰოლანდიელებს მიმართა:

– თქვენ გეცოდინებათ სტუმრის მისამართი ტფილისში, სადაც ყვავილების სალონი „სოლეი დორი“ ჰქონია. შეგიძლიათ ახლა დამიტოვოთ ეს მისამართი;

დაფაცურდნენ ძმები, ერთმა ქაღალდი ამოიღო, მეორეს ფანქარი ჰქონია. დაწერეს მიხეილის მისამართი და ვილჰელმინას მოწინებით გადასცეს.

გაშტერებული იდგა მიხეილი, ვერ გაეგო, რატომ დასჭირდა ეს ჰოლანდიის დედოფალს. ვერც დანარჩენები დარჩნენ გულგრილად. რა არ გაიფიქრეს. რასაკვირველია, ისიც, რომ იქნებ ვილჰელმინამ მიხეილთან მიწერ-მოწერა მოინდომაო... იქნებ თვითონ უნდა დაჰპატიჟოს შემდგომ ჰოლანდიაში...

დედოფალი გულთბილად დაემშვიდობა მოსულთ და ისევ დინჯი ნაბიჯით სასახლისაკენ გაემართა.

თვალი ვერ მოაშორეს, სანამ შენობაში არ შევიდა.

***

თბილისში ევროპიდან დაბრუნებული მიხეილ მამულაშვილი თავისი მოღვაწეობას აგრძელებდა ყვავილების სალონში „სოლეი დორში“ და არაერთხელ იხსენებდა ევროპაში მოგზაურობას, იმასაც, რომ უცხოეთში შესთავაზეს სამუშაოდ დარჩენა, მაგრამ უარი უთხრა – საკუთარი სამშობლო უნდა გავალამაზოო. მიხეილს, რასაკვირველია, არ ავიწყდებოდა ჰოლანდიაში ყოფნის დღეები და დედოფალ ვილჰელმინასთან საუბარი.

ერთხელ სალონში მყოფს ვიღაცამ ქუჩიდან დაუძახა:

– მინდია! კაცო, გარეთ გამოდი!

– ვინ უნდა იყოს, ველარ შემოვიდა, რა ქუჩიდან მიყვირის, – თავისთვის ჩაილაპარაკა და ყვავილებისგან გვირგვინის კეთებას თავი დაანება.

ქუჩაში გაიხედა.

სალონთან ცხენიანი საფოსტო საზიდარი იდგა.

როგორც კი მიხეილი დაინახა, საზიდარზე მჯდომმა ფოსტის მოხელემ შესძახა:

– მინდია, მოდი წაიღე შენი ყუთები.

– რა ყუთები, მიტუშ?

– მე რა ვიცი, ევროპიდან ვიღაცას გამოუგზავნია, ხელი მომიწერე, საბუთი რომ მიიღე და ყუთები მშვიდობაში მოიხმარე.

– ვინ, რა ყუთები გამოგზავნა? საფოსტო დოკუმენტში რა წერია?

– ფოჩტის ნაჩალნიკმა სთქვა, მიუტანე მცხეთელ მინდიას ყველაფერი წესრიგში, ჰოლანდიის დედოფალთან თავი არ შეირცხვინოს ფოჩტამო. ეს იყო და ეს. ჰოდა, ჩაიბარე რაღა, თუ ძმა ხარ...

– აუჰ, – აღმოხდა სიხარულით მიხეილს.

მიხეილ მამულაშვილმა თავის მოგონებებში ჩაწერა:

„სწორედ სექტემბრის თვე იყო, გული რომ გამიხარა ჰოლანდიის დედოფალის საჩუქარმა. ცხრა მოზრდილი ყუთი გამოეგზავნა ოცდაცამეტი სხვადასხვა ჯიში ტიულპანის ჰოლანდიური ჰიბრიდები“.

მას შემდეგ ქართველებმა პირველად გაიცნეს ჰოლანდიური ტიტები.

ჰოლანდიის დედოფალი ვილჰელმინა ტახტიდან გადადგა 1948 წლის მაისში. დიახ, იგი 50 წელიწადი გახლდათ დედოფლის ტახტზე. მან ტახტი გადასცა თავის ქალიშვილ იულიანას. ამ უკანასკნელმა 32 წლის განმავლობაში, დედოფლად ყოფნის შემდეგ კი, 1980 წლის 30 აპრილს, გვირგვინი დაუთმო თავის უფროს ქალიშვილს, ნიდერლანდების დღევანდელ დედოფალს ბეატრიკს.

ანდრე კარგელაშვილი



ბუნება წინამძღვრიანთკარში

მან იცის რა, სად და როდის...

ალექსანდრე დრუზი – პროგრამისტი. თუმცა, მას მთელი ქვეყანა იცნობს. სად გინახავთ პროგრამისტი, რომელიც საკუთარი ჰობის გამო გახდა პოპულარული?

გთავაზობთ დიმიტრი პისარენკოს ინტერვიუს ამ ცნობილ პიროვნებასთან.

კორესპონდენტი: – ამბობენ, თამაშის „რა? სად? როდის?" მონაწილენი იმდენად არიან გატაცებულნი თავისი საქმით, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც აგრძელებენ ერთმანეთთან თამაშს – იგონებენ კითხვებს, ლაპარაკობენ გამოცანებით...

ალ. დრუზი: – სულაც არა, ეს ნორმალური ურთიერთობაა. ზოგთან მხოლოდ თამაში მაკავშირებს, ზოგიერთთან ურთიერთობა კი მეგობრობაში გადაიზარდა, თამაში აზარტულია, მაგრამ ეს უფრო სპორტია და არა ნარკოტიკი.

კორ: – ადრე გადაცემაში „რა? სად? როდის?" თამაშდებოდა წიგნები. შემდეგ შეიქმნა კაზინო. ბევრ ტელემაყურებელს ეს აღიზიანებს...

ალ. დრუზი: – ასეთია ჩვენი ქვეყანა. წიგნი ყველას მოსწონს, მაგრამ როცა ადამიანი იღებს ფულს, ეს აღიზიანებთ. გაიგეთ: ჩვენთვის ფული მხოლოდ და მხოლოდ რეკვიზიტია, სიმბოლო. შეიძლება ნიჟარებზეც ვითამაშოთ, მაგრამ ამას უფრო ვერ გაიგებს ხალხი. რატომ იწვევს გაღიზიანებას ციფრებიანი ქაღალდი და არა ასოებიანი? ნამდვილი მოთამაშისათვის განსხვავება არ არსებობს. ამასთან მხოლოდ ჩანს, რომ თამაშში ფიგურირებს დიდი თანხები. ამ გადაცემაში მონაწილეობა მე არ მამდიდრებს. ჩემთვის ეს ჰობია.

კორ: – და მაინც, რატომ არ უყვართ ჩვენს ქვეყანაში მდიდრები? ცნობილი სტერეოტიპები: მხატვარი უნდა იყოს მშიერი, გენიოსი უნდა ცხოვრობდეს გაჭირვებაში...

ალ. დრუზი: – დარწმუნებული არ ვარ, რომ მდიდრები არ უყვართ. უბრალოდ, ჩვენთან არ რცხვენიათ ამის დემონსტრირება. მშიერი მხატვარი უკეთესად დახატავს, რომ გაყიდოს თავისი ნამუშევრები და გამდიდრდეს. რაც შეეხება გენიას... აქ ერთმანეთში იხლართება მიზეზი და შედეგი. თუ განვსაზღვრავთ, გენიას არ შეუძლია იყოს მდიდარი, იმიტომ, რომ მისთვის არ არის მთავარი – ფული. ის სიამოვნებას სხვა რამისგან ღებულობს. ჩემი ღრმა რწმენით, თუ ფულზე იფიქრებ, გენიალურს ვერაფერს შექმნი. მთავარია პროცესი. თუ შექმნი რაიმეს გენიალურს, ფული თავისთავად იქნება. თუმცა, ჩვენთან ყოველთვის ასე არ ხდება.

კორ: – თუ ჩვენი ცხოვრება თამაშია, მაშინ ყველას შეუძლია მოიფიქროს მასში თამაშის წესები. მაგრამ რაღაც საერთო პრინციპები ხომ უნდა იყოს?

ალ. დრუზი: – უპირველესად, როგორიც არ უნდა იყოს თამაში, ნებისმიერ სიტუაციაში უნდა დარჩე ის, რაც ხარ, არ დაკარგო ადამიანური თვისებები. არავის დაუგო მახე, არ გამოასწორო პასუხი მისი თქმის შემდეგ. შენი პასუხი შეიძლება არასწორი იყოს, მაგრამ ეს შენი არჩევანია. რა ვუყოთ, რომ წააგე, სამაგიეროდ შეინარჩუნებ შენს სახეს. და კიდევ: რა საქმესაც ეწევი, ის კარგად უნდა აკეთო, იმისგან დამოუკიდებლად, მოაქვს თუ არა შენთვის შემოსავალი. სამწუხაროდ, ეს ფასეულობა ჩვენს ცხოვრებაში უკვე იკარგება.

კორ: – რა არის თქვენთვის მთავარი – ერუდიცია თუ ინტელექტი?

ალ. დრუზი: – რა თქმა უნდა ინტელექტი. ერუდიცია – ეს ცოდნაა ხოლო გონება, ინტელექტი – იცოდე, გამოიყენო შენი ცოდნა საჭირო მომენტში. კარგია, როცა ადამიანმა ბევრი იცის, მაგრამ რომ ითამაშო „რა? სად? როდის?" საკმარისია იცოდე მინიმუმი – სკოლის პროგრამა. ასეა ცხოვრებაშიც. ფილოსოფოსს თავის ცოდნა უნდა, მათემატიკოსს – თავისი, მაგრამ ინტელექტი ყველას ერთნაირი სჭირდება. ფილოსოფოსმა შეიძლება წაიკითხოს უამრავი წიგნი, მაგრამ უმეცარი დარჩეს. მას მხოლოდ ციტირება შეუძლია და ვერ ახერხებს ერთის მეორესთან დაკავშირებას. საერთოდ, ინტელექტი 18 წლამდე ვითარდება, შემდეგ კი ცოდნა შეიძლება გააღრმავო, რამდენიც გნებავს.

კორ: – რა არის საჭირო ინტელექტის განვითარებისათვის? უხეშად რომ ვთქვათ, როგორ გავხდეთ ჭკვიანნი?

ალ. დრუზი: – ელემენტარული მათემატიკა, ლოგიკური ამოცანები... წაიკითხოს ახალგაზრდობამ, ის რაც მოსწონს, მაგრამ უნდა ესმოდეს, რა აზრი დევს მასში. მაშინ თანდათანობით დაიწყებთ იმ წიგნების კითხვას, სადაც მეტ-ნაკლებად საღი აზრი დევს. უნდა შეგეძლოს წაკითხულის გაანალიზება.

ბოლო 80 წლის განმავლობაში ჩვენ მიზანმიმართულად გვასწავლიდნენ – ვაკეთოთ ის, რასაც გვეუბნება „ძია". ახლა თუკი ვისწავლით საკუთარი თავის მართვას, აღარ გვექნება უამრავი პრობლემები, რომლებიც დღეს გაგვაჩნია. ხალხი მიხვდება, რომ არჩევნებისას 30 მანეთად გაყიდული ხმა, შემდგომ გაცილებით დიდ დანაკარგებს გამოიწვევს.

კიდევ, იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც არჩევნებში იღებენ მონაწილეობას, ვურჩევდი, მოსინჯონ თამაში „რა? სად? როდის?" იცით, ხალხს რატომ უყვარს ეს თამაში? ის ბოლომდე ხსნის, აშუქებს ადამიანს. რომელიც მოხვდა ექსტრემალურ სიტუაციაში და როგორღაც ცდილობს მასთან გამკლავებას. ეს კი მაყურებელში სიმპატიას იწვევს. და პირიქით. სინამდვილეში ეს არის დიდი მრავალწლიანი სერიალი პირობითი სახელწოდებით „ჭკვიანნიც ტირიან". ასე რომ, პატიოსანმა პოლიტიკოსმა ერთხელ მაინც უნდა მოსინჯოს ბედი თამაში „რა? სად? როდის?"

მოამზადა **ნინო დგებუაძემ**.

XXX

პრინცი ჩარლზი ქალთა სილამაზის შეუდარებელი შემფასებელია. ის მათ უყურადღებოდ არასდროს არ ტოვებს. ლონდონში, ერთ-ერთ შეხვედრაზე, ელიზაბეტ ჰარლის მოხდენილობამ და შარმმა ისე მოხიბლა, რომ მეტყველების უნარიც კი დააკარგვინა. ამ ფაქტის შესახებ შეხვედრის თვითმხილველები იუწყებიან.

XXX

ნაომი კემპბელმა, ცოტა ხნის წინ დაბადების დღე სენ-ტროპეზში გადაიხადა. სტუმრებს შორის იყვნენ – ელ მაკფერსონი, დონატელლა ვერსაჩე, ვალენტინო...

მასპინძელი ტაისური დელიკატესებით და ტრადიციული ესპანური მელოდიებით გაუმასპინძლდა ახლობლებს.

სადილის მერე, მეგობრები, იუბილარის და მისი მეგობრის – იტალიელი ბიზნესმენის – ფლავიო ბრიატორეს სურვილით, დისკოტეკაზე წავიდნენ.

XXX

ჰოლივუდში მკითხაობენ: რის გამო შეიცვალა შარონ სტოუნმა თმის ვარცხნილობა? მსახიობი გაჩუმებულია და არანაირ ახსნა-განმარტებას არ იძლევა. ხმა გავრცელდა: ყოველივეს მიზეზი შარონის და მისი მეუღლის – ფილ ბრონშტეინის ურთიერთობების არევაა. სხვები კი დარწმუნებულნი არიან, რომ მიზეზი სულ სხვა რამაა: შარონ სტოუნი ბოლოს და ბოლოს დაფეხმძიმდა, მაგრამ ჯერჯერობით, ამის შესახებ არავისთან საუბრობს.

XXX

ჯულია რობერტსი იმათ რიცხვს არ მიეკუთვნება, ვინც ადრე დგება, მაგრამ მას მერე, რაც ოთხფეხა მეგობარი შეიძინა, უარი თქვა ამ ძველ ჩვევაზე. ახლა, ჯულია იძულებულია ყოველდღე, დილაუთენია, ადგეს და საყვარელი მეგობარი სახლის მიდამოებში ასეირნოს.

XXX

თეა ლეონი – დევიდ დუხოვნის მეუღლე, ამჟამად მხოლოდ დედობრივი პრობლემებითაა მოცული. მას მერე, რაც ამ ორ ვარსკვლავს ქალიშვილი შეეძინათ, თეა მხოლოდ ბავშვზე ფიქრობს.

გოგონას გაჩენისთანავე, თეამ და დევიდმა განცალკევებული სახლიც კი შეიძინეს მალიბუში. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მათ არ სურთ ბავშვის აღზრდაში ვინმემ ხელი შეუშალოს.

XXX

80-იან წლებში გადაიღეს ფილმი „როცა ჰარი შეხვდა სალის“, სადაც მთავარ როლს მეგ რაიანი ასრულებდა. მას მერე მსახიობი ქალი, შეუმჩნევლად, ზედმეტი ზარ-ზეიმის გარეშე მიიწევს ოლიმპოსკენ. მიუხედავად იმისა, რომ მეგ რაიანის ყოველი მორიგი როლი, მეტისმეტი ფრივოლურობის გამო მითქმა-მოთქმის საგანი ხდება, პირად ცხოვრებაში (იგი მსახიობ დენის კუეიდის ცოლია) საკმაო კეთილგონიერებას იჩენს. ამიტომ მას საკმაოდ უცნაური იმიჯი აქვს: იგი ყველაზე გარყვნილ მსახიობად და ყველაზე ერთგულ მეუღლედ აღიარეს.

დღეს რაინი ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობ ქალთა შორის მეხუთე ადგილზეა – ჯულია რობერტსის, დემი მურის, სანდრა ბალოკის და სიგურნი უივერის შემდეგ.

XXX

დროება იცვლება და ქალის შინაგან სამყაროს სრულიად ახალი რაკურსით სწავლობენ ფსიქოლოგები, ეთიკის სპეციალისტები, ლინგვისტები...

უახლესი გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ქალები, ფსიქიკური განვითარების თვალსაზრისით, სულაც არ ჩამორჩებიან მამაკაცებს. უბრალოდ, მათი ეთიკური განსჯის მეთოდი განსხვავებულია. ქალები სხვანაირად ხედავენ სამყაროს. მათ საკუთარი, თვითმყოფადი „შინაგანი ხმა“ აქვთ.

ფსიქოლოგთა დაკვირვებით, ქალთა ცხოვრების არსებობის საფუძველს ადამიანური ურთიერთობები ქმნიან. ქალის თვითპატივისცემა და თვითშეფასება იმაზეა დამყარებული, თუ როგორი წარმატებით ამყარებს კავშირსა და ურთიერთობებს ის სხვა ადამიანებთან.

ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ მამაკაცი თვითმკვლელობისთვის თავს მეტწილად მაშინ სწირავს, თუ არასრულფასოვნების განცდა ტანჯავს. ხოლო, თუ ქალი ხელყოფს საკუთარ სიცოცხლეს, ამის მიზეზი, როგორც წესი ან უიღბლო სიყვარულია ან მოუწესრიგებელი ოჯახური ურთიერთობები.

№ 11-12 1999 (707)

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

დროშა

სარედაქციო კოლეგია:

ჯანსუღ ჩარკვიანი – თავმჯდომარე,

გულნარა ბახტაძე
პასუხისმგებელი რედაქტორი,

ვასილ გვეტაძე, ნატა თათარაშვილი, ზურაბ კვანტრიშვილი, თედო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ედდარ შენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ჭილაძე.

კროსვორდი



თარაზულად: ". XIX ს-ის ფრანგი პოეტი; 7. კრიტიკული, უნდობლური დამოკიდებულება, დაეჭვება რისამე სისწორეში ან შესაძლებლობაში; 10. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება, რომელიც თავგამოდებით იცავს თავის განკერძოებულობას და წოდებრივ, პროფესიულ თუ სხვა სახის პრივილეგიებს; 11. გვაროვნული თემი ისლანდიასა და შოტლანდიაში; 16. რიტმული სვლა; 17. ამინდი, რეჟიმი, ჰავა; 18. ქვეწარმავალთა და მისთანათა შხამი; 19. ამერიკელი კინომსახიობი ქალი; 20. სერიოზული უთანხმოება, განხეთქილება; 22. ზნეობრივ-დამრიგებლური შინაარსის მოკლე ალეგორიული მოთხრობა ან ლექსი; 23. სისხლძარღვი, რომელიც გულიდან სისხლს აწვდის სხეულის ყველა ორგანოს; 24. კინოსერიალის – „ერთხელ ამერიკაში" დამდგმელი კინორეჟისორი; 27. მტაცებელი ფრინველი; 28. მეტრული მუსიკალური ერთეული; 31. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან თანამდებობის პირის განსაკუთრებული უფლებათა უპირატესობა; 32. სოფელი დუშეთის რაიონში.

შვეულად: 1. გარეგნული, მოჩვენებითი ბრწყინვალება, ზარზეიმი; 2. სპორტის სახეობა; 3. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ნაირსახიანი ზოლი; 5. XIX ს-ის ინგლისელი მწერალი; 6. მაღალი თანამდებობის პირის მხლებლები; 8. ქართველი პოეტი, დრამატურგი; 9. პირი, რომელიც გონებრივ შრომას ეწევა, (განათლებული, შეგნებული, კულტურული ადამიანი); 12. ჩუქჩების საცხოვრებელი ქოხი, ირმის ტყავებით დახურული; 13. ფერწერა გარეთ, ღია ცის ქვეშ, ჰაერზე; 14. რომელიმე ორგანოს ან ქსოვილის დაპატარავება, დასუსტება საკვების ნაკლებობის ან ხანგრძლივი უმოქმედობის გამო; 15. ფრანგი ფეხბურთელი; 21. ხუთკუთხიანი შენობა (ქ. ვაშინგტონთან ახლოს), რომელშიც მოთავსებულია აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო; 25. ფრანგი კინორეჟისორი, კინოდრამატურგი, პოეტი, ჟურნალისტი და მსახიობი, დამდგმელი ფილმისა „უკანასკნელი მილიარდები"; 26. ყვითელი ფერის მაგარი, გამჭვირვალე ფისოვანი ნივთიერება; 29. ბავშვების სათამაშო ჰაერში ასაშვები მოწყობილობა; 30. ფანჯრის ფარდა ერთვგვარი.

შეადგინა **ციალა ამაშუკელმა**

სხვა და სხვა...

***

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა ასე თქვა საქართველოსა და ქართველების შესახებ:

1919 წელს პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენლები: კ. ჩხეიძე და ე. გეგეჭკორი ეროვნულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილები. მათ ჩაცმულობას ყურადღება მიაქცია ერთმა მოხუცმა ლორდმა და მათი ვინაობა იკითხა. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა უპასუხა: – ნუ გიკვირთ ლორდ, ესენი იმ ქვეყნიდან არიან, რომელსაც შეუძლია მთელი ევროპა მოამარაგოს მინისტრებითო.

***

ალექსანდრე მაკედონელს მეგობრებმა ჰკითხეს, ოლიმპიური შეჯიბრების დროს სირბილში ხომ არ მიიღებდა მონაწილეობას.

– სიამოვნებით, – უპასუხა ალექსანდრემ, – თუკი ჩემი მოწინააღმდეგენი მეფეები იქნებიანო.

***

მსახიობმა მიხეილ გელოვანმა, რომელიც სტალინის როლს ასრულებდა, მოითხოვა ჩაესახლებინათ სტალინის აგარაკზე რიწის ტბაზე. როდესაც ამის თაობაზე სტალინს მოახსენეს, მან იკითხა:

– მაინც რატომ უნდა გელოვანს რიწაზე ცხოვრება?

– მას უნდა, რომ თქვენს ხასიათს ჩასწვდეს.

– მაშინ ტურუხანსკის გადასახლებიდან დაიწყოს – უპასუხა სტალინმა.

„დროშა" №9-10-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. ტაიტი. 6. სამბო. 9. იფანი. 11. ფიქცია. 12. ვეზუვი. 15. ანძა. 17. სერიალი. 18. სენა. 19. სელაპი. 20. ხვედრი. 24. ფარი. 25. ორატორი. 26. იორი. 29. ფრანტი. 30. ყაწიმი. 31. რისკი. 33. შტატი. 34. გრიფი.

შვეულად: 1. ტანძია. 2. ეტლი. 3. საბი. 4. აბოგეი. 7. სამაია. 9. სიონი. 10. ტვენი. 13. ტემპერა. 14. კლავირი. 16. ათენი. 18. სორდი. 21. შაირი. 22. ატლასი. 23. გრიმი. 27. სტარტი. 28. შარიფი. 31. როტა. 32. იარა.

საქართველოს ჟურნალ- გაზეთების
გამომცემლობა „სამშობლო" მ. კოსტავას ქ. № 14

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე:
მხატვრული კოლაჟი და ფრაგმენტი
ზურაბ წერეთლის ნამუშევრიდან.

მოპატიჟება ძველ რიყეზე